ლაზი

№068 (12 138)

23 მარტი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი ეროვნული ბიბლიოთეკა

ულენე ტოკიოში

European Football Championship Qualifying Nations

ხვალ, 15:00.
საქართველო vs რუსეთი

მეტოქე დღეს ჩამოდის

საქართველოს ნაკრები ერთა თასის მორიგი შეხვედრისთვის მზადებას განაგრძობს. გუშინ გვიან ღამით საფრანგეთიდან **დავით ხინჩაგიშვილი** ჩამოვიდა და 22-კაციანი შემადგენლობაც სრულად შეიკრიბა. რაგბის კავშირის დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, "კლერმონის" ხელმძღვანელობამ ნაკრებში არ გამოუშვა **დავით ზირაქაშვილი**.

ფაქტობრივად, ისე გამოვიდა, პირველ და მეორე ხაზში სათადარიგო მოთამაშეებით გვეყოლება. ზირაქაშვილის გარდა პირველ ხაზში ტრავმირებული **გოდერძი შველიძე** და ასევე კლუბიდან არგამოშვებული **აქვსენტი გიორგაძე** დაგვაკლდებიან. ტრავმირებულები არიან ძირითად მეორეხაზელები, ნაკრების კაპიტანი **ილია ზედგინიძე** და **მამუკა გორგოძე**.

მსგავსი პრობლემა რუსებს მეორე ხაზში აქვთ. მათ რიგებში არაა ფრანგულ "აუენში" მოთამაშე **კირილ კულემინი**. ტრავმირებულები არიან **ალექსანდრ ვოიტოვი** და **ოლეგ აზარენკო**. ამჟამად მეტოქის შემადგენლობაში მხოლოდ ერთი მეორეხაზელია, **ანდრეი ლუგინი**. რუსების ფრანგ გურუს **კლოდ სორელს**, რომელიმე მესამეხაზელისთვის ამპლუის გამოცვლა მოუწევს. ტრავმის გამო ვერ ჩამოვა თბილისში რუსების ძირითადი 9 ნომერი, **ვიქტორ მოტორინი**.

რუსეთის ნაკრები თბილისში ბაქოდან დღეს დილით ჩამოვა. 13 საათზე ორივე გუნდების მწვრთნელები და კაპიტნები ეროვნულ სტადიონზე პრეს-კონფერენციას გამართავენ.

არბიტრი იქნება ფრანგი **ფრანკ მასიელო**, რომელსაც საქართველოს ნაკრების თამაში ორჯერ განუსჯია - პირველად 2004 წელს კრასნოდარში, რუსეთის წინააღმდეგ (27:15 მოვიგეთ), მეორედ - შარშან გაზაფხულზე, პორტუგალიის 40:0 განადგურებისას.

ბესიკ ჯანგავაძე

ევრო 2008. 24 მარტი. შოტლანდია-საქართველო. მზადების მესამე დღე

კლაუს ტოპმიოლერი

მთავარია, შეჭევის საშუალება არ მივცეთ, იქით უნდა შევუჭიროთ...

შემადგენლობა თითქმის გარკვეულია. ტოპის გუნდური სულისკვეთება აიმედებს. ამათმა რომ მოინდომონ, ბევრის გამკეთებლები არიანო...

პაატა თოთაძე
გლაზგოდან

გუშინ გლაზგოში. კლაუს ტოპმიოლერი, ბესიკ ფრიდონაშვილი და რალფ მინგე — ავტორის ფოტო

დილის 11 საათია. ნაკრების სასტუმროში მისული, ჰოლში შოთა არველაძეს ვხედავ, ვიღაც გოგოსთან საუბრობს. ეტყობა, რომ ჟურნალისტია და "რეინჯერსის" ყოფილი ფორვარდის ამბები აინტერესებს. დანარჩენები თავთავიანთ ნომრებში არიან. ნახევარსაათიანი ლოდინის შემდეგ, ფეხბურთელები ნელ-ნელა იწყებენ ჩამოსვლას, არველაძესაც ამთავრებინებენ საუბარს.

- ...რომელიღაც რუსულენოვანი გაზეთის ჟურნალისტი იყო, სამი წლის წინანდელი ამბები მოვუყევი, - მეუბნება შოთა.

- დღევანდელი ვთქვათ, წარსული მერე იყოს...

- დილით ტაქტიკაზე ვილაპარაკეთ, თეორიული მეცადინეობა გვქონდა...

- ...და გამოიკვეთა უკვე, როგორი ტაქტიკით აპირებთ თამაშს?

- ყველაფერი ჯერ კიდევ ბოლომდე არაა გარკვეული, დღევანდელი ვარჯიშის მერე ბევრი რამ გვეცოდინება.

- კაცო, "ნიუკასლს" როგორ მოუგეთ, მაგრად ვისიამოვნე რა, - საუბარში გვერთვება კიდევ ერთი ქართველი.

- რა თქმა უნდა, ადვილი არაფერია და ვერ ვიტყვი, იოლი გასეირნება გვქონდათქო, მაგრამ ვაჯობეთ, აშკარა იყო.

- ჰოლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურში რა დაგემართათ?

- ძალიან დაღლილები ვიყავით. ამის გამო, ვან გაალმა რამდენიმე კაცი დაგვასვენა, ვინც მოედანზე იყო, ისინიც ვერ თამაშობდნენ ჩვეულად. შესვენებისას გავიგეთ, რომ "აიაქსი" "ეინდჰოვენს" უგებდა და ბოლოსკენ შემოვიშვა მოედანზე, მაგრამ მაინც ვერ მოვიგეთ. ხდება ხოლმე... ისე კი, რა გითხრათ, აბა... ნორმალური გუნდია, მაგრამ ცოტა უფრო მაღალი დონის შემსრულებლები რომ გვყავდეს, უფრო მეტს მივაღწევდით. მაგალითად, ორ წელიწადში "აიაქსიდან" რამდენიმე ბიჭი რომელიმე ევროგრანდში გადავა...

...ამ დროს, შოთას ვიღაც ურეკავს ტელეფონზე და ისიც ეუბნება, თუ სად რისი გაკეთება შეიძლება გლაზგოში. ჩემი რესპონდენტი ხომ კარგად იცნობს გლაზგოს...

- კალაძე არ გვყავს. როგორ მოაგვარებს ტოპი დაცვის პრობლემებს?

- ჰო, კალაძის არყოფნა ცუდია, მაგრად გვაკლია. ტოპი? მოიფიქრებს რამეს, ბიჭები მაგრად არიან, არაფერს დათმობენ...

2

ვარჯიში რეინჯერსის ბაზაზე — ავტორის ფოტო

www.kazbegi.com

გასხენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოტლანდია-საქართველო

მთავარია, შეჯევის საშუალება არ მივცეთ, იქით უნდა შევუჭიროთ...

პირველი გვერდიდან

მეორე მაგიდასთან **კლაუს ტოპმიოლერი, რალფ მინგე** და **ბესიკ ფრიდონაშვილი** სხედან, ფურცლებზე რაღაც მონახაზებს აკეთებენ. ეტყობა, ტაქტიკაზე მსჯელობენ. ჩვენს მაგიდაზე კი ორი აქაური გაზეთი დევს. პირველ გვერდზე ასეთი ფოტოა: შოთა საღეჭ რეზინს ბერავს და იღიმება, ხოლო გვერდით **ზურაბ ხიზანიშვილი** უდგას, ისიც გაღიმებული. "დეილი რეკორდის" ეს ფოტო ლამის მთელ გვერდს იკავებს. საერთოდაც, ხვალინდელ მატჩს აქ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ყოველ შემთხვევაში, გაზეთებიდან ასე ჩანს - აჭრელებულია თამაშისწინა ინფორმაციებით. შოტლანდიელები ჩვენთან კონტაქტს გაურბიან, აქაური საფეხბურთო ასოციაციის წარმომადგენელი მეუბნება - არც ვარჯიშზე შეგიშვებენ და არც არავინ დაგელაპარაკება, ხვალ პრესკონფერენციაზე მობრძანდით და ყველაფერს იქ გაიგებთო...

არველაძე გაზეთს ათვალიერებს. კიდევ ერთი სატელეფონო ზარი...

- არტურ ნუმანი იყო, დღეს მოვა ჩემს სანახავად, ძალიან კარგი ადამიანია.

- აქ არის?

- აქ არისო? აქ ცხოვრობს.

- და რა უნდა აქ?

- აბა, იქ რაღა უნდა? აქ ყველას უყვარს, მაგარ პატივს სცემენ, გაზეთებშიც ხშირად ბეჭდავენ მასზე წერილებს... კარგი, ავალ ნომერში, ცოტას დავისვენებ...

ჩივაძე: ხომ იცით, კარგი ფეხი მაძვს!

სამი საათია. "რეინჯერსის" ბაზაზე მივედით. ჰმ, დაცვა ფოტოების გადაღებას გვიკრძალავს. საოცარია პირდაპირ, "საზოგადოებრივი მაუწყებლის" წარმომადგენელსაც არ აძლევენ კამერის ჩართვის უფლებას, არადა, მატჩის რეპორტაჟს სწორედ ეს არხი აწყობს. **გრიგოლ ცაავას** ვთხოვე შუამდგომლობა, მაგრამ... რა გაეწყობა....

როგორც არის ხოლმე, ვარჯიში ძუნძულით დაიწყო, მერე ეგრეთწოდებული გაწელვებით გაგრძელდა. უკვე 20 წუთი გავიდა. კვადრატების ჯერიც დადგა. ბიჭები ერთმანეთს ეხუმრებიან და ვარჯიშიც, ასე ვთქვათ, ხალისით მიდის. ტოპმიოლერი, მინგე და ფრიდონაშვილი ისევ რაღაცაზე საუბრობენ. ხუთი წუთიც და მწვრთნელი ფეხბურთელებს უხმობს...

ხიზანიშვილი და **სალუქვაძე** მოედნის ცენტრში დგებიან, მათ წინ **მენთეშაშვილი** და **ცქიტიშვილი**. სხვები ფლანგებზე ნაწილდებიან: მარჯვნივ **შაშიაშვილი, გოგუა, მუჯირი, ბურდული**. მარცხნივ **ელიავა, კობიაშვილი, კვირკველია**. ცენტრალური მცველები შეტევას იწყებენ, მერე ბურთი მისდით ფლანგის მოთამაშეებს, გადადის ცენტრში, მერე ისევ ფლანგზე და ჩაწოდება საჯარიმოში. იქ უკვე ბურთს **არველაძე, დემეტრაძე, სირაძე** და **იაშვილი** ელოდებიან. შემადგენლობაც დაახლოებით იკვეთება: მარჯვენა მცველი **შაშიაშვილი**, მარცხენა **ელიავა**, შუაში **სალუქვაძე** და **ხიზანიშვილი**. ნახევარდაცვაში **მენთეშაშვილისა** და **ცქიტიშვილის** თამაში თითქოს ეჭვს არ იწვევს. გარემარბებად, ალბათ, ბურდული (მარჯვნივ) და კობიაშვილი (მარცხნივ) იქნებიან, წინ კი **დემეტრაძე-არველაძის** დუეტი. დემე უფრო შოთას უკან იმოქმედებს, ყოველ შემთხვევაში, ვარჯიშზე ასე ჩანს. მეკარის საკითხია პრობლემატური, უფრო სწორად, არჩევანზეა საფიქრალი: ალბათ, უფრო **ლომაია**.

ტაქტიკურმა ვარჯიშმა ნახევარ საათს გასტანა, ტოპი ისევ თავისთან უხმობს ბიჭებს და ოთხ გუნდად ჰყოფს. ორს მწვანე მოსასხამს ურიგებენ, ორიც მოსასხამის გარეშე რჩება. და რა გამოდის? თუ ჩავთვლით, რომ "მწვანეები" ძირითადის ფეხბურთელები არიან, მაშინ კარში რევიშვილი უნდა იდგეს, მაგრამ "სათადარიგო" ლომაიაც რომ მშვენივრად ირჯება? პრინციპში, ტოპმიოლერი ორივეთი კმაყოფილი ჩანს, საქებარ სიტყვებს არც ერთის მიმართ არ იშურებს...

ყველაზე მეტად არველაძე აქტიურობს, თანაგუნდელებს მითითებებსაც კი აძლევს. მწვრთნელები განზე დგანან და ფეხბურთელების მოქმედებას იქიდან აკვირდებიან. მოშორებით **ჩივაძე** და **სვანაძეც** ჩანან...

- კარგი ბიჭები არიან, თან ფეხიც კარგი მაქვს, - ამბობს ჩივაძე.

სვანაძეს ეღიმება:

- სადაც კი ამათ შევხვდი, ყველგან მოგებული დავრჩი, რაღა ახლა გაგვიწყრება ღმერთი?

შემამჩნია, რომ ფოტოს გადაღებას ვაპირებდი და ბაზის თანამშრომელი შენობიდან გამოვიდა. მაინცდამაინც მე მომადგა...

- რამდენი ჯდება აქ ვარჯიში? - ვეკითხები რევაზ არველაძეს.

- დღეში დაახლოებით 600 გირვანქა.

- ცოტა არ არის?

- შოთამ გააკეთა მაგ ფასად, თორემ 600 გირვანქად ვარჯიში კი არა, მოედანზე ფეხს არ დაგადგმევინებენ...

ახლაღა გავიგე, რომ ის კაცი ბაზის თანამშრომელი კი არა, საფეხბურთო ასოციაციის წარმომადგნელი ყოფილა, თუმცა ფოტოაპარატი რომ მოვიმარჯვე, თავაზიანი უარი მივიღე...

ვარჯიში მთავრდება. მწვრთნელი შეგირდებს კვლავ თავისთან უხმობს. მცირე საუბარი და ძუნძული. ათ წუთში უკვე ყველა ავტობუსშია.

საღამოა. ნაკრების სასტუმროში ვბრუნდები. ფეხბურთელები უკვე ნომრებში არიან. 6 საათზე გოლფის სათამაშოდ აპირებენ წასვლას, რვაზე კი ინდურ რესტორანში. ტოპმიოლერმა ბიჭებს სიურპრიზი მოუმზადა.

ინტერვიუ შოთა არველაძესთან სასტუმროში

შოტლანდიურ პრესაში დიდი ინტერესია

- ვისაც ხვალ თამაში უნდა, თერთმეტის ნახევარზე შევიკრიბოთ და ერთი აქაურებს ვანახოთ, რა მაგრებიც ვართ, - ხმამაღლა აცხადებს რევაზ არველაძე. რამდენიმე ყოფილმა ფეხბურთელმა სიამოვნებისგან ხელებიც მოიფშვნიტა. ეტყობა, უმალ წარმოიდგინეს, როგორ ამარცხებენ შოტლანდიელებს...

პირველი დემეტრაძე გამოჩნდა:

- ფეხბურთელის თვალით, რა მდგომარეობაა გუნდში?

- ძალიან კარგი. სერიოზული დანაკლისი კი გვაქვს, მაგრამ ეს ხასიათს არ გვიფუჭებს. ბოლო თამაშების მოგებამ საკუთარი ძალების რწმენა შეგვმატა.

- დღევანდელი ვარჯიშიდან გამომდინარე, შემადგენლობა თითქმის გამოიკვეთა...

- მწვრთნელს ჯერ არაფერი უთქვამს, მაგრამ თითქმის ყველამ იცის, ვინ ითამაშებს და ვინ არა.

- და ვინ იქნებიან ისინი, რომლებიც შაბათს მოედანზე გავლენ?

- რა, თქვენც არ იცით (იცინის)?

- ყველანი აცხადებთ, რომ აქ მოსაგებად ხართ ჩამოსულნი. ასე ხდება ყოველი მატჩის წინ. რეალურად, რას ფიქრობთ, შეგვიძლია მოგება?

- აბა, როგორ ვთქვა, არა-მეთქი. წინასწარ წაგებულს მოედანზე რა მინდა? მთავარია, ბრძოლაში არაფერი დავუთმოთ და შედეგიც მოვა: სამი თუ არა, ქულა მაინც.

- უკრაინაზეც მინდა გკითხო...

- სარჩელზე?

- უფრო იმაზე, თუ რატომ არ თამაშობ. იმ სარჩელის გამო არ გათამაშებენ?

- არა, არანაირად. მომავალ მატჩში უკვე ვითამაშებ. თუ დამიჯერებთ, ახლა უფრო კარგი თვალით მიყურებენ: ეს ვინ ყოფილა, რამდენი გაბედაო... დადებითი თვალსაზრისით, რა თქმა უნდა.

და აი, **კლაუს ტოპმიოლერიც** გამოჩნდა. გუშინდელივით არ იუაროს ინტერვიუ-მეთქი, ვიფიქრე, და ბესიკ ფრიდონაშვილს ვკითხე: დამელაპარაკება ვითომ?

დამთანხმდა, ოღონდ, ყველაზე ბევრი ხუთი წუთიო...

- საერთო სიტუაცია თუ გაინტერესებთ, მე კმაყოფილი ვარ. იცით, რა მომწონს ამ ბიჭებში? ხასიათი. რომ მოინდომონ, ძალიან ბევრის გამკეთებლები არიან. მთავარია, რწმენა და არ გქონდეს მეტოქის შიში.

- ჰო, მაგრამ მარტო რწმენა რომ ვერ იგებს თამაშს?

- რა თქმა უნდა. ისიცაა, რომ მეტოქეს არ მივცეთ სივრცე შეტევისთვის. შოტლანდიელთა არაერთი თამაში ვნახე და ვიცი, რასაც წარმოადგენენ, რას თამაშობენ.

- ახალი მწვრთნელი ჰყავთ...

- ეს ვითარებას კარდინალურად არ ცვლის. მაკლიში ახალს ვერაფერს მეუბნებს. როგორც აქამდე ათამაშებდნენ გუნდს, ისიც იგივეს გააგრძელებს. გარკვეული ცვლილებები, ალბათ, მაინც ექნება, მაგრამ ჩემი აზრით, უმნიშვნელო.

- როგორც ჩანს, უკვე იცით, როგორ ითამაშოთ შაბათს...

- დიახ, ვიცი.

- შემადგენლობაც გარკვეული გაქვთ?

- თითქმის. თურქეთთან შედარებით, ორი-სამი ცვლილება იქნება. დღევანდელ ვარჯიშზე გარკვეულწილად ჩანდა შემადგენლობა, მაგრამ ორ პოზიციაზე კიდევ ვფიქრობ. ხვალ საღამოს უკვე ზუსტად მეცოდინება, ვინ უნდა ითამაშოს.

- შემადგენლობის მხრივ პრობლემებს უკვე მიჩვეული ხართ, მაგრამ რამდენიმე ძირითადი ფეხბურთელის არყოფნა მაინც ვერაა კარგი საქმე. ბევრი საფიქრალი გექნებათ...

- კალაძე და ასათიანი არც წინა თამაშებში გვყოლია, მაგრამ მაინც მოვახერხეთ დაცვაში საიმედო თამაში. ვერ ვიტყვი, რომ უკანა ხაზში მაინცდამაინც დიდი პრობლემები გვაქვს. ურუგვაისთან და თურქეთთან დაცვამ ცუდად ნამდვილად არ ითამაშა. მთავარია, მეტოქეს შეტევის საშუალება არ მივცეთ, იქით უნდა შევუტიოთ.

- ვარჯიშიდან გამომდინარე, 4-4-2 სისტემით აპირებთ თამაშს...

- დიახ, თუ რაიმე არ შეიცვალა. მომიტევეთ, მაგრამ უნდა დავამთავროთ. დანარჩენი ხვალ იყოს....

ყველანი სასტუმროს ჰოლში არიან შეკრებილნი და მწვრთნელს ელოდებიან. ერთი დაძახება და...

დღეს ღამით **ნოდარ ახალკაცი** უნდა ჩამოვიდეს. ფედერაციის პრეზიდენტი გერმანიაში 19-წლამდელთა ამხანაგურ მატჩს დაესწრო. შოტლანდიელთა ამბავი არ გაინტერესებთ? მაკლიში ამბობს, საქართველოსთან და იტალიასთან 4 ქულა რომ არ ავიღო, გავგიჟდებიო...

ავტორის ფოტოები

მეტოქეები

ფარერები-უკრაინა არ გადაიდო

როგორც იცით, უკრაინის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ოლეგ ბლოხინი** ფარერებზე გასამართი შეხვედრის გადადებას ითხოვდა. უკრაინულმა მხარემ ქვეჯგუფის მეტოქეებისგან (საფრანგეთის გამოკლებით) ამაზე თანხმობაც მიიღო, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ფარერები-უკრაინა დათქმულ დროს, ანუ 24 მარტს, მაინც შედგება.

კუნძულელებს თადარიგი დაუჭერიათ და ქვეყნის მთავარი სტადიონი თოვლისგან გაუწმენდიათ. დღეისათვის მოედნის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. უკრაინელები ფარერებზე უკვე გაემგზავრნენ. თამაში მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიდება, თუ ხვალ ამინდი მკვეთრად გაუარესდება და უეფას ინსპექტორი მატჩის გამართვას შეუძლებლად მიიჩნევს.

ბლოხინი ქულების დაკარგვას შიშობს. მისი თქმით, ცუდ კლიმატურ პირობებში ჯგუფის აუტსაიდერთა ძლევა ერთიორად გაძნელდება

ლევან ჯანეზაშვილი

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

სერგო კუტივაძე:
ლიდერი მხოლოდ ორია, ასათიანი და არველაძე
ნებისმიერი შედეგი მოსალოდნელია...



სერგო კუტივაძე

გამოცდილი ქართველი სპეციალისტი საკუთარ მოსაზრებებს ყოველთვის ღიად და დასაბუთებულად გამოთქვამს. სერგო კუტივაძის შეფასება ამჯერადაც საინტერესოა, ჩვენი ნაკრების გლაზგოური შანსებისა და ეროვნულ გუნდთან დაკავშირებული სხვა თემების შესახებ იგი ვრცლად საუბრობს.

შოტლანდიური ტაქტიკა

ამის გამოცნობას ბევრი კითხაობა ნამდვილად არ სჭირდება. ბრიტანელები ას წელზე მეტია, ერთი და იმავე სქემით თამაშობენ. ბუნებრივია, შოტლანდიელები შაბათსაც ძირითადად ფლანგებიდან შეუტევენ და საჯარიმოში მალიმალ ჩაანოდებენ. ასეთი სტილის გუნდები აქცენტს სწრაფ გოლზეა კეთებენ. მთავარია, მათ ამის საშუალება არ მივცეთ, თუ 20-30 წუთი გავუძელით, დიდი იქნება იმის შანსი, რომ ამის შემდეგ თამაში საქართველოს ნაკრების კარნახით წარიმართოს. არა მგონია, მეტოქემ ფიზიკურ მომზადებაში გვაჯობოს.

ქართული ტაქტიკა

აქამდე **ტოპმიოლერს** არაერთი ტაქტიკური მონახაზი გამოუყენებია და იმედი მაქვს, უკვე კარგად აქვს შესწავლილი ყველა ფეხბურთელის შესაძლებლობები. იგი მაღალი დონის სპეციალისტია და ვფიქრობ, გლაზგოში საჭირო სქემის არჩევა არ გაუჭირდება. ასეთ მეტოქესთან ჭიდილში, მით უფრო სტუმრად, იდეალური კონტრშეტევებზე თამაშია. თითოეულმა მოთამაშემ მაქსიმალური ყურადღებით უნდა ითამაშოს, შესაძლოა, ერთი შეცდომაც კი საბედისწერო აღმოჩნდეს. განსაკუთრებული კონცენტრირება მეკარესა და მცველებს მოეთხოვებათ, საჰაერო ორთაბრძოლები მრავლად იქნება.

საკადრო პრობლემები ორივე გუნდს მრავლად აქვს, ტოპმიოლერის მთავარი საზრუნავი **კალაძისა** და **ხიზანეიშვილის** სათანადოდ შეცვლა იქნება.

ნაკრების ლიდერები

საქართველოს ნაკრებს ორად ორი ევროპული კლასის ფეხბურთელი და შესაბამისად, ორი ლიდერი ჰყავს – **მალხაზ ასათიანი** და **შოთა არველაძე**. **კობიაშვილიც** კარგი მოთამაშეა, მოედანზე დაუღალავად შრომობს, მაგრამ ლიდერის ტვირთის ზიდვა არ ძალუძს. ასათიანისა და არველაძისგან განსხვავებით, იგი მოედანზე ამინდს ვერ ქმნის. ლიდერად ვერც **კალაძეს** მივიჩნევ.

რას ნიშნავს ჩვენი გუნდისთვის მალხაზის არყოფნა, ეს ყველასთვის ნათელია. თანამედროვე ფეხბურთში ასეთი უნივერსალი სანთლით საძებარია. ჩემი აზრით, უკეთესი იქნება, გამოჯანმრთელების შემდეგ ასათიანმა უკნიდან ითამაშოს, მაგრამ ბუნებრივია, შეტევებშიც ხშირად უნდა ჩაერთოს. მისნაირად თამაშს ვერავინ გაამწვავებს.

სუსტი რგოლი

რასაკვირველია, პრობლემები ყველა პოზიციაზე გვაქვს, მაგრამ განსაკუთრებით თავდასხმაში გვიჭირს. არველაძის გარდა, საშუალო ევროპული დონის ერთი ფორვარდიც კი არ გვყავს. არადა, სულ შოთას იმედზე ხომ არ ვიქნებით, სადაცაა, იგი კარიერას დაასრულებს. მაინც ვიმედოვნებ, რომ არველაძეს ჩვენი სხვა თავდამსხმელები გლაზგოში მხარს აუბამენ და მეტოქეს ხიფათს შეუქმნიან.

ტოპმიოლერი

ვფიქრობ, ჯერ არ დამდგარა ის დრო, მისი ნაკრებში მოღვაწეობა ცალსახად რომ შევაფასოთ. ტოპმიოლერის მუშაობის შესახებ ვრცლად მხოლოდ ამ შესარჩევი ტურნირის დასრულების შემდეგ შეგვეძლება საუბარი. აქამდე კი მან უკვე მოასწრო ფართო მოცულობის სამუშაოს ჩატარება, ნაკრებსაც მეტ-ნაკლებად უკვე დაატყო საკუთარი სტილი.

ბოლო ორ შეხვედრაში გამარჯვება ყველას ძალიან გაგვეხარდა, მაგრამ ფაქტია, რომ ამხანაგურ მატჩს სულ სხვა დატვირთვა აქვს. საქართველოს ნაკრებს ოფიციალური პრინციპული თამაში ჯერ არ მოუგია და მით უკეთესი, რაც უფრო ადრე მოხდება ეს.

გუნდი ყველა მატჩში ბოლომდე იბრძვის. თითქოს ეს არც უნდა იყოს ხაზგასასმელი მომენტი, მაგრამ ფაქტია, რომ ადრე ჩვენს ნაკრებს გაცილებით სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდა.

ტოპმიოლერი უდავოდ უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტია, მაგრამ ძნელია იმის თქმა, შეძლებს თუ არა საქართველოს ეროვნულ გუნდთან ერთად მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევას. მხოლოდ ძლიერი მწვრთნელი საკმარისი არაა, მის განკარგულებაში კვალიფიციური შემსრულებლები უნდა იყვნენ. ჩვენ კი მხოლოდ 4-5 ნორმალური დონის ფეხბურთელი გვყავს, დანარჩენებს კი კლასი არ აქვთ.

შეიძლება, ვინმე მომედავოს, აბა, **რეჰაგელმა** როგორ გახადა საბერძნეთი ევროპის ჩემპიონიო. საქმე ისაა, რომ საბერძნეთის ნაკრებს ჩვენზე გაცილებით ძლიერი ფეხბურთელები ჰყავდა და ჰყავს. გადახედეთ მათ შემადგენლობას, აბსოლუტურად ყველა მოთამაშე ძლიერ ევროპულ კლუბში თამაშობს, რასაც ჩვენი ნაკრების წევრთა უმრავლესობაზე ვერ ვიტყვით.

მაკლიში

უოლტერ სმიტი მასზე გაცილებით გამოცდილი სპეციალისტია. ძალიან გამიკვირდა, ნაკრებში მუშაობაზე უარი რომ თქვა. ბევრს მიაჩნია, რომ ალექს მაკლიშს სმიტის წარმატებული სერიის გაგრძელება გაუჭირდება, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. იგი ნამდვილად არაა ისეთი უგუნური მწვრთნელი, რომ აწყობილი გუნდი დაშალოს. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ გამოცდილებით ტოპმიოლერთან ახლოს ვერ მივა, რამაც სავსებით შესაძლებელია, ჩვენს წისქვილზე დასხას წყალი.

პროგნოზი

ზუსტად რომ ვიცოდე, როგორი შედეგით დასრულდება შოტლანდია-საქართველო, ტოტალიზატორში ფსონს ჩავიდოდი (იცინის). რა გითხრათ, ისეთი თამაშია, ნებისმიერი შედეგია მოსალოდნელი. სწრაფი გოლი შოტლანდიელთა გამანადგურებელი გამარჯვების წინაპირობად შეიძლება იქცეს, მეტოქის პირველი იერიშების მოგერიების შემთხვევაში კი უკვე ჩვენს ბიჭებს გაეხსნებათ ხელ-ფეხი.

მოწინააღმდეგის მთავარი უპირატესობა გადაჭედილი ტრიბუნები და მხურვალე ქომაგობა იქნება, მაგრამ იმედი მაქვს, სტადიონზე შექმნილი გარემო გუნდს ვერ დათრგუნავს.

ლევან ჯანეზაშვილი

"ოლიმპის" დამრიგებელმა შოტლანდიასთან მომავალ მატჩთან დაკავშირებით საინტერესო ვარაუდი გამოთქვა. ძოძუაშვილმა ნაკრების ტაქტიკურ სქემაზეც ისაუბრა. ის ფიქრობს, რომ ტოპმიოლერმა სამი ცენტრალური მცველი უნდა დააყენოს... დანარჩენსაც ქვემოთ წაიკითხავთ...

რევაზ ძოძუაშვილი:
არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორ ფორმაში იქნება თავად ტოპმიოლერი



რევაზ ძოძუაშვილი

- 24 მარტის მატჩით საკვალიფიკაციო ეტაპის დასკვნით სტადიას ვიწყებთ. აქედან გამომდინარე, ეს ტური, მთლიანად ჯგუფში, ყველასთვის მნიშვნელოვანია. რაც შეეხება გლაზგოურ თამაშს, ამ მატჩის ბედს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი გადაწყვეტს და შევეცდები, ყველა მათგანზე ორიოდე სიტყვით ვთქვა. თამაში და ჭიდილი მხოლოდ მოედანზე კი არა, მის მიღმაც იქნება. აქ მხოლოდ ტრიბუნებს არ ვგულისხმობ. გამოცდილების, ცოდნის, ფსიქოლოგიის, ნერვების... ჭიდილი იქნება მწვრთნელთა შორისაც. მასპინძლები ყველანაირად შეეცდებიან, მინდვრის მიღმა არსებული ვითარებაც სათავისოდ გამოიყენონ. ისინი ერთგული გულშემატკივრობით შეეცდებიან, „გაგუდონ" მოწინააღმდეგე. ასე რომ, ფეხბურთელთა ფსიქოლოგიურ მომზადებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ადგილობრივმა გულმხურვალე ქომაგებმა ჩვენი ბიჭები არ უნდა დააბნიონ. კლაუს ტოპმიოლერი იმხელა დონის მწვრთნელია, ეს ჩემზე კარგად იცის... მაგრამ მთავარია ტაქტიკა-სტრატეგია. ბოლო მატჩებში კარგად გამოჩნდა, რომ საპასუხისმგებლო შეხვედრებში ჩვენი ნაკრებისთვის უფრო სასარგებლო იყო ჩაკეტილი თამაში, თანაც დაცვიდან. ბუნებრივია, კლაუსმა უკეთ იცის, მაგრამ ვფიქრობ, უმჯობესია, თუ თამაშს დაცვიდან ავაგებთ. ამასთან, ტოპმიოლერს ორი-სამი ტაქტიკური ვარიანტიც უნდა ჰქონდეს გამზადებული, რათა ეს ვარიანტები საჭიროებისამებრ ცვალოს... ასე რომ, ხომ კარგად გამიგეთ, არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ როგორ ფორმაში იქნება თავად ტოპმიოლერი...

- ეს როგორ გავიგოთ?

- როგორ და, მწვრთნელის განწყობასაც არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება. რაც უნდა კარგი შემსრულებლები და გუნდი გყავდეს, თუ მწვრთნელი არაა ფორმაში, სწრაფ, ზოგ შემთხვევაში კი სარისკო გადაწყვეტილებას არ იღებს, შესაძლოა, შედეგი ვერ მიიღო. ბოლო ერთი თვის განმავლობაში კლაუსს ორჯერ შევხვდი. ის "ოლიმპის" მატჩს დაესწრო ჯერ "მერანთან", მერე კი "ზესტაფონთან". ბუნებრივია, მატჩის შემდეგ ვისაუბრეთ კიდეც და აშკარად შევატყვე, რომ მან უკვე ჩაიხედა ქართული ფეხბურთის სამზარეულოში, კარგად იცის ჩვენი მოთამაშეების ფსიქოლოგია. ეს კი ძალზედ მნიშვნელოვანია. მე მგონი, თავადაც კარგ ფორმაშია და ესეც მაიმედებს.

- ანუ, რა შედეგს ელით?

- თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ არ წავაგებთ. ის კი არა და, მოგებასაც ველოდები.

- როგორ ფიქრობთ, რას დაგვიპირისპირებს მაკლიში?

- მაკლიშს, როგორც მწვრთნელს, არ ვიცნობ და ბევრს ვერაფერს გეტყვით. მეტოქე თავისი კოზირებით შეეცდება ფონს გასვლას. მე არ მგონია, რომ შოტლანდიური ფეხბურთი მთლად ინგლისურია, მაგრამ ამ სტილის ელემენტებსაც უხვად შეიცავს. ბუნებრივია, მასპინძელთა მთავარი კოზირი სტანდარტულები და მეორე სართულზე თამაშია. აქვე, გავიხსენოთ კიევის მატჩი, როცა თითქმის მოგებული თამაში სწორედ ამ კომპონენტმთ წავაგეთ. თუმცა ისიც აშკარად ჩანს, რომ მას შემდეგ ტოპმიოლერმა სწორედ ამ მინუსზე გაამახვილა ყურადღება და მერე აღარავის დავუჩაგრივართ.

- და ჩვენ რა უნდა დავუპირისპიროთ შოტლანდიას?

- კოზირები ჩვენც გვაქვს. ტექნიკური, ინდივიდუალურ ოსტატობაზე აგებული, მაგრამ ჩაკეტილი თამაში, თანაც დაცვიდან, ვიმეორებ - დაცვიდან! სამი ცენტრალური მცველით, ფლანგებზე - მარჯვნივ გოგუა, მარცხნივ კვირკველია. არ უნდა დავივიწყოთ ბურდული, დემეტრაძე და ახალგაზრდა სირაძეც. კობიაშვილი საყრდენად, ცქიტიშვილთან ერთად უნდა დააყენონ. საჭიროების შემთხვევაში, კობის მარცხენა მცველადაც კარგად შეუძლია თამაში. კარში კი ლომაია უნდა იდგეს. თურქეთთან მან არაერთხელ გვიხსნა. ამ კონტინგენტით სწრაფ კონტრშეტევებსაც მოვახერხებთ. შოტლანდიელთა მიერ პრესაში გაკეთებული კომენტარებიდან აშკარად ჩანს, რომ მეტოქე სწრაფ გოლს უმიზნებს და პირველ 15-20 წუთში დიდი სიფრთხილე და ყურადღება გვმართებს. კიდევ ერთხელ ვამბობ - ეს ყველაფერი ტოპმიოლერმა ჩემზე კარგად იცის. ის იმ დონის მწვრთნელია, რომ მაკლიში ვერაფრით გააკვირვებს.

დავით ცაბაძე

თემურ მახარაძე:
იოლი მატჩი შოტლანდიასაც არ ელოდება



თუმურ მახარაძე

"ზესტაფონის" მთავარ მწვრთნელ თემურ მახარაძეს შოტლანდია-საქართველოს მატჩზე საუბარი რომ ვთხოვეთ, პირველი ეს გვითხრა - ძალიან მძიმე შეხვედრა გველისო. დიახ, გულშემატკივრებსა და სპეციალისტებში ტრადიციული იმედი ცოცხლობს, მაგრამ არავის უნდა დაავიწყდეს, რომ შოტლანდია ერთ-ერთი ტრადიციული საფეხბურთო ქვეყანაა და იოლად დასაჩაგრი არც ნაკრები ჰყოლია როდესმე და არც კლუბები.

- ბატონო თემურ, შოტლანდია-საქართველოს მატჩისგან რას ელით? რა შეიძლება მასპინძლებს დავუპირისპიროთ?

- ძალიან მძიმე შეხვედრა რომ გველის, ორი აზრი არ არსებობს. თუმცა, თურქეთთან და ურუგვაისთან საქართველოს ნაკრების პროგრესიც ცალსახად გამოჩნდა. აქედან გამომდინარე, ოპტიმიზმის საფუძველი მომეცა.

- საერთოდ, თამაშამდე სკეპტიკურ განცხადებებს ყველა ერიდება. თქვენი სიტყვებიც ამითაა ნაკარნახევი თუ გულწრფელად ამბობთ?

- აბსოლუტურად გულწრფელად ვიძახი, ნაკრებში დადებითი შტრიხები გამოჩნდა. მე მგონი, შოტლანდიას რამდენიმე წამყვანი მოთამაშეც აკლია.

- დღეს კიდევ ერთი ფეხბურთელი, ნაიჯელ კვოშიც გამოაკლდათ.

- ჰოდა, მთლად უკეთესი. თუმცა, შოტლანდიელები ჯგუფის ლიდერები არიან და თავი არ უნდა მოვიტყუოთ, ძალიან ძლიერი ნაკრებია. მათი თამაში ლიტვასთან ვნახე. სიმართლე გითხრათ, ვერ დატოვეს კარგი შთაბეჭდილება, მაგრამ ეს იყო გასვლითი შეხვედრა, ჩაკეტილი ფეხბურთი აჩვენეს, რადგან შედეგის მიღწევა ამ გზით სურდათ. შინ სხვაგვარად ითამაშებენ, გაიხსნებიან და მათი შეკავება ძალიან რთული იქნება.

- თქვენ რომ ტოპმიოლერის მრჩეველი იყოთ, რაზე გაამახვილებდით მის ყურადღებას?

- მე ტოპმიოლერის მრჩევლად არ გამოვდგები, მას საკუთარი ხედვა გააჩნია. თუმცა შოტლანდია ბრიტანულ სტილში თამაშობს და იქნება მაღალი გადაცემები. ასეთ დროს ნამიერ მოდუნებასაც არ გვაპატიებენ. ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ ითამაშებენ ჩვენები "მეორე სართულზე".

- თქვენი აზრით, ქართველ მცველებს ეს ეხერხებათ?

- გაუჭირდებათ, მაგრამ არის შანსი, ჩვენმა ბიჭებმა ღირსეულად ითამაშონ.

მერაბ მამულაშვილი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

მიხეილ ფოცხვერია აგენტი გამხდარა



მიხეილ ფოცხვერია

გახსოვთ **მიხეილ ფოცხვერია**? საქართველოს ნაკრების, დონეცკის "შახტარის", დნეპროპეტროვსკის "დნეპრის", თბილისის "მერანის", ზაპოროჟიეს "მეტალურგისა" და ლუგანსკის "ზარიის" ყოფილმა თავდამსხმელმა სხვა ქვეყნის სამოთხეს რეალურად ამჯობინა ისტორიული სამშობლო.. უკრაინაში გაზრდილმა ამ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებზე უარი თქვა და ამის შემდეგ აითვალწუნეს დონეცკის "შახტარის" მწვრთნელმა და ხელმძღვანელობამ.

ფოცხვერიამ პირველი შეხვედრა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში, სწორედ უკრაინელების წინააღმდეგ, **ვლადიმერ გუცაევის** დაჟინებული მცდელობის შედეგად ითამაშა. შეხვედრა კიევში 1996 წლის 3 სექტემბერს გაიმართა და მართალია, ქართველები იმ დღეს დაგვამარცხეს (1:3), მაგრამ ერთადერთი ბურთი 60-ე წუთზე სწორედ ფოცხვერიამ გაიტანა.

საინტერესო უნდა იყოს აქამდე უცნობი ერთი ისტორიაც: მაშინ უკრაინელებს ქართველი ბიჭი საქართველოს ნაკრების სასტუმროში უნდა მიეყვანათ. მათთ საბოლოოდ ცადეს მისი გადაბირება და მოტყუებით კონჩა-ზასპეს ბაზაზე წაიყვანეს, სადაც უკრაინის ნაკრები იყო დაბინავებული. უკვე გვიანი იყო, მიშას ჯიბეში ტაქსის ფულიც არ ჰქონდა და იძულებული გახდა ქუჩაში, სკამზე დაეძინა. ეს არაა ლეგენდა, ფაქტია და ამიტომ უფრო გვწყდება გული, რომ ეს ბიჭი ისტორიულ სამშობლოში უსინდისოდ დაივიწყეს.

ფოცხვერია ნიჭიერი თავდამსხმელი რომ იყო, ფაქტებიდანაც ჩანს: 19 წლის ფეხბურთელი **ანდრეი შევჩენკოსთან** ერთად იწყებდა კარიერას და ზაპოროჟიეს „მეტალურგში" გატანილი 9 გოლით უკრაინის ჩემპიონატს ბომბარდირობდა, რის შემდეგაც "შახტარში" გადაიყვანეს.

მისი გვარი მადრიდის "რეალის" სასურველ მოთამაშეთა 100-კაციან სიაში ფიგურირებდა. ბრემენის "ვერდერის" დუბლებში ექვსი თვე გუნდის დღევანდელ მთავარ მწვრთნელ **თომას შაფთან** ვარჯიშობდა, მაგრამ კარიერა ნაადრევად, 27 წლის ასაკში, უსახელოდ დაასრულა და ეს, უმთავრესად, იცით, ვისი ბრალია? ქართველების, ვისი გულისთვისაც ფოცხვერიამ ბევრი რამ დათმო. იგი დღეს დაინვალიდებულია და კოჭლობით დადის. ერთმა არასწორმა ოპერაციამ კარიერა დაუნგრია.

ისევ უკრაინელებმა გაიხსენეს. იქ გამომავალმა "სპორტ-ექსპრესმა" გამოაქვეყნა სტატია სათაურით - "ახალგაზრდა ტალანტების სხვადასხვაგვარი ბედი". იქ საუბარი იყო უკრაინაში გაზრდილ ყველაზე ნიჭიერ მოთამაშეებზე, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზით, კარიერა ნაადრევად და უსახელოდ დაასრულეს. შვიდ ყველაზე ნიჭიერ უიღბლოს შორის ფოცხვერიაც მოხვდა.

სტატიიდან გავარკვიეთ, რომ კარიერის დასრულების შემდეგ, 27 წლის ექსფორვარდი ერთი პერიოდი ლუგანსკის "ზარიასთან" თანამშრომლობდა.

ბოლოს ფოცხვერიამ მენეჯერობას მიჰყო ხელი და გაზეთის ინფორმაციით, სწორედ მისი რეკომენდაციით აიყვანეს თავის დროზე ზაპოროჟიეს "მეტალურგში" **ირაკლი მოდებაძე,** ახლა კი **ირაკლი ლილუაშვილი,** ლუგანსკის "ზარიაში" კი - **გიგლა ახალაია.**

როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, ფოცხვერია ამ ორ გუნდთან თანამშრომლობით არ შემოიფარგლება. მას უკრაინაში იცნობენ და დიდ პატივს სცემენ. წესითა და რიგით, მასთან თანამშრომლობა ტრანსფერებზე ორიენტირებული ქართული გუნდებისთვისაც საინტერესო უნდა იყოს.

მერაბ მამულაშვილი

მერანი. სამწვრთნელო ცვლილება

მერანს დელგადო გაწვრთნის?

"ზესტაფონთან" გასვლითი მატჩის შემდეგ "მერანის" უკვე ყოფილ თავკაცს **სერგო კუტივაძისა** და თბილისური კლუბის გზები გაიყარა. უკვე გაცნობეთ იმის შესახებაც, რომ გუნდის მთავარ მწვრთნელად **ასლან ბალაძის** კანდიდატურა განიხილებოდა. სხვათა შორის, ბალაძე უკვე რამდენიმე კვირაა, რაც "მერანში" მუშაობს და ამჟამად, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებთან ერთად შეკრებაზეა. გუშინ "მერანის" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **გენადი ქიქავამ** ოფიციალურად დაგვიდასტურა, რომ გუნდს ბალაძე უხელმძღვანელებს. ჩვენი ინფორმაციით იგი გუნდში მინიმუმ სეზონის ბოლომდე დარჩება, ვინაიდან კლუბის ხელმძღვანელობასა და **ნიკო პატარქალიშვილს** შორის უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები, შესაძლოა, ივნისიდან "მერანს" არგენტინელმა **ედუარდო დელგადომ** უხელმძღვანელოს. "ბორჯომში" სწორედ მისი რეკომენდაციით ჩაირიცხნენ **გონსალო დე პორასი** და **დარიო სებალე.**

„იმედია, მალე „მერანის" ხელმძღვანელობისგან მივიღებ თანხმობას და დელგადო ამ გუნდს გაწვრთნის. ედუარდოს წარმომადგენლები, პირობების გასაცნობად საქართველოში აპრილში ჩამოვლენ. ისინი "მერანის" მატჩებს დაესწრებიან. ერთი სიტყვით, საბოლოო სიტყვა „მერანის" ხელმძღვანელობაზეა. გეტყვით იმასაც, რომ ეს გრანდიოზული პროექტია, რომელიც ქართულ ფეხბურთს დიდ სარგებელს მოუტანს", - გვითხრა არგენტინაში მყოფმა ნიკო პატარქალიშვილმა.

ამის შემდეგ "მერანის" ერთ-ერთ ხელმძღვანელ გენადი ქიქავას დავუკავშირდით:

"ნიკო პატარქალიშვილთან პირადად მქონდა საუბარი. ამ ეტაპზე ვერც დაგიდასტურებთ და ვერც უარვყოფ ედუარდო დელგადოს „მერანში" ჩამოსვლის შესაძლებლობას... პირობებზე ჯერ არც გვისაუბრია, მაგრამ გამორიცხული არაფერია. ეს საკითხი მიმდინარე თვის ბოლომდე გადაწყდება.

მანამდე კი შემიძლია გითხრათ, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი ასლან ბალაძეა. ის ამჟამად გერმანიაშია საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებთან ერთად, დაბრუნდება და გუნდის მზადებას შეუდგება. მას დავით ეჯიბიშვილი და სოსო მალანია დაეხმარებიან. სერგო გაბელაია კი კლუბში კონსულტანტის რანგში მოვიწვიეთ".

დავით ცაბაძე

ამერი

ქვა ქვაზე არ დაბოვეს

"ამერი" აზერბაიჯანელთა მიწვევით მეზობელ ქვეყანას ესტუმრა. გუნდი ბაქოს 19 მარტს ესტუმრა. გუნდის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, 20 მარტს **ჩიხრაძემ** გუნდი ფიზკულტურის აკადემიის მოედანზე ავარჯიშა. "ამერს" ნაკრებში გამოძახებული ექვსი ფეხბურთელი დააკლდა - **ბესიკ ჩიმაკაძე, გიორგი ელბაქიძე** (საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში გამოიძახეს), **რატი წინამძღვრიშვილი, გიორგი ნიკოლაიშვილი, ზურაბ გვაძაბია** და **დავით მჭედლიშვილი.** ეს ოთხეული, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებთან ერთად, ამჟამად გერმანიაში იმყოფება.

გუშინ ბაქოს "ინტერის" ხელოვნურსაფარიანი მოედანზე თბილისელებმა პირველი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს აზერბაიჯანის ჩემპიონატის პირველლიგელ "სტანდარტთან" და მასპინძლები 7:0 გაანადგურეს.

ამერი: ნადირაშვილი, დავითნიძე, დავითაშვილი, ტატანაშვილი, მესხი, კაკაშვილი, დოლიძე, დობროვოლსკი, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე, ვაჩეიშვილი.

შეცვლაზე შევიდნენ: ფირანიშვილი, სევასტოპულო, ხილაგავა, გაბისკირია.

გოლები: 0:1 ტატანაშვილი (2), 0:2 დავითაშვილი (6), 0:3 დავითნიძე (12), 0:4 ხვადაგიანი (19), 0:5 გაბისკირია (37), 0:6 დოლიძე (39), 0:7 ბოლქვაძე (78)

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერი

მათეს მწვრთნელი შეუცვალეს

"მიუნხენ 1860-ის" დამრიგებელ **ვალტერ შახნერს** ბოლოდროინდელი წარუმატებლობები არ აპატიეს და თანამდებობიდან დაითხოვეს. მას ახალგაზრდა სპეციალისტი **მარკო კურცი** შეცვლის.

"სეზონის წინ გუნდს მაღალი ამოცანები ჰქონდა დასახული და ჩემპიონატი შედეგიანადაც დაიწყო. თუმცა, შემდეგ "მიუნხენ 1860-ის" ასპარეზობა არასტაბილური გახდა. ვფიქრობთ, შექმნილ სიტუაციაში ერთადერთი გამოსავალი მთავარი მწვრთნელის შეცვლაა", - ნათქვამია კლუბის ოფიციალურ განცხადებაში. იქვე ფორმალობაც დაცულია, გაწეული საქმიანობისთვის შახნერს მადლობას უხდიან.

კურცს ამ სეზონში ბევრს არაფერს სთხოვენ, მან გუნდი მეორე ბუნდესლიგაში უნდა დატოვოს, გაისად კი "ცისფერ ლომებს" ძველებური მიზანი ექნებათ – მთავარ ბუნდესლიგაში დაბრუნება.

"მარკო ახალგაზრდა, ამბიციური მწვრთნელია. გუნდს სწორედ მისი ტიპის თავკაცი სჭირდებოდა. მომავალი სეზონი წლევანდელისგან რადიკალურად განსხვავებულად უნდა ჩავატაროთ, საამისოდ კლუბის დირექტორატის მხრიდან ყველაფერი გაკეთდება", - ამბობს მიუნხენელთა სპორტული დირექტორი **შტეფან როიტერი.**

დღეისათვის, "მიუნხენი" მეორე ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილში 35 ქულით მე-10 ადგილზეა და, სავარაუდოდ, "ოქროს შუალედშივე" დარჩება.

მათე ღვინიანიძეს რაც შეეხება, შეგახსენებთ, ეროვნული ნაკრების ახალგაზრდა მცველმა ცოტა ხნის წინ ოპერაცია გაიკეთა და მწყობრში დაახლოებით ორ კვირაში ჩადგება.

ლევან ჯანეზაშვილი

გულშემატკივარი

ერთი, ოქროსუბნელთაგანი

დიდ ნოდარ ახალკაცს ძალიან ახლო მეგობარი, რამდენადაც ვიცით, ბევრი არ ჰყავდა. თუმცა, ვისთანაც ურთიერთობდა, ბოლომდე ენდობოდა, უფრო თავისნაირად ღრმად ერუდირებულ ინტელექტუალებთან ჰქონდა მეგობრული კავშირი. ვინ არ იცის, ათწლეულობით დურმიშხან ცინცაძეს ნოდართან მართლაც რომ ძალიან ახლო, გამორჩეული მეგობრობა აკავშირებდა. ისინი, ვისაც დიღმის ბაზაზე ნოდარ ახალკაცთან მიესვლებოდა, იყვნენ სხვადასხვა პროფესიის ყველაზე პოპულარული, ჩვენი საზოგადოების ყველაზე ღირსეული ადამიანები. ასეთი 75 პიროვნება ჰყავს ჩამოთვლილი დურმიშხან ცინცაძეს 2005 წელს გამოცემულ თავის წიგნში "განუმეორებელი ნოდარი".

ხსენებულ წიგნში ნოდარ ახალკაცისადმი უსაზღვრო სიყვარულით დაწერილი სხვადასხვა ავტორის წერილებია თავმოყრილი. საბოლოო ჯამში, ღრმად რომ გვახედებს ამ უნიკალური მწვრთნელისა და პიროვნების სულიერ სამყაროში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი დურმიშხან ცინცაძე ცნობილი და პოპულარული პიროვნებაა, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ამით იგი მედიდურობდეს. მისი ბუნებისთვის ასეთი რამ უცხოა. სხვისი დამსახურებისა და კაცობის წარმოჩენა-დაფასება, იოცოხლეს ხელეწიფება, გნებავთ საუბარში, გნებავთ - სუფრასთან. მას ხომ ბრწყინვალე თამადად იცნობენ. მჭევრმეტყველება თავისთავად - ლაღად, უბრალოდ, მაგრამ დარბაისლურად, საამო ქართულით საუბრობს.

უბნისთვის ზედმიწევნით მორგებული სახელის შერჩევაში თბილისელებს, ალბათ, ბადალი არ ჰყავთ მსოფლიოში. და ეს არ არის მხოლოდ ლოკალური, სრულიად თბილისის სიამაყეა ნებისმიერი უბანი. ახლა რამდენიმე გვარს დავასახელებთ და თავად განსაჯეთ: დიდი კომპოზიტორი და ქართული ფეხბურთის სამაგალითო პატრიოტი გოგი ცაბაძე, მომღერალი გოგი დოლიძე, ცნობილი ფეხბურთელები, ძმები ალიოშა და სერგო კოტრიკაძეები, დიდი ნოდარ ახალკაცი - ყველა ისინი თბილისის "ოქროსუბნელები" არიან. თანაც "ოქროს უბანი" ცნობილი იყო 35-ე სკოლითაც. ლეგენდარული გაიოზ ჯეჯელავა, არჩილ კიკნაძე, მიხეილ პირაევი მომავალ ფეხბურთელებს აქ აფრთიანებდნენ. დურმიშხან ცინცაძეც ამ უბნელია და, რაღა გასაკვირია, ფეხბურთთან ამ კაცის სიახლოვე თუ ისეთსავე მოთხოვნილებად იქცა, როგორც ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების კვლევა. იგი ქართული ფეხბურთის, კერძოდ, თბილისის "დინამოს" მემატიანედ იქცა. ნოდარ ახალკაცი მას განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა და აფასებდა, როგორც ჭეშმარიტი ჭირისუფლის პოზიციიდან ქართული ფეხბურთის ავ-კარგის შემფასებელს. ვთხოვე ბატონ დურმიშხანს, მის საიუბილეოდ რამეს დავწერდი-მეთქი. სასტიკად იუარა. ისღა მოვახერხე, სრულად მაინც ჩამოეთვალა მისი წიგნების ნუსხა. ათამდე გამოვიდა. მერე რა მნიშვნელობის და ღირებულების ისტორიული ნარკვევებია. ნოდარ ახალკაციისადმი მიძღვნილ წიგნზე ზემოთ ითქვა. ფეხბურთს და ნოდარ ახალკაცის ღვაწლს ბატონმა დურმიშხანმა კიდევ ერთი გამოცემა მიუძღვნა. ესაა წიგნი 1981 წელს დიუსელდორფში თბილისის "დინამოს" ბრწყინვალე წარმატებაზე - "გამარჯვება - ქცეული მიზნად". ავტორი, როგორც თბილისის "დინამოს" ყველა მიღწევის, დიუსელდორფის ტრიუმფის თვითმხილველი იყო.

70 წელი სოლიდური ასაკია, მაგრამ არა იმდენად, რამ ბატონ დურმიშხანისნაირი ადამიანები აქტიურ ცხოვრებას ჩამოშორდნენ. ის კვლავ ცხოვრების შუაგულში ტრიალებს და კვლავ სჯერა, რომ ქართული ფეხბურთი ისევ დალაშქრავს საამაყო მწვერვალს.

თენგიზ თომაშვილი

www.kazbegi.com

გაახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ACMILAN.COM. ღია საუბარი კახა კალაძესთან

მილანის შემდეგ საქართველოში? ჯერ არ ვიცი...

გუშინ, კახა კალაძე "მილანის" ოფიციალურ ვებგვერდზე გულშემატკივრებს ესაუბრა, ანუ, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, "ეჩეთავა". აქციამ დაახლოებით ერთ საათს გასტანა. რაკი "ჩეთის" ანონსი ერთი დღით ადრე გამოქვეყნდა, გადავწყვიტეთ, კითხვა ჩვენც დაგვესვა. "ლელოს" კორესპონდენტმა ნიკოლოზ ნეფარიძემ ის ასე ჩამოაყალიბა: "როცა ტრავმის გამო ნაკრებში თქვენი თამაში საეჭვოა, ვინ წყვეტს, უნდა გახვიდეთ თუ არა მოედანზე - მხოლოდ "მილანის" ექიმი? ხომ არ ფიქრობთ, რომ საქართველოს ნაკრების ექიმმაც უნდა შეამოწმოს ტრავმის ხარისხი და გარკვეული დასკვნა გააკეთოს?"

კალაძემ ჩვენი კორესპონდენტის კითხვას არ უპასუხა. მისი ნებაა. სხვათა შორის, დაზუსტებით ვიცით, რომ მან არ უპასუხა ერთ-ერთი ქართველი ქომაგის კითხვასაც. ასე იყო თუ ისე, გთავაზობთ "ჩეთის" შემოკლებულ ვერსიას. ბევრი კითხვა იდენტური იყო და კალაძეც, ცხადია, ასევე პასუხობდა. იმედია, ამის გამო გული არ დაგწყდებათ...

enisa00 - ჩაო, კალაძე!!! ვინ იყო შენი საყვარელი ფეხბურთელი?

- მარადონა. ბავშვობიდანვე ვხვდებოდი, რომ ის ძალიან დიდი იყო.

miianista26 - ჩაო, კალა! რას განიცდი, როცა შეავს "ჩელსის" მაისურით ხედავ? მასთან ერთად ხომ ჯერ კიდევ კიევის "დინამოში" თამაშობდი...

- ბოლოს და ბოლოს, ის ისევ ძველებურად ათამაშდა, რაც ძალიან მახარებს.

rebel03 - ჩაო კაკა (?). რამდენად მალე დაბრუნდები მოედანზე? ცენტრალურ მცველებს შორის ყველაზე მაგარი ხარ...

- სიმართლე გითხრათ, ამ მომენტისთვისაც არ ვიცი, როდის დავბრუნდები. მინდა, ეს რაც შეიძლება მალე მოხდეს, მაგრამ ექიმებს, ჯერჯერობით, ამაზე ზუსტი პასუხი არ აქვთ.

maxdevil92 - ყველაზე მეტად რომელი სიმღერა მოგწონს?

- კონკრეტულად ერთ რომელიმე სიმღერაზე რა გითხრათ და... საერთოდ, იტალიურ მუსიკას ვანიჭებ უპირატესობას. ძალიან მომწონს ვასკო როსი, ასევე ბიაჯო ანტონაჩი, მინა, ჩელენტანო, რენატო ძერო...

kawmoto - რა არის ის საქმე, რისი გაკეთებაც ახლა ყველაზე მეტად გინდა?

- ვისვენებ და ვვარჯიშობ, სხვა საქმე არ მაქვს. ჯერჯერობით, გუნდისგან განცალკევებით ვემზადები იმისთვის, რათა რაც შეიძლება უკეთეს ფორმაში დავუბრუნდე მოედანს. აი, ეს მინდა ყველაზე მეტად.

billylucky - ჩაო, კალაძე! რომელი კერძი გიყვარს ყველაზე მეტად?

- ჭამა ძალიან მიყვარს, მაგრამ პროფესიიდან გამომდინარე, იძულებული ვარ, წონას ყურადღება მივაქციო. ისე კი, იტალიურ და იაპონურ სამზარეულოს გამოვარჩევდი. სხვადასხვა კერძს ვანიჭებ უპირატესობას... რომელიმეს გამოყოფა გამიჭირდება.

Giacomochiari - როგორ ხარ კალა? მომიყევი, რა ემოცია დაგეუფლა, როცა პირველად შეაბიჯე "სან სიროზე"?

- რა თქმა უნდა, უდიდესი პატივი იყო ჩემთვის "მილანის" მაისურის მორგება. მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, თუმცა ზურგსუკან სერიოზული გამოცდილება მქონდა, მათ შორის, საერთაშორისო არენაზეც. "მილანის" სამყაროში შემოსვლა მართლაც ფანტასტიკური შეგრძნება იყო.

luigi94 - კალა, რომელ მილანელთან ხარ ყველაზე ახლოს? გატუზოსთან, თუ სხვასთან? ძალიან გთხოვ, მიპასუხე!

- "მილანი" ერთი დიდი და მეგობრული ოჯახია. თუ მაინცდამაინც სახელები გაინტერესებთ, გეტყვით... ამბრო (ამბროზინი - რედ), მალდინი, ბორიელო... მაინც მიჭირს გამორჩევა...

pier80milcc - ჩაო, კახა, "მილანის" ტიფოზი ვარ და მსურს, რაც შეიძლება მალე გიხილო მინდორზე! როდის დაბრუნდები? როგორ შეფასებას მისცემდი შენი შემცვლელების, შიმიჩისა და ბონერას თამაშს?

- ბონერა ჩინებულია, საგრძნობლად მოუმატა, ძალიან კარგად არის მორგებული ცენტრალური მცველის როლს. რაც შეეხება შიმიჩს, ის ცოტას თამაშობს, მაგრამ, როცა მწვრთნელი ენდობა, ყოველთვის კარგად გამოიყურება.

pimkye - ჩაო, მე ფრანჩესკა ვარ. მცველი რომ არ ყოფილიყავი, რომელ პოზიციაზე ამჯობინებდი თამაშს?

- ნახევარდაცვაში. რეალურად, ამ პოზიციაზეც მიწევს ხოლმე თამაში. ასე იყო პირველ ხანებში, როცა "მილანში" მივედი. სხვათა შორის, ძალიან მომეწონა ჩემი თავი ამ როლში... მაგრამ ეს ყველაფერი მწვრთნელის კომპეტენციაა.

vg17 - ჩაო, კახა! როგორ ფიქრობ, რომელია "მილანის" ყველაზე ტექნიკური მოთამაშე? ჩაო, შენ ძალიან ძლიერი ხარ...

- ტექნიკური? "მილანში" ყველა ტექნიკურია. გამორჩევა გამიჭირდება.

coletta - ქორეოგრაფია თუ მოგწონთ? და როგორ ფიქრობთ, ტიფოზი ყოველთვის მოძალადესთან ასოცირდება?

- ქორეოგრაფია ძალიან მომწონს. რაც შეეხებათ ტიფოზებს, ნამდვილად არ მაქვს მათზე ისეთი წარმოდგენა, თითქოს მხოლოდ მოძალადეები იყვნენ, პირიქით, გულშემატკივართა დიდ არმიასთან შედარებით, ისინი ცოტა არიან, თუმცა არეულობის მოწყობა ეხერხებათ. საერთოდ კი, ქომაგების გარეშე ფეხბურთი წარმოუდგენელია, არარაობაა. ისინი ჩვენ სტიმულს გვაძლევენ... რა თქმა უნდა, ჭეშმარიტ ქომაგებს ვგულისხმობ.

duckdk - ჩაო, კახა! მე შენი ფანი ვარ ჩინეთიდან. გისურვებ მოედანზე დროულ დაბრუნებას. ფეხბურთის გარდა, სპორტის რომელი სახეობა გიტაცებს? დიდი მადლობა და კიდევ ერთხელ გულთბილი სალამი!

- ფეხბურთის გარდა, ძალიან მიყვარს კალათბურთი. როგორც კი საშუალება მეძლევა, NBA-ს მატჩებს ვუყურებ.

Markfener90 - რომელი ფილმი მოგწონს ყველაზე მეტად?

- ასეთი ძალიან ბევრია. ჩემი საყვარელი მსახიობი ალ პაჩინოა და შესაბამისად, ყველაზე ხშირად სწორედ მის ფილმებს ვუყურებ.

Bobbert - მიიღე ჩემგან საუკეთესო კომპლიმენტები. "მილანი" მალე "ბაიერნს" შეხვდება. რას ფიქრობ ამ თამაშზე?

- "ბაიერნი" დიდი გუნდია. და საერთოდ, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში სუსტი მეტოქე არ შეიძლება იყოს. ჩვენი ლოკალური მიზანი ამ ბარიერის დაძლევაა და საამისოდ, ყველაფერს გავაკეთებთ. მოკლედ, "ბაიერნი" ვერ შეგვაშინებს.

Markfener90 - ჩაო, კალა! მე ვარ მარკო რუვო პულიიდან. "მილანში" გატარებული წლების განმავლობაში, რა დაგამახსოვრდა ყველაზე მეტად ისეთი, რაც შენს ქვეყანაში არ ყოფილა?

- ნამდვილი ბედნიერება სწორედ იტალიაში ვიგრძენი. ეს არის ქვეყანა, რომელმაც სიმშვიდე და პროფესიული ზრდის საშუალება მომცა. ჩემთვის ეს ყველაზე მთავარია.

clerici72 - მილანური წლებიდან რას გამოყოფდი განსაკუთრებით?

- თუ საფეხბურთო მხარეს გულისხმობთ, რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგის მოგებას. ყველაზე რთული კი, პირადად ჩემთვის, მომდევნო სეზონი იყო, როცა მძიმე ტრავმა მივიღე და ძალიან ცოტა ვითამაშე.

sinistro - ჩაო, კახა! მინდა გითხრა, რომ ჩემთვის ნომერი პირველი ხარ! ახლა კი კითხვა: როდის მიხვდი, რომ დიდი ფეხბურთელი ხარ?

- როცა კიევის "დინამოდან" "მილანში" გადმოვედი. მომდევნო ორი წელი ჩემთვის გადამწყვეტი იყო. ისე, "დინამოსთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაში უკვე ნათამაშები მქონდა, რამაც ჩემს კარიერაში ტრამპლინის როლი შეასრულა.

clerici72 - მოედანზე გასვლის წინ რაიმე რიტუალს თუ ასრულებ?

- განსაკუთრებულს არაფერს... ვცდილობ, მოედანზე პირველი გავიდე ხოლმე. ცრურწმენებით ჩვენთან ჯილარდინო და ინძაგი გამოირჩევიან!!!

waxguy - როგორ შეფასებას მისცემდი "მილანის" დაცვას?

- როცა ოპტიმალური შემადგენლობით ვთამაშობთ, ჩვენი დაცვის ხაზი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა.

luana1 - ჩაო, კახა! მე ვარ ლუანა ჯელადან. რა გრძნობა გეუფლება პირველად, როცა მოედანზე გადიხარ?

- არ ვნერვიულობ, მშვიდად ვარ ხოლმე. მართალია, მნიშვნელოვანი თამაშების დროს დაძაბულობა და სტრესი დიდია, მაგრამ ვცდილობ, საკუთარი თავი მაქსიმალურად ვაკონტროლო.

kanazmen - რას იტყვი "რომასთან" მომავალ მატჩზე?

- უმნიშვნელოვანესი თამაში იქნება. აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ. "ბაიერნთან" მოგებასაც ფუნდამენტური მნიშვნელობა ექნება... ასე ვიტყოდი, მთლიანად ამ სეზონის ჭრილში.

coletta - ჩაო კახა! ცხოველები თუ გიყვარს? ან რომელიმე თუ გყავს? მე ორი კატა მყავს და ორივე ძალიან მიყვარს... ჩაო, მალე დაბრუნდი!

- ცხოველები მიყვარს. მყავს ინგლისური ბულდოგი. მას რემბო ჰქვია. ჩემი მობილურიდან მის ფოტოებს ხანდახან "მილანის" ვებ-გვერდის "ბლოგში" (პერსონალური განყოფილება ამა თუ იმ ვებ-გვერდში - რედ) ვგზავნი და თუ გაინტერესებს, შეგიძლია ნახო.

ringhioemordo - ჩაო, კალა! მე ვარ ჯანლუკა რივოლიდან. ეს ტურინის გარეუბანია. მოუთმენლად ველი შენს დაბრუნებას. ძალიან მაკლიხარ, როცა მოედანზე ვერ გხედავ... "ინტერთან" ამ სეზონის ორივე დერბი წავაგეთ. მიუხედავად იმისა, რომ "ინტერი" ლიდერია, არა მგონია, "მილანზე" ძლიერი იყოს. რას ფიქრობ ამაზე?

- მართლა უცნაურია... "სელტიკთან" მატჩის შემდეგ ბიჭები ძალიან დაღლილები იყვნენ და მეორე ტაიმში ეს აშკარად გამოჩნდა კიდეც.

simoaschotmailit - "მილანს" დიდი მცველები ჰყავს: მალდინი, ნესტა, კოსტაკურტა... კალაძე. ძნელია მათთან კონკურენცია?

- ჩვენ შორის კონკურენცია არ არის. პროფესიონალები ვართ და გაცნობიერებული გვაქვს, რომ ერთ საქმეს ვემსახურებით. ეს საქმე კი "მილანის" დღევანდელობა და მომავალია.

lmoris87 - რომელი თავდამსხმელის წინააღმდეგ გიჭირს თამაში ყველაზე მეტად?

- უამრავი ფორვარდის პირისპირ მითამაშია... სხვათა შორის, პატარა გუნდების თავდამსხმელების მხრიდან უფრო ბევრია პრობლემა. მათ ნაკლებად იცნობ და თითქოს ბოლომდე მობილიზებაც გიჭირს. მაგრამ როცა სახელოვან ფორვარდებს ეთამაშები, აქ უკვე სხვაგვარადაა საქმე, უფრო კონცენტრირებული ხარ, მისი ყველა პლუს-მინუსი იცი და ნეიტრალიზებაც შედარებით ადვილია.

kakakikaki - როგორ ფიქრობ, გახდება კაკა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი?

- კაკა "მილანისთვის" უდიდესი ძალაა. მე ვფიქრობ, ერთ მშვენიერ დღეს მას მართლაც ვიხილავთ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის პრიზით ხელში.

antoking - როგორი გრძნობაა მალდინისთან ერთად თამაში?

- საოცარი. ის ჩემი ერთ-ერთი კერპი იყო. პაოლო ჭეშმარიტი პროფესიონალის განსახიერება და... ვიტყოდი, ეტალონია. მგონი, ყველაფერი ვთქვი...

MoniaDark - ჩემი მეგობარი მაქსი გთხოვს, როგორმე ამ სეზონში ერთი მნიშვნელოვანი გოლი მაინც გაიტანო...

- მცველს გოლის გატანა არ მოეთხოვება. თუმცა ეს მართლაც უდიდესი სიამოვნებაა. ვეცდები, გავითვალისწინო შენი მეგობრის თხოვნა და გავიტანო... მაგრამ ჯერ უნდა დავბრუნდე და ფორმა აღვიდგინო. თავადაც დამელაპარაკოს...

milanista26 - როგორ მიიღეთ რონალდო?

- რონალდო დიდი ჩემპიონია. ბევრს მიაჩნდა, რომ მისი ფეხბურთი დამთავრებული იყო, მაგრამ ხომ ხედავთ, რონალდო ძველებურად ფენომენურია.

Virbon - რომელი იყო ყველაზე ბედნიერი დღე შენს ცხოვრებაში?

- ...როცა "მილანთან" კონტრაქტი გავაფორმე.

Deborissima - ფეხბურთელი რომ არ ყოფილიყავი, რა გზას აირჩევდი?

- მიჭირს თქმა... 17-18 წლის ვიყავი, როცა მივხვდი, რომ ჩემი ბედისწერა ფეხბურთი იყო.

milanista26 - კალა, როცა "მილანში" თამაშს დაასრულებ, საქართველოში არ დაბრუნდები?

- ამაზე ჯერ არ მიფიქრია. საქართველოს გარეშე გამიჭირდება, მაგრამ იტალიამ, და კონკრეტულად მილანმა, ბევრი რამ მომცა... ვნახოთ, ჯერ არ ვიცი...

Regulus - ეჭვგარეშეა, რომ ამ სეზონში "მილანის" მთავარი ობიექტივი ჩემპიონთა ლიგაა. რა განსხვავებაა ლიგისა და სერია A-ს მატჩებს შორის?

- ეს ორი განსხვავებული ემოციაა. უბრალოდ, ფაქტია, რომ ჩემპიონთა ლიგას ცოტა სხვა ხიბლი აქვს, როგორც ფეხბურთელებისთვის, ასევე ტიფოზებისთვის.

MirkoPagli - ჩაო, კალა! როგორ ფიქრობ, გავა საქართველოს ნაკრების ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე?

- ძალიან რთული იქნება, რადგან ახალგაზრდული გუნდი გვყავს და თანაც, ჯგუფში უძლიერესმა შემადგენლობამ მოიყარა თავი... იტალია, საფრანგეთი, შოტლანდია, უკრაინა... დიდ ტურნირებზე მოხვედრა ჩვენი ოცნებაა, სანუკვარი ოცნება...

1moma6 - "მილანის" გარდა, რომელია შენი გულის გუნდი?

- რა თქმა უნდა, ჩემი ეროვნული ნაკრები.

Regulus - ფეხბურთს რომ დაანებებ თავს, მწვრთნელად ხომ არ იმუშავებ?

- არა, არასოდეს!

duckdk - მე ვნახე შენი ფოტო "მილანის" საოჯახო წიგნში. ძალიან სექსუალურად გამოიყურები. გიყვარს მოდა?

- მიყვარს, მაგრამ ჩემი მთავარი ინტერესი ფეხბურთს უკავშირდება...

...ამასობაში, ვებგვერდის რედაქცია კალაძეს ატყობინებს: კახა, დროა, დავასრულოთ, მალე ვარჯიში იწყება. გემშვიდობებით acmilan.com-ის მომდევნო ჩეთამდე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი. მოსალოდნელი დანიშვნა და ტრანსფერები

ივლისიდან რეალს შუსტერი ჩაიბარებს

დიარიო ასის სენსაციური ინფორმაცია: მიატოვიჩი ხეტაფეს დამრიგებელს საიდუმლოდ შეხვდა და სამეფო კლუბის გაძღოლაზე დაითანხმა...

გუშინ "დიარიო ასმა" სენსაციური ცნობა გაავრცელა. მადრიდული გაზეთის მტკიცებით, ბერნდ შუსტერი პრედრაგ მიატოვიჩს კონსპირაციულად შეხვდა და სამომავლო გეგმებზე ესაუბრა. თურმე, მხარეები შეთანხმდნენ, რომ გერმანელი სპეციალისტი 2007 წლის 1 ივლისს მადრიდის "რეალს" ჩაიბარებს. მართალია, სამეფო კლუბის ოფიციალური პირები ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ, მაგრამ ჩვენი კოლეგები სანდო წყაროებზე აპელირებენ. როგორც გაირკვა, "დიარიო ასს" სენსაციური ცნობა თავად "რეალის" ოფისიდან მიაწოდეს.

შუსტერისა და მიატოვიჩის შეხვედრას დირექტორატის თათბირი უძღოდა წინ. ხოსე რამონ კალდერონმა ხელქვეითები სამშაბათს საღამოს კაბინეტში დაიბარა. პრეზიდენტმა პრესას არაფერი შეატყობინა. ამიტომ ეს ამბავი რამდენიმე დღის დაგვიანებით გახმაურდა.

კალდერონმა კოლეგებს განუცხადა, კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი შანსი შუსტერის დანიშვნაა. მისი თქმით, "ხეტაფეს" ამჟამინდელი დამრიგებელი პრიმერა დივიზიონს ზედმიწევნით კარგად იცნობს. მან შესანიშნავად იცის, რომელი გუნდი რას წარმოადგენს და კონკურენციას როგორც უნდა გაუძღოს. დაუდასტურებელი ინფორმაციით, სენიორ კალდერონს დირექტორატში რამდენიმე მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. ისინი ფიქრობენ, რომ კაპელოს დრო უნდა მიეცეს, რადგან წინა წლებში დაუძლურებული გუნდის გამართვას ერთი სეზონი არ ჰყოფნის. კალდერონმა და მიატოვიჩმა "მეამბოხეებს" მალე ჩააგდებინეს ხმა. დირეაქტორატის უმრავლესობა პრეზიდენტს უსიტყვოდ დაეთანხმა. აქედან გამომდინარე, "დიარიო ასი" სრული სერიოზულობით გვიმტკიცებს, რომ ბერნდ შუსტერის დანიშვნა გარდაუვალია. მხარეები თურმე სიტყვიერად შეთანხმდნენ, რომ გერმანელი "ხეტაფეს" დელიკატურად გამოემშვიდობება და ფაბიო კაპელოს საქმეს ჩაიბარებს.

ბერნდ შუსტერი

ფავორიტი მწვრთნელი? ბერნდ შუსტერი

ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ "დიარიო ასი" ბერნდ შუსტერს შეხვდა და ინტერვიუ ჩამოართვა. მადრიდელი ჟურნალისტების მცდელობის მიუხედავად, "ხეტაფეს" დამრიგებელმა მიატოვიჩთან შეხვედრის ფაქტი არ დაადასტურა. სამაგიეროდ, მან საკუთარ საფეხბურთო მსოფლმხედველობასა და სხვა საინტერესო საკითხებზე ისაუბრა

- ჰერ შუსტერ, ფეხბურთელებს რა კრიტერიუმით აფასებთ?

- როგორც იცით, ძირითადად საშუალო ფინანსური შესაძლებლობების მქონე კლუბებში ვმუშაობდი. ამიტომ ფაქტობრივად, ერთადერთი კრიტერიუმი ფული გახლავთ. იმ მოთამაშეებს ვყიდულობთ, რომელთა შეძენის შესაძლებლობაც ბიუჯეტს აქვს.

- დავუშვათ, უმდიდრეს გუნდში დაინიშნეთ, ამ შემთხვევაში არჩევანს რის მიხედვით გააკეთებთ?

- თუ ფინანსებში შეზღუდული არ ვიქნები, ჩემს გუნდში იმ ხალხს მოვიყვან, რომლებსაც ფეხბურთის თამაში სიამოვნებას მიანიჭებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგზე ფიქრი უტოპია იქნება. ფეხბურთელი, რომელსაც თამაში არ სიამოვნებს, უმაღლეს მწვრვალს ვერასოდეს დაიპყრობს. შეუძლებელია, მას ყველაზე ამბიციური მიზნები დაუსახო და შემდეგ მათი შესრულება მოთხოვო.

- თქვენი კარგად მესმის, მაგრამ წარმოუდგენელია, ფეხბურთელის შერჩევისას თამაშით სიამოვნების მიღება ერთადერთი კრიტერიუმი იყოს.

- არ მითქვამს, რომ მხოლოდ ამ კრიტერიუმით ვხელმძღვანელობდი. მნიშვნელოვანია, მოთამაშე ნიჭიერი, გაწონასწორებული, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული და ფიზიკურად ძლიერი იყოს. თუ ეს ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვევა, მწვრთნელს აღარაფერი შეუშლის ხელს, ლეგენდარული გუნდი გააკეთოს. სამწუხაროდ, აქამდე ასეთი ფეხბურთელების შეკრების შესაძლებლობა არ მეძლეოდა.

- რისი თქმა გსურთ? კლუბის ხელმძღვანელობამ ყველა მოთხოვნა რომ დაგიკმაყოფილოთ, ლეგენდარული კოლექტივს შექმნით?

- ნებისმიერმა ადამიანმა საკუთარი უნარი საქმით უნდა დაამტკიცოს. ამიტომ ახლა კონკრეტულ პასუხს ვერ გაგცემთ, თუმცა ჩემს თავს კარგად ვიცნობ და მიმაჩნია, რომ სასურველ ფეხბურთელებთან ერთად უდიდესი ტიტულების მოპოვებას შევძლებ.

- მაინც, თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, გუნდს რომელი ფეხბურთელებით დაკომპლექტებდით?

- დიდი ბედნიერება იქნება, ისეთ მოთამაშეებს თუ ჩაიგდებ ხელში, როგორებიც ჩვენ, ინიესტა და ფაბრეგასი არიან. ჩემი აზრით, ძლიერი გუნდის მშენებლობა ნახევარდაცვიდან უნდა დაიწყო. თუ შუა ხაზში ყველაფერი წესრიგშია, თავდასხმასა და დაცვაში ცხოვრება ერთი ორად უადვილდება.

- ფაქტობრივად, ყველა მწვრთნელი ამბობს, რომ მათი მთავარი ამოცანა სტაბილურობის მიღწევაა. თქვენც ამ კატეგორიას განეკუთვნებით?

- რა თქმა უნდა. პრიმერა დივიზიონში მსოფლიოს უძლიერესი გუნდები თამაშობენ. "რეალი" და "ბარსელონა" ყველაზე ტრადიციული კოლექტივებია. ამიტომ მათი წარმატებები დიდად არავის უკვირს. აი, "სევილია" კი ნამდვილი საოცრებაა. ჩემი აზრით, ანდალუსიელები ბოლო რამდენიმე წელია, ყველაზე სტაბილურად ასპარეზობენ. ხუანდე რამოსმა ფანტასტიკური სამუშაო შეასრულა.

- არ მითხრათ, რომ ის თქვენი ფავორიტი მწვრთნელია.



ბერნდ შუსტერი

- ჩემი ფავორიტი მწვრთნელი ბერნდ შუსტერია. სხვებიდან კი ყველაზე მეტად ჟოზე მოურინიოს ვაფასებ.

- რატომ?

- იმიტომ, რომ მოურინიოსი თვით "ბარსელონასაც" ეშინია. გაიხსენეთ, როგორ ფრთხილობდნენ კატალონიელები, როცა "ჩელსისთან" შეხვედრა ახლოვდებოდა. ვერ ვიტყვი, რომ მე და მოურინიო ერთი და იმავე მსოფლმხედველობით ვხელმძღვანელობთ, მაგრამ შეუძლებელია, მისი მუშაობა არ დააფასო. ის უამრავ ვარსკვლავს ჭკუას არიგებს და ამისი არასოდეს შეშინებია.

- თქვენს მთავარ ღირსებად რას მიიჩნევთ?

- ჩემს თავში გერმანული და ესპანური ფეხბურთების სტილი გავაერთიანე. ანუ, დისციპლინას ტექნიკა შევმატე.

- როცა დისციპლინაზე საუბრობთ, რას გულისხმობთ ხოლმე?

- ამას წინათ, გუტი ვარჯიშზე კაპელოს თავს დაესხა. როცა ეს ამბავი გავიგე, ვიფიქრე, ხოსე მარიასთვის სეზონი დამთავრებულია-მეთქი, მაგრამ მომდევნო ტურში ის ძირითად შემადგენლობაში იყო. კაპელოს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მის ადგილზე გუტის ამას არ ვაპატიებდი. სენიორ ფაბიოს ჩემგან არ ესწავლება, დაუშვებელია, ფეხბურთელმა იგრძნოს ან იფიქროს, ცოტას გავცხარდები, მწვრთნელის თავზე გავივლი და საკუთარ ეგოს დავიკმაყოფილებო. როგორც ჩანს, გუტიმ წინასწარ იცოდა, რომ დისციპლინის ფეხქვეშ გათელვა შერჩებოდა.

- თანამედროვე ფეხბურთში ორი საყრდენი ნახევარმცველით თამაში აქსიომად იქცა. როგორ ფიქრობთ, გუნდი, რომელიც მოედნის ცენტრში ერთ შუახაზელს იყენებს, განწირულია?

- არა, ვინც ასე ფიქრობს, ან სულელია, ან უვიცი. თავისუფლად შეიძლება, გუნდი ერთი დაცვითი ყაიდის ფეხბურთელით თამაშობდეს. "ბარსელონა" სწორედ ამ ტაქტიკას იყენებს და ვგონებ, ძალიან კარგადაც. ყველაფერი ალბათ, გემოვნების საქმეა.

- მოატივიჩს სად შეხვდით?

- ხომ შევთანხმდით, რომ ამ თემაზე არ ვისაუბრებდით?

- დიდი მადლობა, ინტერვიუსთვის.

ილია ნიკოლაიშვილი

მანჩესტერ იუნაიტედი

ფერგიუ ცეცხლი ყარა

კრისტიანო 80 მილიონად მადრიდში?

"სანმა" სკანდალური მასალა გამოაქვეყნა. "მიდლსბროსთან" სათასო გადათამაშების შემდეგ **სერ ალექს ფერგიუსონი** "სქაი სპორტსის" ჟურნალისტ **ჯეფ შრივზს** ეჩხუბა და უწმაწური სიტყვებით შეამკო. "ეშმაკების" ბოსი შრივზის კითხვამ გააცოფა, რომელიც ამ უკანასკნელმა **კრისტიანო რონალდოს** დაუსვა. მოგეხსენებათ, ის მატჩი "იუნაიტედმა" 11-მეტრიანით მოიგო. პენალტი **ჯონათან ვუდგეიტის** მიერ კრისტიანოს წაქცევისთვის დაინიშნა. რივერსაიდელმა ფანებმა და მიმომხილველებმა მსაჯის გადაწყვეტილება ეჭქვქვეშ დააყენეს. მათ შორის, როგორც ჩანს, შრივზიც იყო. თამაშის დასრულებისთანავე, მან კრისტიანოს ჰკითხა, ხომ არ ისიმულიანტეო. რონალდომ აუღელვებლად უპასუხა. ფერგიმ კი, კითხვას ყური მოჰკრა თუ არა, საბრალო მიმომხილველი უკანასკნელი სიტყვებით გამოლანძღა. სერ ალექსი ისე აღრიალდა, რომ BBC-ს მიმომხილველ **აივენ გასკელს** "მიდლსბროს" თავკაც **გარეთ საუთგეიტთან** ინტერვიუს შეწყვეტა მოუხდა. აი, სრული სტენოგრამა. მასალა "სანმა" მინიმალურზე მინიმალური ცენზურით დაბეჭდა:

შრივზი: მე მას ვკითხე...

ფერგიუსონი: ნაბოზარო!

შრივზი: არც იფიქროთ ჩემთან ასეთი საუბარი!

ფერგიუსონი: ნადი, შენი...

შრივზი: არც იფიქროთ-მეთქი ჩემთან ასეთი საუბარი! ჭკუას მოუხმეთ!

ფერგიუსონი: შენ მოუხმე ჭკუას, შე ნაბოზარო! შენი დედაც ..., გაიგე?!

შრივზი: ასე აპირებთ ჩემთან საუბარს?

ფერგიუსონი: და შენ ასეთი კითხვების დასმას აპირებ? შენ ნორმალურ კითხვებს სვამ?

შრივზი: მე ამის უფლება მაქვს, კრისტიანომ ძალიან ადეკვატური პასუხები გამცა...

ფერგიუსონი: გავარტყი შენს პასუხებს. ვის რა ... კიდია შენი პასუხები.

შრივზი: ახლავე შეწყვიტეთ ასეთი საუბარი და მიბრძანდით აქედან! როცა საუბარს ისწავლით, მერე ვილაპარაკოთ.

ფერგიუსონი: წადი, შენი ("მენიუს" ბოსი გასახდელში შევიდა და კარი მაგრად მიაჯახუნა).

გასკელი საუთგეიტს: კითხვას გაგიმეორებთ, კარგით?

ფერგი მომდევნო ინფორმაციის ავტორს, ალბათ, სულს ამოართმევდა. ესპანური გამოცემა "ასი" იუწყება, რომ "რეალი" 80 მილიონ ევროს ამზადებს. მას, რა თქმა უნდა, პორტუგალიელი გარემარბის შეძენა უნდა. კრისტიანოს მანჩესტერული მომავალი განუწყვეტელი სპეკულაციების საგანია. ვნებათაღელვას ვერ აცხრობს გავრცელებული ინფორმაცია ფეხბურთელისა და "იუნაიტედის" მოლაპარაკებების შესახებ. თუ სამეფო კლუბი კრისტიანოსთან საერთო ენას გამონახავს, მსოფლიოს სატრანსფერო ბაზრის ახალ რეკორდს დაამყარებს. წინა რეკორდიც "რეალს" ეკუთვნის. შეგახსენებთ, 2001 წელს, მადრიდელებმა "იუვენტუსს" **ზინედინ ზიდანის** სანაცვლოდ 60 მილიონი ევრო გადაუხადეს.

ერთი კვირის წინათ "ასმა" და "მარკამ" ხმაშეწყობილად გვაუწყეს, რონალდოს ესპანეთში ჩამოსვლა სურსო. "მარჩესტერთან" ახალ კონტრაქტზე შეთანხმება ჯერაც არ არის მიღწეული. სერ ალექსი კი დარმუნებით ამბობს, კრისტიანო "იუნაიტედში" დარჩებაო. პორტუგალიელმა პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშებაში 16 გოლი შეაგდო.



სერ ალექს ფერგიუსონი

რობენი კაპელოსაც სურს

მზადება საზაფხულო გაწამაწიისთვის ორი სევილიელი, ერთიც გალისიელი და მინუს ორი ბრაზილიელი?



არიენ რობენზე დიდი მოთხოვნაა

არიენ რობენი "რეალსაც" სურს. ჰოლანდიური გაზეთების ცნობით, "ჩელსიმ" "ბარსელონას" ფეხბურთელთან მოლაპარაკების ნება დართო. ახლა კი საქმეში სამეფო კლუბიც ჩაერია. "დიარიო სპორტის" მტკიცებით, რობენი ფაბიო კაპელოს ერთ-ერთი ფავორიტია. მისი ტრანსფერი პრეზიდენტ **რამონ კალდერონისთვისაც** პრესტიჟის საქმეა. არიენი მას შარშანაც სურდა, მაგრამ ლონდონელებთან ვერაფერი გააწყო. თუ სასურველი ფეხბურთელი "ბარსელონაში" აღმოჩნდება, ეს პრეზიდენტის იმიჯზე უარყოფითად იმოქმედებს.

"რეალის" "სევილიის" ორი ფეხბურთელი, **დანიელ ალვეში** და **ხესუს ნავასიც** სურს. მადრიდელებმა ანდალუსიელებს უკვე შესთავაზეს მოლაპარაკებების დაწყება. სევილიელი პრეზიდენტი **ხოსე მარია დელ ნიდო** თანახმაა, ალვეში სარფიანად გაყიდოს, ნავასზე კი ჯერჯერობით, არაფერი უთქვამს.

"რეალი" **რობინიოს** გაშვებას არ აპირებს. ეს ინფორმაცია პირადად პრეზიდენტმა კალდერონმა გაავრცელა. რამდენიმე დღის წინათ ფეხბურთელის აგენტმა **ვაგნერ რიბეირომ** განაცხადა, რომ მადრიდელებს მისი კლიენტი 18 მილიონად ჰყავდათ შეფასებული. სენიორ კალდერონმა აგენტის განცხადება კატეგორიულად უარჰყო: *"გვინდა, რომ ის რეალში დარჩეს. მის გაყიდვას არ ვაპირებთ. რობინიო მხოლოდ 23 წლისაა, მწვრთნელებს მისი იმედი აქვთ. ის ჩვენი კლუბის მომავალია."*

თითქმის გადაწყვეტილია, რომ **რობერტო კარლოსი** კარიერას "ფენერბაჰჩეში" გააგრძელებს. "ასის" ცნობით, ბრაზილიელ ვეტერანს მისი თანამემამულე **ზიკო** ეპატიჟება. ეს უკანასკნელი, მოგეხსენებათ, "ფენერის" მთავარი მწვრთნელია. თურქები კარლოსს სარფიან ორწლიან კონტრაქტს სთავაზობენ. სტამბოლელთა შემადგენლობაში, დამრიგებლის გარდა, კიდევ ოთხი ბრაზილიელი ასპარეზობს - **ალექსი, დეივიდი, აურელიო** და **ედუ დრასენა**.

და კიდევ, "დეპორტივოს" პრეზიდენტი **აუგუსტო სესარ ლენდოირო** მადრიდში იმყოფებოდა. მან "რეალთან" მოლაპარაკებები წამოიწყო. საუბარი ეხება პორტუგალიელ მცველ **ჟორჟე ანდრადეს** დედაქალაქში ტრანსფერს. ლენდოირო, თანხის გარდა, მინიმუმ ერთი სათადარიგო ფეხბურთელის დამატებას ითხოვს. გალისიელთა თავკაცს ყველაზე შეტად ნახევარმცველი **რუბენ დე ლა რედი** და მეკარე **დიეგო ლოპესი** სურს. ესპანური სააგენტოების ცნობით, "რეალს" **ანდრადესთან** კონტრაქტის პერსონალური დეტალები შეთანხმებული აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი დანიშვნა

ლიპი და ვიალი: იდეალური წყვილი რომანისათვის

გაძეტა დელო სპორტის ცნობით, აბრამოვიჩი მზადაა, ჩელსი იტალიელებს ჩააბაროს

მარჩელოსა და დიდი იუვეს დროება, ვიალისთან და ბაჯოსთან ერთად

სენსაციური ცნობა "გაძეტა დელო სპორტისგან": "**ლიპი** და **ვიალი** "ჩელსიში", აბრამოვიჩი თანახმაა". თუ რატომ და როგორ შეიძლება ეს რომ მოხდეს, ამას თავად "გაძეტაში" გამოქვეყნებული სტატიიდან გავიგებთ:

"ლიპი-ვიალი - დიდი წყვილი, ისეთი, როგორიც "ჩელსის" ეკადრება. "სტემფორდ ბრიჯზე" მსოფლიოს ჩემპიონ მწვრთნელს ყოზე მოურინიოს იდეალურ მემკვიდრედ განიხილავენ, ვიალის კი მის მარჯვენა ხელად მოიაზრებენ - ყოველ შემთხვევაში, ბევრად უფრო მეტად, ვიდრე უბრალო თარჯიმნად. ეს ისტორია ინგლისურ პრესაში თებერვლის დასაწყისში გამოჩნდა, თუმცა "ჩელსიმ" მაშინვე ოფიციალურად უარყო, მაგრამ გუშინ ახალი გაგრძელება მოჰყვა, ამჯერად აბრამოვიჩის გარემოცვის მხრიდან. თითქმის ორი თვის წინათ ერთ-ერთმა ბრიტანულმა ტაბლოიდმა გამოაქვეყნა ინტერვიუ მარჩელო ლიპისთან და იტალიელ მწვრთნელს ასეთი ფრაზა ათქმევინა: *"დიახ, მე მზად ვარ "ჩელსისთვის", რა გასაკვირია, რომ დიდ კლუბს მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელის მიწვევა სურდეს"*. ლონდონური კლუბი ამ ინფორმაციას მაშინვე გაემიჯნა: *"არანაირი საუბარი არ გვქონია არც ლიპისთან და არც სხვა მწვრთნელთან. სრულ ნდობას ვუცხადებთ მოურინიოს, რომელმაც თავის მხრივ, კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა თავისი სურვილი, რომ კონტრაქტის პირობები ბოლომდე დაიცვას და გუნდში 2010 წლამდე დარჩეს"*.

თვენახევრის შემდეგ მოურინიოს "ჩელსის" უკვე მოპოვებული აქვს ლიგის თასი (კარდიფში "არსენალთან" მოგებული ფინალის შემდეგ) და დარჩენილ სამ ფრონტზეც გამარჯვებისთვის იბრძვის. პრემიერლიგაში "არისტოკრატები" ლიდერ "მანჩესტერს" 6 ქულით ჩამორჩებიან. ისე ჩანს, რომ, მეუღლესთან განქორწინების შემდეგ, აბრამოვიჩს საბოლოოდ აქვს გადაწყვეტილი მოურინიოსთან განშორებაც, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი პორტუგალიელი წლეულს საოცნებო "პოკერს" შეასრულებს და ყველა შესაძლო ტიტულს მოიგებს. რუსი მილიარდერი მოურინიოს შობის შემდეგ აღარ ელაპარაკება და გუნდისგანაც დისტანცია უჭირავს (კარდიფში გამარჯვების შემდეგ მისალოცად გასახდელში არ ჩასულა), ხანკი, მოუცლელობის გამო, სტადიონზე საერთოდ აღარ ჩნდება (ისე, როგორც ორშაბათს, როცა ასოციაციის თასის განმეორებით მეოთხედფინალში "ჩელსიმ" "ტოტენჰემს" მოუგო). მოურინიომ მეპატრონესთან აუდიენცია ხუთი კვირის უკან მოითხოვა, მაგრამ ჯერ ისევ უპასუხოდ რჩება. შეხვედრის ორგანიზებაზე აღმასრულებელი დირექტორი პიტერ კენიონი მუშაობს. "სამიტი" შეიძლება მომავალ ორშაბათსვე შედგეს, სავარაუდოდ, აბრამოვიჩის ერთ-ერთ იახტაზე. მაგრამ შერიგების ნაცვლად, ეს შეხვედრა იმისთვის არის საჭირო, რომ სეზონის ბოლოს მოურინიოსთვის თანამდებობიდან გაშვების სანაცვლოდ გადასახდელი საკომპენსაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს. მაგრამ პორტუგალიელის მემკვიდრის ვინაობაზე რუსი მაგნატი საბოლოოდ ჩამოყალიბებული ჯერ არ არის. თუმცა ის კი კარგად იცის, რომ ისეთი მწვრთნელი უნდა მოიყვანოს, ვინც გამარჯვების გარანტია იქნება. კანდიდატებად რახანია სახელდებიან დეშამი და ხუანდე რამოსი, მაგრამ არც ერთ მათგანს არ აქვს ლიპის წონა და ავტორიტეტი. იტალიელი მწვრთნელი ზედგამოჭრილია იმისთვის, რომ ტიფოზებს იმედები ჩაუსახო და დიდი რეკლამა გაუკეთო "ჩელსის" იმიჯს მსოფლიოში, სადაც გუნდს, შედეგების მიუხედავად, ბევრი თაყვანისმცემელი მაინც არ ჰყავს და ამის მთავარი მიზეზი მოურინიოს მძიმე ხასიათია.

ლიპისა და ვიალის წყვილი აბრამოვიჩისთვის ორმაგ გარანტიას წარმოადგენს. "ჩელსის" ფანატებს, ცხადია, არ დავიწყებიათ თავიანთი ყოფილი მოთამაშე მწვრთნელი, რომელმაც 1998-დან 2000 წლამდე ხუთი ტიტული მოიპოვა. ვიალი მზად არის, რომ შემოთავაზებაზე თანხმობა დღესვე განაცხადოს. აბრამოვიჩი მასში ლიპის იდეალურ თანაშემწეს ხედავს: ინგლისური ენის ცოდნასთან ერთად, ჯანლუკა წვრილმან დეტალებამდე იცნობს კლუბსაც და მთლიანად პრემიერლიგას. საუბარიც ზედმეტია იმაზე, თუ როგორ იცნობს ეს ორი პიროვნება ერთმანეთს: ლიპისთან და ვიალისთან ერთად მოიგო "იუვენტუსმა" თავისი ბოლო ჩემპიონთა თასი 1996 წელს. ორი ექს-იუვენტინო სამწვრთნელო დუეტის სახით ამ რამდენიმე დღის წინათ წარსდგა "ოლდ ტრაფორდზე", სადაც "მანჩესტერი" და "ევროპა XI" საქველმოქმედო შეხვედრაში შეხვდნენ. ამან კიდევ უფრო რეალური გახადა ლიპი-ვიალის პროექტი, რომელსაც ახლა მხოლოდ ლიპის თანხმობაღა აკლია. ისე ჩანს, რომ მაესტროს წონადი არგუმენტების მოსმენა სჭირდება, რათა უცხოურ ჩემპიონატში მუშაობას დასთანხმდეს. ბევრი იქნება დამოკიდებული მისთვის შეთავაზებული წინადადების ხარისხზე, როგორც ეკონომიკური, ისე წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით. მოურინიოს სამწლიანი მოღვაწეობის დასრულებასთან ერთად, რუს მილიარდერს საშუალება ექნება, რომ პოლიტიკა შეცვალოს და აქცენტი გადაიტანოს მეგავარსკვლავებზე, რომელთა მიწვევაზეც მოურინიო ყოველთვის უარს ამბობდა (ან კიდევ ცუდად ეპყრობოდა, როგორც ამას შევჩენკოს მაგალითი მოწმობს)".

კარლო ანჩელოტი

ინტერვიუ კარლო ანჩელოტისთან

მილანში 2011 წლამდე, მერე ნაკრებში

ანჩელოტი ჩემპიონთა ლიგის ფინალში შევჩენკოს ელის, ბერლუსკონის კი ურჩევს, რომ კონტრაქტი გაუგრძელოს

თითქმის რვათვიანი დუმილის შემდეგ, კარლო ანჩელოტი პრესასთან საუბარს დათანხმდა. ამ პერიოდში მრავალი კითხვა დაგროვდა. "გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში მწვრთნელი ყველა თემას შეეხო: ზოგადად ფეხბურთს, "მილანს", ჩემპიონთა ლიგას, მეტოქეებს, საკუთარ მომავალს. თუმცა ინტერვიუს დაწყებამდე ერთი რამის დაზუსტება ისურვა: "ძალიან გაღიზიანებული ვიყავი იმის გამო, რაც ზაფხულში "მილანის" შესახებ დაიწერა და ამიტომ, ოფიციალური შეხვედრების გარდა, განცხადებები პრესასთან ერთხელაც არ გამიკეთებია. "კალჩოპოლის" სკანდალის დღეები მძიმედ გადავიტანე. "მილანს" უსამართლოდ მოექცნენ. კლუბი ყოველთვის ღიად და პატიოსნად ეწეოდა თავის საქმიანობას. შეეცადნენ, რომ ფეხბურთში ძალაუფლების კერები მოესპოთ და "მილანიც" ისე გარიეს, რომ კლუბს არანაირი დანაშაული არ მიუძღოდა. ერთი რამ გვახსოვდეს: გასულ სეზონებში "მილანი" "იუვენტუსთან" შეხვედრებში მსაჯებისგან ხშირად იჩაგრებოდა და ამის გამო პრეტესტი არაერთხელ გამოვთქვით. აქედან გამომდინარე, ჩვენც იმ სისტემის მსხვერპლი ვიყავით, მაგრამ ისე მოხდა, რომ ისევ ჩვენ დავისაჯეთ".

- ფორს-მაჟორული პერიოდი დასრულებულია?

- დიახ, ამჟამად მეტი სიმშვიდეა. მსაჯობასთან დაკავშირებული პოლემიკა ყოველთვის იქნება, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ატმოსფერო ახლა განსხვავებულია. სერია A-ში ბევრი ახალგაზრდა, მაგრამ უკვე მომზადებული არბიტრი გამოჩნდა, მსაჯების ახალი თაობა ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს. პირველ რიგში, ვგულისმობ რიცოლის, რომელსაც დიდი მომავალი აქვს და ასევე საკანის, რომელიც ჩვენს თვალწინ იზრდება. პრობლემა ისაა, რომ "მილანი" სკანდალისთვის საზღაურს დღესაც იხდის. ქულები უსამართლოდ ჩამოგვართვეს, სატრანსფერო კამპანია ჩაგვეშალა, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი მოუმზადებლად ჩავატარეთ, ჩვენს ფეხბურთელებს შვებულებიდან სასწრაფოდ მოუხდათ დაბრუნება, ისე, რომ დასვენება ვერც კი მოასწრეს. ამ ყველაფერმა თავი რამდენიმე თვეში იჩინა. მოკლედ, ძალიან დაგვაზარალეს.

- ფეხბურთის გაჯანსაღების საქმეში რა ეტაპზე ვართ?

- წმინდა სპორტული თვალსაზრისით, კარგად მივდივართ. აღარ არის ის ატმოსფერო, როცა ყველა ეჭვებით იყო შეპყრობილი. გარემოს რაც შეეხება, კატანიაში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, მინდა ვთქვა, რომ მთლიანად იტალიურმა საზოგადოებამ უნდა იზრუნოს პრობლემის მოგვარებაზე: საჭიროა მკაცრი კანონები და ისინი უკვე მივიღეთ კიდეც, ახლა მთავარია, რომ ხალხმა მეტი პატივისცემა გამოიჩინოს იმ ადამიანების მიმართ, ვისაც უნიფორმა აცვიათ. იტალიაში საქმე იქამდეა მისული, რომ მეხანძრეებსაც კი ლანძღავენ.

- მოედანზე "გადავინაცვლოთ": სულ უფრო მეტად ადიდებენ პრიმერა დივიზიონს და სულ უფრო მეტად აკრიტიკებენ სერია A-ს. მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ორი იტალიური და ერთი ესპანური გუნდია.

- იტალიური ფეხბურთი ტექნიკურად არავის ჩამოუვარდება. ტაქტიკურად კი ჩვენს გუნდებს რაღაც უფრო მეტი აქვთ, ვიდრე სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს. ეს, პირველ რიგში, ჩვენი მწვრთნელების დამსახურებაა. ისინი უყურადღებოდ წვრილმან დეტალსაც არ ტოვებენ.

- ამ მომენტში რომელია ევროპის საუკეთესო გუნდი?

- ვფიქრობ, რომ "მანჩესტერ იუნაიტედია" ის გუნდი, რომელიც ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობს.

- საუკეთესო მეკარე?

- ბუფონი. შემდეგ მოდიან დიდა და ჩეხი.

- საუკეთესო მცველი?

- ორი აზრი არ არსებობს: ალექსი "ეინდჰოვენიდან".

- საუკეთესო ნახევარმცველი?

- ჩემს ფეხბურთელებს თუ არ ჩავთვლით, დავასახელებ ლემპარდს, ჯერარდსა და დე როსის.

- საუკეთესო თავდამსხმელი?

- დროგბა, ეტოო და იბრაჰიმოვიჩი.

- მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელი?

- მარჩელო ლიპი.

- აირჩიეთ თქვენი მემკვიდრე "მილანის" მწვრთნელის სკამზე.

- მაურო ტასოტი.

- როდის?

- 2011 ნლიდან.

- თქვენი მომავალი როგორ გაქვთ წარმოდგენილი?

- კიდევ რამდენიმე წელიწადი "მილანში" და მერე, როცა დონადონი თავის ციკლს დაასრულებს, სიამოვნებით ვუხელმძღვანელებდი იტალიის ნაკრებს.

- უცხოეთში მუშაობის იდეა არ გიზიდავთ?

- მე პრაქტიკული ადამიანი ვარ: საუკეთესო კლუბში ვმუშაობ, უმაღლეს დონეზე. რატომ უნდა შევიცვალო გარემო?

- თუმცა, გასულ წელს მადრიდის "რეალში" გადასვლამდე ერთი ნაბიჯი გაკლდათ.

- საბოლოოდ გადაძალა "მილანისა" და მისი დირექტორების ნებამ, რომ გუნდში დავრჩენილიყავი. ჩვენი ურთიერთობა, პირველ რიგში, ადამიანურია და მხოლოდ ამის შემდეგ არის პროფესიული.

- საკი ამბობს, რომ თქვენ უფრო აქტიურად უნდა მონაწილეობდეთ "მილანის" სატრანსფერო კამპანიაში.

- შეიძლება, მართალსაც ამბობს, მაგრამ ჩემსა და კლუბს შორის შეთანხმების გარეშე არაფერი ხდება. გალიანი დიდი მენეჯერია, წლების განმავლობაში ლიგის პრეზიდენტობის შემდეგ, ამავე ორგანიზაციამ ხმათა უმრავლესობით აირჩია თავის წარმომადგენლად ფედერკალჩოს საბჭოში. კარგად ვიცით, რისი გაკეთება შეგვიძლია და რისი არ შეგვიძლია.

- "მილანის" მწვრთნელად გატარებული ექვსი სეზონი ბევრია თუ ძალიან ბევრი?

- არც ბევრი და არც ძალიან ბევრი. "მილანის" მწვრთნელობა მსიამოვნებს, თავს ისე ვგრძნობ, როგორც ოჯახში.

- რა იყო "მილანისთვის" ყველაზე სასიხარულო ამ სეზონში?

- ალბათ ის ფაქტი, რომ, უამრავი პრობლემის მიუხედავად, არ გავტყდით და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ვართ. ეს დელიკატური პერიოდი კლუბმა ბრძნულად და გონივრულად მართა.

- როგორია რონალდოს მწვრთნელობა?

- მას ყველასთან ბრწყინვალე ურთიერთობა აქვს და საოცრად მოტივირებულია.

- რონალდინიო ჩამოვა?

- ის უდიდესი ფეხბურთელია, ბერლუსკონის "მილანს" კი ყოველთვის უდიდესი ფეხბურთელები ჰყავდა. ამასთან, რონალდინიო ისეთი ვარსკვლავია, რომელსაც გუნდისთვის დიდი სარგებლობა მოაქვს: ესთეტიკური თამაშის გარდა, უამრავი გოლიც გააქვს.

- "მილანისთვის" ერთი დიდი ციკლი მთავრდება?

- არა, ნელ-ნელა განახლების პროცესი მიდის. "მილანის" ციკლი მაშინ დასრულდება, როცა ბერლუსკონი ფეხბურთზე უარს იტყვის, მაგრამ ჯერჯერობით, მსგავსი რამ მას აზრადაც არ მოსდის. საბედნიეროდ.

- ბერლუსკონის ტრანსფერებისთვის 200 მილიონი რომ ჰქონდეს, რას ურჩევდით?

- მწვრთნელისთვის კონტრაქტის გაგრძელებას...

- ჩემპიონთა ლიგისთვის "მილანი" რამდენად არის მზად?

- მზად არის. ბოლო ხუთ წელიწადში ევროპაში ყველაზე დიდი შედეგები გვქონდა. იღბალიც ჩვენს მხარესაა: ფინალში ვითამაშეთ 2003, 2005 და ახლა 2007-წელია... ლიგას ფავორიტი არ ჰყავს.

- "მილანი"-"ბაიერნის" შესახებ რას გვეტყვით?

- გერმანელები ფიზიკურად ძალიან ძლიერები არიან, მაგრამ შეიძლება, ძალიან დიდი კლასი არ ჰქონდეთ. თუკი ისინი აქცენტს ძალაზე აკეთებენ, ჩვენ კი მათ ჩვენი თამაში უნდა დაეუპირისპიროთ. მაგრამ თამაშის ხარისხი უნდა გავაუმჯობესოთ, თუ გვინდა, რომ ნახევარფინალში გავიდეთ.

- "რომა"-"მანჩესტერზე" რას ფიქრობთ?

- არაპროგნოზირებადი შეხვედრაა. "რომას" სტუმრად უფრო მეტი შანსები აქვს.

- როგორი იქნება ათენური ფინალი?

- ერთმანეთს "მილანი" და "ჩელსი" შეხვდებიან და ჩვენც შევხვდებით ძველ მეგობარ შევჩენკოს.

- ანჩელოტი ყოველთვის იქნება...

- მილანისტა.

- და არასოდეს იქნება...

- არათანმიმდევრული.

გოგა ახალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ლუკას პოდოლსკისთან

ჩეხეთსაც მოვუგებთ, შალკესაც და მილანსაც!

პრინც პოლდი თავის სტიქიაშია...

ლუკას პოდოლსკის ძალიან უყვარს კომპიუტერული თამაშები. ცოტა ხნის წინათ "მიუნხენერ თაგესცაითუნგის" ჟურნალისტი ესტუმრა, რათა ინტერვიუ ჩამოერთმია, მაგრამ პოდლი ჯერ ისევ კომპიუტერს უზის, კორესპონდენტს კი სთხოვა, თუ შეიძლება, 10 წუთი დამელოდე, ძალიან მნიშვნელოვანი "შეხვედრა" მაქვსო. "კიოლნით" თამაშობს და "ნიურნბერგს" ხვდება - ცხადია, ვერ ვიტყვით, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრაა, მაგრამ როგორც პოლდი ამბობს, ეს თამაში რომ ვერ მოიგოს, დორტმუნდის "ბორუსია" გადაასწრებს, თანაც, სეზონის დასრულებამდე სულ რაღაც ორი ტურია დარჩენილი. ჰო, დორტმუნდის "ბორუსია" - კომპიუტერში ყველაფერი სხვანაირად ხდება, BVB-ს ჩემპიონობის შანსი აქვს. ლუკასი რეგულარულად ამხნევებს თავის ვირტუალურ კოლეგებს. "ახლა დაისლერს შემოვიყვან და მარჯვენა ფლანგიდან ააწიოკებს მეტოქეს. სება "ბაიერნიდან" 30 მილიონად ვიყიდე!" - ამბობს და დაპირებული ცვლილებისთვის ემზადება. დაისლერის დიდი იმედი აქვს - სება კომპიუტერშიც ძალიან სწრაფი და ტექნიკურიაო. "ეჰ, როგორ დაამთავრა კარიერა," - წამით რეალობაში ბრუნდება პოლდი, მერე კი ისევ კომპიუტერში ინაცვლებს - "მიდი, დაისლერ! აი, ხომ გითხარით, ააწიოკებს-მეთქი." დაისლერით მარჯვენა ფლანგიდან გარღვევა განახორციელა და ჩააწოდა, მაგრამ "ნიურნბერგის" საჯარიმოში კიოლნელთაგან საჰაერო ორთაბრძოლა ვერავინ მოიგო. ბოლო წუთები, 0:0-ია და პოლდი ანერვიულდა. მორიგი შეტევა, ერთ-ერთმა კიოლნელმა ნიურნბერგელ მცველს ბურთი აართვა, მეკარესთან პირისპირ გავიდა, მოატყუა და გაიტანა. ლუკასი კმაყოფილებისგან ხელებს იფშვნეტს. ვინ გაიტანა? "რა თქმა უნდა, პოდოლსკიმ, აბა ვის უნდა გაეტანა?" 1:0 საბოლოო ანგარიში, "დორტმუნდმა" ვერ გადაასწრო. ალბათ, ჩემპიონი ისევ "კიოლნი" გახდება, საუკეთესო ბომბარდირი კი პოდოლსკი, რომელსაც უკვე 32 გოლი აქვს გატანილი. ეს მხოლოდ კომპიუტერული თამაში იყო, რეალობაში კი სხვაგვარადაა საქმე. ის "ბაიერნის" ფეხბურთელია და მიმდინარე სეზონში მხოლოდ 4 გოლი აქვს გატანილი. "დავიწყოთ!" - ამბობს პოლდი. ჟურნალისტიც მზადაა, კითხვები დაუსვას...

- მიუნხენი თქვენი მშობლიური ქალაქი ვერა და ვერ გახდა. დღესაც "კიოლნით" თამაშობთ და არა "ბაიერნით"...

- კიოლნში 15 წელი გავატარე. იქ გავიზარდე. ამიტომაც, ძალიან მიჭირს იმის თქმა, რომ უკვე სრულფასოვანი მიუნხენელი ვარ. ვფიქრობ, არავის უნდა გაუკვირდეს ის, რომ დღემდე კიოლნი უფრო მიყვარს, ვიდრე მიუნხენი.

- მაგრამ შვებულებას ხომ აუცილებლად მიუნხენში გაატარებთ?

- რა თქმა უნდა. როგორც ხედავთ, ჩემი სახლის ფანჯრები ტბას გადაჰყურებს. ასე რომ, როცა დაცხება, პირდაპირ ფანჯრიდან გადავხტები ხოლმე.

- რამდენად ხშირად ფიქრობთ "კიოლნსა" და იქ გატარებულ წლებზე?

- "კიოლნი" ყოველთვის ჩემი უსაყვარლესი გუნდი იქნება. მნიშვნელობა არ აქვს, სად ვითამაშებ, "კიოლნი" მუდამ პირველი იქნება. მინდა, რომ ოდესმე ამ გუნდში დავბრუნდე, თუნდაც კარიერის ბოლოს, ან, შესაძლოა, უფრო ადრეც.

- ოტმარ ჰიტცფელდი თავდასხმაში როტაციის მომხრეა და მიიჩნევს, რომ ყველა ფორვარდმა უნდა ითამაშოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველთვის სასტარტოში ვერ მოხვდებით...

- სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არცერთი ნორმალური ფეხბურთელისთვის არაა სასიამოვნო. მაგრამ ჯერჯერობით, ეს ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ვიცი, რომ ჰიტცფელდი მენდობა და პრობლემა არაა, თუკი ხანდახან სკამზე დამტოვებს.

- უკვე არაერთხელ განაცხადეთ, რომ ფელიქს მაგათი საერთოდ არ გესაუბრებოდათ, ჰიტცფელდი კი პირიქით, ძალიან ხშირად გელაპარაკებათ. მაინც, რას გეუბნებათ ხოლმე ოტმარი?

- ჰიტცფელდი ძალიან კრიტიკულია, მაგრამ არ ყვირის და არც მუშტებს ურტყამს მაგიდას. ოტმარი ყოველთვის პოზიტიურად საუბრობს და ისე მელაპარაკება, რომ მიუხედავად კრიტიკისა, მაინც კმაყოფილი ვრჩები ხოლმე. შესანიშნავი ფსიქოლოგია.

- და თქვენც ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ მის გარდა "ბაიერნს" ვერავინ უშველიდა?

- 100 პროცენტით.

- ფეხბურთის გარდა, კიდევ რომელი სპორტი გიზიდავთ?

- კრივი. მიხალჩევსკის ყველა ბრძოლა მაქვს ნანახი. ბრძოლა ღამის სამ საათზეც რომ იყოს, აუცილებლად ვუყურებ ხოლმე.

- მადრიდის "რეალის" დარი გრანდის წინააღმდეგ პირველად იასპარეზეთ. ნერვიულობდით?

- წარმოიდგინეთ, 3 წლის წინათ ჯერ კიდევ ბავშვებში ვთამაშობდი, სულ რაღაც 300 მაყურებლის წინაშე. ახლა კი "ბაიერნში", ჩემპიონთა ლიგაში ვასპარეზობ და "სანტიაგო ბერნაბეუც" დავაჭაშნიკე. არ ვნერვიულობდი, პირიქით, სისხლი მიდუღდა.

- შაბათს გერმანიის ნაკრები პრაღაში ჩეხეთს დაუპირისპირდება. ეს თქვენთვის 38 სანაკრებო მატჩია. როგორია თქვენეული პროგნოზი?

- აუცილებლად მოვიგებთ.

- რატომ ხართ ასე თავდაჯერებული?

- იმიტომ, რომ გერმანიას ჩეხეთზე უკეთესი გუნდი ჰყავს. სხვა რამეზე არც ვფიქრობთ. მოვიგებთ.

- რატომ გგონიათ, რომ ბუნდესგუნდი ჩეხეთის ნაკრებზე ძლიერია?

- იმიტომ, რომ ჩვენ გაცილებით უკეთესი ფეხბურთელები გვყავს.

- მაშინ ჩამოთვალეთ ჩეხეთის ნაკრების სუსტი მხარეები...

- სუსტი დაცვა ჰყავთ. რამდენიმე ვიდეოჩანაწერი ვნახეთ და ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი. და თუკი სწრაფ ტემპში ვითამაშებთ და ბურთს დაცვიდან თავდასხმაში სწრაფად გადავიტანთ, მეტოქეს შანსი არ ექნება.

- ბუნდესგუნდი მიროსლავ კლოზეს გარეშე ითამაშებს. იქნებ ასეთ დროს ფრეც კარგი შედეგი იყოს? მით უმეტეს, რომ გასვლაზე თამაშობთ.

- ჰო, მიროს არყოფნა ჩვენთვის უდიდესი დანაკლისია, მაგრამ ეს არაა გასასამართლებელი საბუთი. პრაღაში 1 ქულისთვის ნამდვილად არ მივდივართ. 3 ქულა გვინდა და ავიღებთ კიდეც.

- თუ მართლაც ასე მოხდა, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ გერმანიამ ევროპის ჩემპიონატზე თამაში გაინაღდა...

- თქვენ ამაში ეჭვი გეპარებოდათ? ან ვინმეს ეპარება ეჭვი? ისე, მნიშვნელობა არ აქვს, პირველ ადგილზე გავალთ, თუ მეორეზე, მთავარია, ევროპის ჩემპიონატის საგზური მოვიპოვოთ. და ასეც იქნება.

- და როგორ ფიქრობთ, ბუნდესგუნდი ევრო 2008-ზეც ისეთივე ძლიერი იქნება, როგორც გასულ მუნდიალზე იყო?

- ცხადია. ახლა რომ ვთქვა, აუცილებლად ევროპის ჩემპიონები გავხდებითმეთქი, გადაჭარბებული იქნება, მაგრამ ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია ევროპის ჩემპიონობა.

- გასულ უქმეებზე, "აინტრახტთან" წაგების შემდეგ ჰიტცფელდმა თქვა, "ბაიერნი" ჩემპიონი ვეღარ გახდებაო. თუმცა, არსებობენ ისეთებიც, ვინც ფიქრობს, რომ რეკორდმაისტერს ჯერ კიდევ შეუძლია "ვერცხლის სინის" შენარჩუნება. თქვენ ჰიტცფელდს ეთანხმებით?

- ჩვენ ვიცით რაც შეგვიძლია. თუკი მომდევნო ტურში "შალკეს" დამარცხებას შევძლებთ, ყველაფერი თავიდან დაიწყება. მთავარია, "შალკესთან" 3 ქულა ავიღოთ და ჩემპიონობა ისევ რეალური გახდება. ჰიტცფელდის აზრს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ვფიქრობ, რომ "ბაიერნისთვის" ბუნდესლიგაში ჯერ ყველაფერი დასრულებული არაა. "შალკეს" მოვუგებთ და ჩვენს შორის სხვაობა მხოლოდ 6 ქულა გახდება, ეს კი არც ისე ბევრია. გელზენკირხენელები ორ თამაშს წააგებენ, ჩვენ ორს მოვიგებთ და მორჩა, იმდენივე ქულა გვექნება, რამდენიც "შალკეს".

- ჩეხეთსა და "შალკეს" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი მოსდევს - დაპირისპირება "მილანთან"...

- ასეთ მოკლე დროში სამი ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრა ჩემთვის ნამდვილი ზღაპარია. ტოპმატჩს არაფერი სჯობს. დარწმუნებული ვარ, რომ "მილანის" დამარცხებაც შეგვიძლია. ყოველ შემთხვევაში, მე კარგ ფორმაში ვარ.

- მერე კი ზაფხული მოვა და სატრანსფერო ფანჯარაც გაიხსნება. კლოზე "ბაიერნში" რომ გადმოვიდეს, გაგიხარდებათ?

- რა თქმა უნდა! ყველაზე მეტად იმის გამო გამიხარდება, რომ გერმანიის ნაკრებისთვის ასე უმჯობესი იქნება. ნაკრებისთვის ყოველთვის კარგია, როცა ორი თავდამსხმელი ერთ კლუბში თამაშობს.

- "ბაიერნს" იტალიელი ლუკა ტონის გადაბირებაც უნდა...

- ნებისმიერი მაღალი კლასის ფეხბურთელის ყიდვა გამიხარდება. ჰო, ტონი ჩემი კონკურენტი იქნება, მაგრამ ეს პრობლემას არ წარმოადგენს. კონკურენციის ნამდვილად არ მეშინია. მერე რა, რომ ტონი სუპერვარსკვლავია. ესეც არ იყოს, მჯერა, მასთან ერთად ძალიან სახიფათო დუეტს შევქმნი.

გოტფრიდ ლენცი

ლუკას პოდოლსკი



იან კოლერი

ჩეხეთი VS გერმანია

ვინ შეაჩერებს კოლერს?

ის 100 კილოგრამს იწონის, ფეხის ზომა 50 აქვს, სიმაღლეში კი 2 მეტრი და 2 სანტიმეტრია. ალბათ, მიხვდით, რომ ჩეხეთის ნაკრების აყლაყუდა ფორვარდ **იან კოლერზე** ვსაუბრობთ. კოლერი ის კაცია, ვისაც გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** ყველაზე მეტად უფრთხის - როგორც იცით, ხვალ ბუნდესგუნდი პრაღაში ჩეხეთს ხვდება. მიუხედავად იმისა, რომ კოლერი 34 წლისაა, ის თავის საქმეს მაინც ძალიან კარგად აკეთებს - საჰაერო ორთაბრძოლებს იმდენად უპრობლემოდ იგებს, რომ ხშირად ახტომაც არ სჭირდება.

"დიახ, ვაღიარებ, რომ ყველაზე მეტად სწორედ იან კოლერს ვუფრთხით. მისი თამაშის რამდენიმე ვიდეოჩანაწერი ვიშოვეთ, მომენტების კოლაჟი გავაკეთეთ და ბიჭებს ვაჩვენეთ. ჩინებული გაკვეთილი გამოვიდა, სახელწოდებით "როგორ უნდა ვეთამაშო იან კოლერს". გარდა იმისა, რომ იანი თავით თამაშის დროს ძალიან სახიფათოა, ხშირად ერთი შეხებით მოქმედებს და ორთაბრძოლას იმისთვის იგებს, რომ შემდეგ ბურთი რომელიმე თანაგუნდელს დაუგდოს. კოლერი საჰაერო ორთაბრძოლებს მეკარეებსაც ხშირად უგებს. მასთან დიდი სიფრთხილე გვმართებს," - განუცხადა გერმანიის ნაკრების თავკაცმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

კითხვაზე, იქნებ აჯობებდა, რომ იოგის კოლერისთვის პერსონალური მეურვე მიეჩინა, ლიოვი ასე პასუხობს: *"არა! ეს საჭირო არ არის. კოლერის წინააღმდეგ კრისტოფ მეტცელდერი და პერ მერტეზაკერი რიგ-რიგობით ითამაშებენ. მე მათ ვუთხარი, რომ უმჯობესია, იანი კარიდან რაც შეიძლება შორს შებოჭონ და შეაწუხონ. სხვათა შორის, კოლერი ხშირად მიმართავს სიმულაციას, რაც ჩვენთვის ასევე ძალიან სახიფათოა. ჩეხეთში რთული მატჩი იქნება და გამორიცხული არაა, რომ იანმა არაერთხელ ცადოს პენალტის მოპოვება."*

თუკი კოლერი 2 მეტრი და 2 სანტიმეტრია, სხვათა შორის, არც ბუნდესგუნდის ცენტრალური მცველები არიან დაბლები, თუმცა აყლაყუდა ჩეხს მაინც ვერ უტოლდებიან - **მეტცელდერი** მეტრი და 93 სანტიმეტრია, **მერტეზაკერი** კი მეტრი და 98 სანტიმეტრი. მიუხედავად ამისა, გერმანელები კოლერს მაინც უფრთხიან. მეტცელდერი და **იენს ლემანი** იანს დორტმუნდის "ბორუსიიდან" კარგად იცნობენ. *"ორი აზრი არ არსებობს, იანი ძალიან სახიფათოა. მე ვიტყოდი, ყველაზე სახიფათოც კი ჩეხეთის ნაკრებიდან. მაგრამ მე ვიცი, როგორც უნდა შევაჩეროთ ის,"* - ამბობს ლემანი, რომელიც BVB-ში კოლერთან ერთად 2001-2003 წლებში თამაშობდა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ვეტერან კოლერს ჩეხეთის ნაკრებში ჩატარებულ 75 შეხვედრაში 48 გოლი აქვს გატანილი.

გოტფრიდ ლენცი

დისკვალიფიკაცია

კანი მილანს გამოტოვებს

ოლივერ კანს დისკვალიფიკაცია არ ასცდა. უეფას სადისციპლინო კომისიამ დოპინგ-ტესტთან დაკავშირებული ცნობილი ინციდენტი განიხილა და "ტიტანს" ერთმატჩიანი სასჯელი გამოუწერა. ამას გარდა, 37 წლის კიპერი 12 339 ევროთიც დაჯარიმდა. ასე რომ, 3 აპრილს კანი "ბაიერნს" ვერ დაეხმარება. ამ დღეს, მიუნხენურ გრანდს "სან სიროზე" ჩემპიონთა ლიგის პირველი მეოთხედფინალური მატჩი უწევს.

ცხადია, "მილანის" ბანაკს ეს ინფორმაცია დიდად გაახარებდა. იტალიურმა საგენტოებმა კანის დისკვალიფიკაცია ლამის დღის თემად აქციეს. მიუნხენში კი იმედგაცრუებულები არიან, თუმცა იხტიბარს არ იტეხენ. მიაჩნიათ, რომ თავს არც ოლივერის დუბლიორი **მიხაელ რენზინგი** შეირცხვენს. "ბაიერნის" მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ არ იქნება **მარკ ვან ბომელიც**. ნახევარდაცვის ბურჯი მატჩს ორი გაფრთხილების გამო დააკლდება.

რომა. ტრანსფერები

ბარსელონას დე როსი და კივუ მოუნდა

რომაელებს ვარსკვლავების დაკარგვა ემუქრებათ. "ბარსელონა" **დანიელე დე როსის** საარაკო პირობებს უმზადებს. "ჯალოროსი" ნახევარმცველს 17 მილიონ გირვანქად აფასებს. "ტუტოსპორტის" ცნობით, კატალონიელები თანხის ნაწილს ფეხბურთელებით აანაზღაურებენ. "ბარსა" მზადაა, იტალიაში გაისტუმროს **ედმილსონი, ტიაგო მოტა** და, სავარაუდოდ, **ჟულიანო ბელეტიც**.

ფრანკ რიიკაარდმა კრისტიან კივუსაც დაადგა თვალი. "რომამ" რუმინელს კონტრაქტის გაგრძელება უკვე შესთავაზა. იტალიურ პრესაში კი არ წყდება სპეკულაციები მცველის მოსალოდნელი აბარგების შესახებ. "ბარსელონის" გარდა, კივუს "ჩელსიც" აკვირდება. ფეხბურთელის წლიური ანაზღაურება 2.3 მილიონი ევროა. ესპანური და ინგლისური გრანდებისთვის ეს თანხა პრობლემას არ წარმოადგენს.

"ჯალოროსიმ" ახალი კონტრაქტი შესთავაზა **მატეო ფერარისაც**. ამ მცველს "არსენალი" ეპატიჟება. ლონდონელები "რომას" ჯერ არ შეხმიანებიან, მაგრამ ფეხბურთელის აგენტი **მორენო როჯი** ამბობს, რომ მოლაპარაკებების დაწყება დროის საქმეა. როჯის არც იმის აღნიშვნა დავიწყნია, რომ მისი კლიენტისათვის პრიორიტეტი "რომაში" დარჩენაა. ახალი ხელშეკრულების სანაცვლოდ ფერარის ხელფასს საგრძნობლად გაუზრდიან.

და კიდევ, კალიარელმა **დავიდ სუაზომ** "სევილია" უარით გაისტუმრა. "ჯალოროსის" ეს ამბავი კარგად ენიშნა და ჰონდურასელთან დაკავშირება გადაწყვიტა. სარდინიელები 8 მილიონ გირვანქას ითხოვენ. სუაზომ შეძენის შემთხვევაში, რომა უარს იტყვის "ვალენსიიდან" იჯარით გადაყვანილი **ფრანჩესკო ტავანოს** დატოვებაზე.

თავდასხმის გასაძლიერებლად შახტიორელი **ჩიპრიან მარიკას** კანდიდატურაც განიხილება. ტავანოს გარდა, რომიდან აბარგება მოუწევს **მირკო ვუჩინიჩსაც**. მარიკა კივუს უახლოესი მეგობარია. რუმინელ ვარსკვლავთა ინტერესებს ერთი და იგივე აგენტი იცავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის ნაკრები

რატომ წავიდა ჭიჭოვი?

სპარტაკის ლიდერს ჰიდინკთან უთანხმოება აქვსო...

ეგორ ტიტოვი

მეკარეები - იგორ აკინფეევი (ცსკა), ვიაჩესლავ მალაფეევი (ზენიტი).

მცველები - ალექსანდრ ანიუკოვი (ზენიტი), სერგეი იგნაშევიჩი (ცსკა), ალექსეი ბერეზუცკი (ცსკა), დენის კოლოდინი (დინამო), რომან შიშკინი (სპარტაკი).

ნახევარმცველები - ევგენი ალდონინი (ცსკა), იური ჟირკოვი (ცსკა), კონსტანტინ ზირიანოვი (ზენიტი), ვლადიმირ ბისტროვი (სპარტაკი), დმიტრი ტორბინსკი (სპარტაკი), დინიარ ბილიალეტდინოვი (ლოკომოტივი), იგორ სემშოვი (დინამო), იგორ დენისოვი (ზენიტი).

თავდამსხმელები - ივან საენკო (ნიურნბერგი), დმიტრი სიჩოვი (ლოკომოტივი), ანდრეი არშავინი (ზენიტი), ალექსანდრ კერჟაკოვი (სევილია), ევგენი სავინი (ამკარი).

რუსეთის ეროვნული ნაკრები ხვალ ესტონეთს დაუპირისპირდება. რუსთა მთავარი მწვრთნელის გუუს ჰიდინკის მიერ გამოძახებულთა სიაში მოსკოვის "სპარტაკის" ვეტერანი ნახევარმცველი **ეგორ ტიტოვიც** იყო, მაგრამ ეს უკანასკნელი ტალინში არ ითამაშებს. საქმე ისაა, რომ ტიტოვმა ყველასათვის მოულოდნელად ნაკრები დატოვა და ესტონეთში გამგზავრებაზე უარი თქვა. ოფიციალური ინფორმაციით, რუსეთის ნაკრების კაპიტანი ეროვნულ გუნდს გაურკვეველი ვადით გამოეთხოვა და დიდი შანსია, რომ სანაკრებო კარიერა დაასრულოს.

"ნაკრები იმის გამო დავტოვე, რომ ახლა ჩემს ოჯახს უფრო მეტად ვჭირდები. მინდა, რომ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს უფრო დიდი დრო დავუთმო. ჩემი მეუღლე ვერონიკა ძალიან მალე იმშობიარებს და ახლა ყველაზე მეტად ჩემი თანადგომა სჭირდება. ჩვენ ერთად მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება. ნაკრების სამწვრთნელო შტაბი საქმის ყურში ჩავაყენე. აღსანიშნავია, რომ ჰიდინკმა გამიგო და გამათავისუფლა, რის გამოც, დიდ მადლობას ვუხდი. ბიჭებს კი, რა თქმა უნდა, ესტონეთიდან სამი ქულის წამოღებას ვუსურვებ," - განუცხადა ტიტოვმა რუსულ პრესასა და კითხვაზე, ასრულებს თუ არა სანაკრებო კარიერას, ასეთი პასუხი გასცა: *" ცხოვრებამ მაჩვენა, რომ ფეხბურთი ძალიან კარგია, მაგრამ ოჯახი ყოველთვის პირველ ადგილზე უნდა დააყენო. აი, რატომ მივიღე ასეთი გადაწყვეტილება. ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს ვიტყვი."* შეგახსენებთ, რომ ტიტოვს რუსეთის ნაკრებში 41 მატჩი აქვს ჩატარებული (7 გოლი).

ჰიდინკი იმედოვნებს, რომ ტიტოვი სანაკრებო კარიერას არ დაასრულებს. აი, რას ამბობს ჰოლანდიელი მწვრთნელი: *"იმედი მაქვს, რომ ის ნაკრებს მალევე დაუბრუნდება. ივნისსა და ოქტომბერში ძალიან მძიმე მატჩები გველის და იმ შეხვედრებში ტიტოვის დახმარება დაგვჭირდება. ოღონდ, რა თქმა უნდა, კარგ ფორმაში მყოფი ტიტოვის."*

რუსული პრესა მედლის მეორე მხარესაც გვიჩვენებს. ვარაუდობენ, რომ ტიტოვმა ნაკრები ჰიდინკთან უთანხმოების გამო დატოვა. მაგალითად, მოსკოვის "დინამოს" ნახევარმცველ **იგორ სემშოვს**, რომელიც რუსეთის ნაკრებს გრიპის გამო ვერ დაეხმარება, თავისი ვერსია აქვს: *"რამდენადაც ვიცი, ჰოლანდიასთან განცდილი მარცხის შემდეგ ჰიდინკმა გასახდელში ფეხბურთელები დაცოფა. ყველაზე მწარედ კი სწორედ ტიტოვი გააკრიტიკა. როგორც გავიგე, ჰიდინკს უთქვამს, ფეხბურთელი არ უნდა თამაშობდეს ისე, როგორც დღეს ტიტოვმა ითამაშაო. მართალია, არ მსმენია, რომ ამის შემდეგ ეგორსა და ჰიდინკს შორის უთანხმოება იყო, მაგრამ არ გამიკვირდება, ტიტოვი გუუსზე დღემდე ნაწყენი იყოს. თუმცა, იმ შემთხვევაში, ჰიდინკი ცამდე მართალი იყო. 1:4-ზე წაგება ნებისმიერ მწვრთნელს წყობიდან გამოიყვანს,"* - აცხადებს სემშოვი.

"შოკირებული ვარ!" - ამბობს საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი მეკარე, დღესდღეობით კი ტელეკომპანია ნტვ-ს ექსპერტი **ვლადიმირ მასლაჩენკო**, - *"ნაკრებს არაერთი წამყვანი მოთამაშე აკლია და ასეთ დროს ტიტოვმა ესტონეთში წასვლაზე უარი თქვა? როგორც ჩანს, თანამედროვე ფეხბურთელებს პატრიოტიზმის გრძნობა საერთოდ არ გააჩნიათ. თუ ჰიდინკის გუნდი ესტონეთში წააგებს, ეს ტიტოვის ბრალი იქნება, რომელიც ჯანმრთელია, მაგრამ მაინც მოსკოვში დარჩენას ამჯობინებს."*

აქვე გეტყვით, რომ ჰიდინკმა ტიტოვის ნაცვლად "ზენიტის" ნახევარმცველ **კონსტანტინ ზირიანოვს** უხმო. რუსების შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:

ინტერი

მას ემუქრებიან

"კორიერე დელა სერას" ცნობით, "ინტერის" ბოსმა **მასიმო მორატიმ** მუქარით აღსავსე წერილი მიიღო. წერილს თან ახლდა ტყვია. ეს გზავნილი "ნერაძურის" შტაბბინაში ათი დღის წინ მიიტანეს. სამართალდამცველებმა გამოძიება დაიწყეს. "კორიერე" იუწყება, რომ კვალს "იუვენტუსის" ფანებისაკენ მივყავართ. ბოლო რვა თვეში "ინტერის" ოფისში მუქარის შემცველი არაერთი ზარი გაისმა. უცნობი პირები მილანელებს შურისძიებით ემუქრებოდნენ იმის გამო, რომ "იუვეს" კუთვნილი სკუდეტო მათ გადაეცათ. ჩვენს მკითხველს იმ ინციდენტის შესახებაც მოეხსენება, რომელიც რამდენიმე დღის წინ მოხდა და რომელსაც უთვალავი ადამიანი შეესწრო. ერთ-ერთი სახელდახელო ინტერვიუს დროს, რომელსაც "ინტერის" ბოსს ბარში ართმევდნენ, გვერდით მაგიდაზე მჯდომმა "იუვენტუსის" ტიფოზმა მორატის სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ის სკანდალი მინიმალური ხმაურითა და აყალმაყალის გარეშე დასრულდა.

"ინტერზე" საუბარს სატრანსფერო სპეკულაციებით გავაგრძელებთ. "კორიერე დელო სპორტი" გვაუწყებს, რომ "ნერაძურის" ტრანსფერების მენეჯერი **მარკო ბრანკა ლეო მესის** მამას შეხვდა. **ხორხე მესის** მილანში ტრანსფერზე ჩამოუგდეს სიტყვა. ბრანკამ მას აუწყა, რომ ლიონელის შეძენა პრეზიდენტ მორატის ოცნებაა. საუბრის დეტალები არ გახმაურებულა. ორიოდე დღის წინ "ბარსელონის" ხელმძღვანელობამ საჯაროდ განაცხადა, რომ არცერთი წამყვანი ფეხბურთელს გაყიდვას არ აპირებს.

"ინტერი" ჩელსელი **არიენ რობენის** კანდიდატურასაც განიხილავს. ჰოლანდიელი გარემარბი ესპანურ გრანდებს, "რეალსა" და "ბარსელონას" სურთ. არიენი 16 მილიონ გირვანქადაა შეფასებული.



მასიმო მორატი

რაფა ბენიტესი

მწვრთნელი

ბენიტესი: მხოლოდ ლივერპული

ბოსებმა მწვრთნელს სრული ნდობა გამოუცხადეს...

რაფა ბენიტესმა "რეალში" გადასვლა გამორიცხა. "ლივერპულის" ბოსმა გულშემატკივრებს აუწყა, რომ "ენფილდზე" თავს შესანიშნავად გრძნობს და სამსახურის შეცვლას არ აპირებს. მადრიდელებს პრობლემები აქვთ. ფაბიო კაპელოს დათხოვნას უწინასწარმეტყველებენ. ერთ-ერთ შესაძლო მემკვიდრედ ბენიტესიც დაასახელეს, მაგრამ სენიორ რაფა სპეკულაციებს უმალ გაემიჯნა. ის "ლივერპულში" 2004 წლიდან მოღვაწეობს. ბენიტესი მადრიდშია დაბადებული, ფეხბურთელობისას "რეალის" ღირსებას იცავდა და სამწვრთნელო კარიერაც იქვე, მეორე გუნდში დაიწყო. აი, რაფას კომენტარი, რომელიც მერსისაიდელთა ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა: *"ვფიქრობ, ფანებმა უნდა იცოდნენ, რომ მე "ლივერპულის" ერთგული ვარ. ესპანური პრესა გაუთავებლად წერს "რეალში" ჩემი მოსალოდნელი დანიშვნის შესახებ. ნებისმიერი მწვრთნელისათვის დიდი პატივია, როცა მას მადრიდულ გრანდთან აკავშირებენ. ჩემთვის ეს ორმაგ პატივად შეიძლება ჩაითვალოს. მადრიდი ხომ ჩემი მშობლიური ქალაქია, მაგრამ მე დღევანდელი სამსახურითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. ინგლისში შესანიშნავად მოვეწყვე. ჩემს მომავალს ჯერჯერობით მხოლოდ ლივერპულში ვხედავ."*

ბენიტესის განცხადება ბოსებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. კლუბის ერთ-ერთმა მეპატრონე **ჯორჯ ჯილეტმა** ესპანელს ტრანსფერებისათვის სოლიდური თანხა აღუთქვა. ცოტა ხნის წინ ბენიტესმა დაიჩივლა, რომ მისი კლუბი "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "ჩელსისთან" კონკურენციისათვის მზად არ იყო. მაგრამ ამერიკელ მფლობელებს ამბიციური გეგმები აქვთ. ისინი მწვრთნელს მაქსიმალურ დახმარებას აღმოუჩენენ, რათა "ლივერპული" ძველ სიმაღლეზე აიყვანონ.

ვალენსია

ჭიმონაჭორი ვალენსიას მიუახლოვდა

მორიგი დაპირისპირება ფლორესსა და კარბონის შორის, ამჯერად ალბელდას გამო...

"შტუტგარტის" მეკარე **ტიმო ჰილდებრანდი** "ვალენსიას" უახლოვდება. გერმანელ გოლკიპერს კონტრაქტი ივნისში უმთავრდება და ის თავისუფალი აგენტი ხდება. "ღამურებს" კი კვალიფიციური ახალგაზრდა მეკარის ხელში ჩაგდება უკომპენსაციოდ შეუძლიათ. ჰილდებრანდის აგენტი უკვე ესაუბრა ვალენსიელთა სპორტულ დირექტორ **ამადეო კარბონის**. კონტრაქტის პერსონალური დეტალები თითქმის შეთანხმებულია. მაგრამ არის ერთი საკითხი, რომელიც გარკვევას საჭიროებს. "მესტალიის" კერპი, 37 წლის **სანტიაგო კანისარესი** სკამზე გადაჯდომას არ აპირებს. ჰილდებრანდი ესპანელებისაგან ძირითადში გარანტირებულ ადგილს ითხოვს.

"ვალენსიას" ხეტაფელი მცველის, **ალექსისის** შეძენაც სურს. ამ ფეხბურთელს "რეალი" აკვირდება, მაგრამ მადრიდელებმა გერმანელი **კრისტოფ მეტცელდერის** აყვანა გადაწყვიტეს. მეტცელდერი და ალექსისი კი ერთი ამპლუის ფეხბურთელები არიან. ამგვარად, თუ კრისტოფი მადრიდელებთან გააფორმებს კონტრაქტს ალექსისი "ღამურებს" დარჩებათ. "ხეტაფე" ფეხბურთელის სანაცვლოდ 6 მილიონ ევროს ითხოვს. ამ თანხის გარდა, "ხეფატეში" ჩაირიცხებიან ვალენსიელთა ახალგაზრდა ნახევარმცველები **მიგელ პალარდო** და **პაბლო ერნანდესი**.

"ვალენსიაში" ყველაფერი რიგზე ვერ არის. მთავარი მწვრთნელის, **კიკე სანჩეს ფლორესისა** და ამადეო კარბონის დაპირისპირებას დასასრული არ უჩანს. სანტანდერის "რასინგთან" სენსაციურად წაგებული მატჩის (0:2) შემდეგ კარბონიმ დამრიგებელს **დავიდ ალბელდას** გამო უსაყვედურა. კარბონის აზრით, კაპიტანი ამაზრზენ ფორმაშია, ამიტომ ძირითადში არ უნდა ეთამაშა. ფლორესი ალბელდას გამოექომაგა, კარბონის კი მიუგო, რომ თუ დავიდთან პრეტენზიები აქვს, ამის შესახებ ფეხბურთელს პირადად უნდა მოახსენოს.

ხულიგანი ფერნანდესი

"სევილიისა" და "ბეტისის" ურთიერთობები, ალბათ, არასოდეს დათბება. ანდალუსიურ კლუბებს ისეთივე დამოკიდებულება აქვთ, როგორც ძაღლსა და კატას. მოგეხსენებათ, ამ გუნდების სათასო შეხვედრა ვანდალური აქტის გამო შეწყდა. მაშინ "ბეტისის" ერთ-ერთმა გულშემატკივარმა **ხუანდე რამოსს** ბოთლი თავში გაარტყა და ნოკდაუნში ჩააგდო. მთავარმა არბიტრმა თამაში, რა თქმა უნდა, შეწყვიტა. ფეხბურთის სამეფო ფედერაციამ შეწყვეტილი შეხვედრის იმავე წუთიდან გადათამაშება ბრძანა. სკანდალის გარეშე ამ ორთაბრძოლამაც ვერ ჩაიარა. ამჯერად აგრესორის როლში **ლუის ფერნანდესი** მოგვევლინა. "სევილიის" ერთ-ერთი დირექტორი **ხოსე მარია კრუსი** აცხადებს, რომ "ბეტისის" დამრიგებელი მას თავს დაესხა და ცხვირში ნაწუნნი "ჩუპა-ჩუპსი" ჩაარტყა. სევილიური კოლექტივის ხელმძღვანელობა ფრანგ სპეციალისტს სადისციპლინო კომიტეტში უჩივლებს. აღსანიშნავია, რომ ფაქტს თავად ფერნანდესიც არ უარყოფს, თუმცა ის აკონკრეტებს, კრუსს მას შემდეგ დავესხი თავს, რაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენაო. ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი ამ შემთხვევაზე უახლოეს დღეებში იმსჯელებს.

ჩელსი vs მანჩესტერი გადაიდო

"ჩელსი"-"მანჩესტერის" მატჩი გადაიდო. შეხვედრა, რომელშიც ჩემპიონის ვინაობა უნდა გაირკვეს, 15 აპრილის ნაცვლად, 9 მაისს გაიმართება. მიზეზი გადატვირთული გრაფიკია. "ჩელსიცა" და "მანჩესტერიც" ასოციაციის თასის ნახევარფინალში გავიდნენ, პლუს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩებიც ჩასატარებელი აქვთ. "არისტოკრატების" ბოსი **ჟოზე მოურინიო** საფეხბურთო ასოციაციის გადაწყვეტილებას უკმაყოფილებით შეხვდა: *"ვერაფერს შევცვლი. თასის მატჩს ხომ არ წავაგებ, რომ "იუნაიტედს" დროულად ვეთამაშო? ამ სეზონში ყველაფერი ჩვენ წინააღმდეგ მუშაობს. ტრავმები, მსაჯების გადაწყვეტილებები, კალენდარი. ლიგის თასის ფინალის გამო ერთი თამაში ისედაც ჩასატარებელი გქონდა. ახლა კი "მანჩესტერსაც" მოგვიანებით შეხვდებით."*

ინტერვიუ ლიონელ მესისთან

სიესტა სისხლსა და ხორცში გამიჯდა

ახალგაზრდა არგენტინელს ესპანეთში შუადღით ძილი შეაყვარეს. მისთვის სიესტა ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიამოვნებაა, რომელიც ადამიანმა თავისთვის მოიგონა...

ლეო მესი სულ რაღაც 13 წლის იყო, როცა "ბარსელონაში" ჩაირიცხა. კატალონიური გრანდის სკაუტებმა ის როსარიოში აღმოაჩინეს. მიხვდნენ, რომ ფენომენალური მონაცემების მქონე უნიჭიერეს მოზარდთან ჰქონდათ საქმე და უმალ თავისთან წაიყვანეს. მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა. არგენტინელი ფორვარდი სულით ხორცამდე ბარსელონელი გახდა. მან შეიყვარა იქაურობა და საკუთარ თავს პირობა მისცა, რომ "ბარსას" წარმატებებში ლომის წილს შეიტანდა. ძირითად გუნდში მოხვედრამდე ლეომ მრავალი იმედგაცრუება გამოიარა. ჭაბუკი გულისტკივილით ადევნებდა თვალს, თუ როგორ კარგავდა ტიტულებს "ბარსელონა". დროის მსვლელობასთან ერთად ესპანური გიგანტის ხელმძღვანელობა შეიცვალა. მმართველობაში ახალი ხალხი მოვიდა. ხოან ლაპორტამ მთავარ მწვრთნელად ფრანკ რიიკაარდი დანიშნა. გაიზარდა თავად მესიც და "კამპ ნოუს" გემო გაუგო. იმედგაცრუებების ხანა ტრიუმფალურმა სეზონებმა შეცვალა. "ბარსელონა" ესპანეთის ჩემპიონი ზედიზედ ორჯერ გახდა. გარდა ამისა, 14-წლიანი პაუზის შემდეგ ჩემპიონთა ლიგაც დაიპყრო. ახალგაზრდა სამხრეთამერიკელს ტრავმები მუდმივ თანამგზავრად ექცა. მას შესაძლებლობა არ ეძლეოდა პრინციპულ და გადამწყვეტ დაპირისპირებებში მიეღო მონაწილეობა, თუმცა მესი აცნობიერებს, რომ ყველაფერი წინ აქვს და "ბარსასთან" ერთად კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე არაერთხელ ავა. კატალონიური გრანდის გულშემატკივრებისთვის უაღრესად სასიხარულოა, რომ ლეო სხვა ევროპული კლუბების წინადადებებს არც კი განიხილავს. ამ ბიჭის გადაწყვეტილება კატეგორიულობითაა აღსავსე - "ბარსელონა" და სხვა არაფერი. ახალგაზრდა არგენტინელს ჟურნალისტებთან ურთიერთობა ხშირად უხდება. ის იმდენად ნიჭიერი და პოპულარულია, რომ საზოგადოების მუდმივი ინტერესის სფეროში იმყოფება. ხშირად იღლება, მაგრამ იძულებული ხდება, ამა თუ იმ გამოცემის, ტელევიზიის კორესპონდენტებს შეხვდეს და დაგროვილ კითხვებზე უპასუხოს. ამჯერად "ბარსას" ერთ-ერთ ლიდერს "ელ მუნდო დეპორტივოს" ჟურნალისტი გაესაუბრა. ჩვენმა კოლეგამ ინტერვიუ რესპონდენტის სახლში ჩაწერა. მესი სტუმარს არგენტინული ასადოთი გაუმასპინძლდა.

- ლეო, პირდაპირ უნდა გკითხოთ, "ინტერის" პრეზიდენტი თავისას არ იშლის და უტიფრად აცხადებს, რომ "სან სიროზე" უნდა წაგიყვანოთ. მაინტერესებს, რამდენად რეალურია საფრთხე იმისა, რომ "ბარსელონამ" მესი დაკარგოს?

- გულშემატკივრებს შეუძლიათ, აბსოლურად მშვიდად იყვნენ. არანაირი საფრთხე არ არსებობს, რომ აქედან წავიდე. "ბარსელონას" მთელი გულით ვემადლიერები. ამიტომ მინდა, "კამპ ნოუზე" მრავალი წელი დავრჩე. არასოდეს დამავიწყდება, "ბარსა" მაშინ მენდო, როცა სულ რაღაც 13 წლის ვიყავი. შესაძლებლობა მომცეს, თავი ისე მეგრძნო, როგორც სახლში. ისინი ჩემს მშობლებსაც ფანტასტიკურად ეპყრობოდნენ. ასე რომ, ამ გუნდის მიმართ ვალში ვარ.

- და მაინც, ბევრს მიაჩნია, რომ "ბარსელონაში" შესაძლებლობები ამოწურეთ. კატალონიური ციკლი დასრულდა?

- რა თქმა უნდა, არა. რომელი ციკლის დასრულებაზეა საუბარი, როცა ყველაფერი ახლა დავიწყე. უბედურება იმაშია, რომ ჩვენი გუნდის სატრანსფერო პოლიტიკასთან დაკავშირებით უამრავი ჭორი ვრცელდება. "ბარსა" იმ გუნდთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელთაც ვალდებულება აქვთ სისტემატურად საუკეთესო მოთამაშეები შეიძინონ. ეს კი დიდ ფულს მოითხოვს. ზოგი ფიქრობს, ერთ მესის გაყიდიან და სამ ან ოთხ ახალწვეულს მოიყვანენო. მინდა დაგარწმუნოთ, რომ საქმე ასე არ არის. ჩემი აზრით, "ბარსელონა" სულაც არ დგას ტრანსფერების გაჩარხვის აუცილებლობის წინაშე. ამის მიზეზი კი ის არის, რომ საუკეთესოთა შორის საუკეთესოები უკვე აქ არიან. ღრმად მწამს, რომ პლანეტაზე უძლიერესი გუნდი გვყავს. უბრალოდ, ცუდ შედეგებს ვაჩვენებდით და კრიზისზე ალაპარაკდნენ. მერწმუნეთ, არანაირი კრიზისი არ არსებობს. ეს შემადგენლობა ნდობას იმსახურებს. გაიხსენეთ, წინა წლებში გუნდი ვერაფერს ახერხებდა. ახლა კი ზედიზედ მესამე წელია, უმაღლესი მიზნებისათვის ვიბრძვით.

- დაუჯერებელია, პირადად თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, ნუთუ არავის შეიძენდით?

- ძალიან ძნელია, იმაზე კარგი ფეხბურთელები იპოვო, რომლებიც "ბარსელონაში" თამაშობენ. მაგალითად, ნახევარდაცვა ავიღოთ. იქნებ მითხრათ, დეკუს, ინიესტას ან ჩავის ვინ სჯობს? გარდა ამისა, ჩვენ ხომ ედმილსონი და მოტა გვყავს.

- კი მაგრამ, თქვენ არ თქვით, კაკას სიამოვნებით შევიძენდიო?

- არა, ეს ტყუილია, მსგავსი რამ არასოდეს მითქვამს. უბრალოდ, იტალიელი ჟურნალისტები შემხვდნენ და ინტერვიუ ჩამომართვეს. მათ მკითხეს, კაკას, იბრაჰიმოვიჩისა და ტოტის ტრიოდან ყველაზე მეტად ვინ მოგწონთო. დაუფიქრებლად ვუპასუხე, კაკა-მეთქი. შემდეგ კი კუდი გამოაბეს, მესი კაკას "ბარსელონაში" გადაყვანას ითხოვსო. არადა, ასეთი რამ მართლაც არ მიფიქრია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტრანსფერები ჩემს კომპეტენციაში არ შედის.

- პარალელურად, ვრცელდება ხმები, რომ დეკუსა და რონალდინიოს სხვა კლუბებში გადაბარგების შანსი იზრდება.

- რონალდინიო პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელია. დეკუ კი "ბარსას" უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. სამწუხაროდ, პრესა და საზოგადოება ხშირად დეკუს საკადრისად ვერ აფასებს. ჩემთვის ეს ორი ადამიანი უაღრესად მნიშვნელოვანია. არ ვიცი, ვინ რას ამბობს, მაგრამ დარწმუნებული გახლავართ, "ბარსელონის" ხელმძღვანელობა ლიდერებს არ გაყიდის. სერიოზული გეგმები გვაქვს. ამიტომ წამყვანი ფეხბურთელების გასხვისება არანაირ ლოგიკაში არ ჯდება.

- საინტერესოა, არგენტინელ მესის ბრაზილიელ თანაგუნდელებთან როგორი ურთიერთობა აქვს?

- გულწრფელად გეტყვით, დეკუსთან , რონალდინიოსთან, სილვინიოსა და მოტასთან ისეთი ურთიერთობა მაქვს, თითქოს ბავშვობის მეგობრები ვიყოთ. ისინი ყოველთვის მხარში მიდგანან და მეხმარებიან, გამოცდილებას მიზიარებენ და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ზრდა არ შევწყვიტო. ბედნიერი ვარ, რომ "ბარსელონაში" ჯანსაღი, მეგობრული ატმოსფერო სუფევს.

- თუმცა ხმები გავრცელდა, რომ რონალდინიოსა და ეტოოს კონფლიქტში თქვენ ძალიან ცუდი როლი ითამაშეთ.

- მსგავსი რამ მეც წავიკითხე. სასაცილოდაც არ მეყო. სხვათა შორის, თავად რონალდინიო და ეტოო მოვიდნენ და ღიმილით მითხრეს, ნახე, ლეო, რას წერენო. სიმართლე გითხრათ, ჭორების კომენტირება არ მსურს. ჩვენ ვიცით, რომ ერთმანეთს მხარში ვუდგავართ. სხვების აზრი კი ნაკლებად მნიშვნელოვანია.

- რიიკაარდსაც საკმაოდ მოხვდა. მეთანხმებით?

- სხვის ნაცვლად საუბარი გამიჭირდება. ჩემთან დაკავშირებით კი მთავარი მწვრთნელი ყოველთვის მეგობრული და გულისხმიერი იყო. როცა ტრავმირებული გახლდით, სისტემატურად მირეკავდა და მამხნევებდა. მისი სატელეფონო ზარების მიზეზი ეგოიზმი არ იყო. ფრანკს კარგად მოეხსენებოდა, რომ უსაქმურობით ვიტანჯებოდი. ამიტომ ცდილობდა, კარგ ხასიათზე დავეყენებინე. ის, რომ ლიონელ მესი მისთვის საჭირო ფეხბურთელი იყო, მეორე პლანზე იდგა. მართლაც, ჩინებული ადამიანია.

- ხომ არ გეჩვენებათ, რომ გასული სეზონისგან განსხვავებით, ის ახლა უფრო ნერვიულია?

- მე ამას ვერ ვამჩნევ. ისე კი სანერვიულო მართლაც ბევრი ჰქონდა. ბოლო დროს "ბარსელონა" მრავალ სირთულეს გადაეყარა. ჩვენი გუნდისთვის ასეთი მდგომარეობა ფრიად უჩვეულოა. ამიტომ არ გამოვრიცხავ, რიიკაარდი წელს უფრო ღელავდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, ამით "ბარსა" არ დაზარალდება. მჯერა, მთავარი მწვრთნელის განწყობა მის სამუშაოზე არ აისახება.

- "ბარსასთვის" მართლაც განსაკუთრებული ფეხბურთელი ხართ. კატალონიაში არ დაბადებულხართ, მაგრამ თქვენ ხომ კანტერამ აღგზარდათ. საინტერესოა, გულშემატკივრების განსაკუთრებულ სიყვარულს ხომ არ გრძნობთ?

- სიყვარული არავის აკლია, თუმცა ვინც კანტერა გამოიარა, მათ განსაკუთრებით აფასებენ. "ბარსელონის" საყმაწვილო სკოლაში უდიდესი ცოდნა შევიძინე. იქ უდიდესი ესთეტიზმის მქონე ადამიანები მუშაობენ. პატარაობიდანვე გასწავლიან და შთაგაგონებენ, რომ ფეხბურთი მხოლოდ უაზრო სირბილი არ არის, საჭიროა, ბურთთან თამამი დამოკიდებულება, მისი აქეთ-იქით გაგორება და ფინტების დახვეწა. კანტერაში რამდენიმე მწვრთნელი გამოვიცვალე. ყველას დიდად ვემადლიერები, მაგრამ განსაკუთრებულ მადლობას კარლეს რექსაჩს ვუხდი. ეს ის ადამიანია, რომელმაც კატალონიაში ჩამომიყვანა და კლუბის მაშინდელ ხელმძღვანელობასთან თავანეულმა წარმადგინა. კარგად მახსოვს, თავად გასპარს უთხრა, სენიორ ხოან, გაიცანით ლეო, ის მომავლის ვარსკვლავია, ეს ბიჭი "ბარსელონას" უამრავ წარმატებას მოუტანსო. როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩემი ოჯახის წევრებიც გულთბილად მიიღეს, დაგვასახლეს და ყველა პირობა შეგვიქმნეს იმისთვის, რომ მხოლოდ ფეხბურთზე მეფიქრა.

- ამ სეზონში მხოლოდ დრიბლინგებით არ გვაწონებთ თავს. გოლების გატანაც დაიწყეთ. ეს თავისთავად მოხდა, თუ წინ წაწევა მწვრთნელმა დაგავალათ?

- ვგონებ, უკვე დრო იყო, ნამდვილი ფორვარდის თვისებები გამომემჟღავნებინა (იცინის). მიხარია, რომ სუპერკლასიკოში ჰეთთრიკი შევასრულე. ვნახოთ, როგორ ვითამაშებ მომავალში. იმედია, წარმატებები კვლავ არ მომაკლდება.

- მართალია, რომ ამბობენ, ლეო მესის ბევრი ძილი უყვარსო?

- სიესტაზე ვგიჟდები. სიესტა ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიამოვნებაა, რომელიც ადამიანმა თავისთვის მოიგონა (იცინის). სამწუხაროდ, არგენტინაში ასეთი კულტურა არ არსებობს, მაგრამ როცა ესპანეთში ჩამოვედი, გაოცებული დავრჩი. თავდაპირველად გამიკვირდა, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ სიესტა მართლაც ჭკვიანმა ადამიანებმა მოიგონეს. გარშემო ყველას ეძინა. მე რა უნდა გამეკეთებინა? ავდექი და დავიძინე. მას შემდეგ სიესტა სისხლსა და ხორცში გამიჯდა. არგენტინაში ყოფნის დროსაც მძინავს ხოლმე. ჩემს მეგობრებს ვერ წარმოუდგენიათ, როგორ შეიძლება ადამიანი შუადღისას ლოგინში იწვეს. მათ არ იციან, რამხელა სიამოვნებაზე ამბობენ უარს.

ილია ნიკოლაიშვილი

ლეო მესი ასადოს ამზადებს

ემრე ბელოზოღლუ

მოსალოდნელი ტრანსფერი

ჰერტამ ალექსს დაუმიზნა

ვინ შეცვლის ბაშთურქს, ბრაზილიელი თუ მაინც თურქი ემრე?

რაც დრო გადის, "ჰერტას" ხელმძღვანელებს სულ უფრო და უფრო მეტად ეპარებათ ეჭვი იმაში, რომ **ილდირაი ბაშთურქი** ბერლინურ კლუბში დარჩენას მოისურვებს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ 28 წლის თურქი ფლეიმეიქერი ზაფხულში "ჰერტას" გამოეთხოვება და ახალ სამსახურს მოძებნის. ამიტომაცაა, გუნდის გენერალური მენეჯერი **დიტერ ჰეინესი** ილდირაის შემცვლელის ძებნას რომ შეუდგა. რამდენიმე დღის წინ გაცნობეთ, რომ "ჰერტაში" გადასვლის კანდიდატი ნიუკასლელი **ემრე ბელოზოღლუა**. "კიკერი" კი იტყობინება, რომ ჰეინესმა ბაშთურქის შემცვლელს თურქეთში მიაგნო: "ჰერტას" სასურველ მოთამაშეთა სიას სათავეში "ფენერბაჰჩეს" ბრაზილიელი ლეგიონერი **ალექსი** უდგას. მით უმეტეს, რომ 29 წლის ალექსს "ფენერთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და ამრიგად, გუნდის დატოვება უფასოდ შეუძლია.

გასულ კვირას ჰეინესი თურქეთში იმყოფებოდა და ალექსთან პირველი მოლაპარაკებები გამართა. როგორც თვითონ ამბობს, საუბარი ძალიან ნაყოფიერი იყო, თუმცა მხარეებმა საბოლოო შეთანხმებას ჯერ ვერ მიაღწიეს, რაც იმას ნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში დიტერს კიდევ ერთხელ მოუწევს თურქეთში ჩასვლა. ალექსი ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ყოფილი მოთამაშეა - "სელესაოში" 48 მატჩი აქვს ჩატარებული (12 გოლი, 1998-2005 წლებში). "ფენერბაჰჩეში" კი 2004 წლიდან ირიცხება, თურქეთის ჩემპიონატში მან 84 მატჩში 54 (!) გოლს მოუყარა თავი.

რამდენიმე დღის წინ ჰეინესმა თქვა, თუ ბაშთურქი წავა, არანაკლებ ძლიერ მოთამაშეს გადმოვიბირებთ, ასე რომ, სანერვიულო არაფერიაო და როგორც ირკვევა, მან სწორედ ალექსი იგულისხმა და არა ემრე, რომლის "ჰერტაში" გადასვლაზეც ჩვენი გერმანელი კოლეგები წინა დღეებში წერდნენ. პირველ რიგში იმის გამო, რომ ალექსი უფასოა, 26 წლის ემრეს კი "ნიუკასლთან" კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს და ცხადია, რომ "კაჭკაჭები" თურქს იაფად არ დათმობენ. "ჰერტას" კი დიდი თანხის გადახდა არ შეუძლია, რადგან ბერლინელებს დაახლოებით 46 მილიონი ევროს ოდენობის ვალი აქვთ. არის უფრო იაფი ალტერნატივებიც, კერძოდ პოლონელი **ლუკაშ გარგულა** (26 წლის, "ბელჩატოვი") და ბელგიელი **კარელ გერაერტსი** (25 წლის, "სტანდარდი"). "ჰერტას" სკაუტები ამ მოთამაშეებს დიდი ხანია აკვირდებიან, მაგრამ პრიორიტეტს არ ანიჭებენ. აქვე გეტყვით, რომ ცოტა ხანში "ჰერტასთან" კონტრაქტს გააგრძელებს უნგრელი საყრდენი ნახევარმცველი **პალ დარდაი**.

ჭადრაკი



გაიოზ ნიგალიძემ საერთაშორისო ოსტატის ნორმა შეასრულა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ბაადურ ჯობავა

საქართველოს ჩემპიონატი

ქულანახევარი და სამი ტური

როგორც გუშინ ვივარაუდეთ, **პარმენ გელაზონიამ** ვერაფერი გააწყო **ბაადურ ჯობავასთან** და თეთრებით დამარცხდა. სამწუხაროა, მაგრამ პარმენისთვის ეს მარცხი ზედიზედ მერვეა და ჯერ ნახევარი ქულაც არ უჩხრიალებს ყულაბაში. იმედია, ამას დარჩენილ სამ ტურში მაინც შეძლებს.

სამი რვაზე ბევრად ცოტაა, მაგრამ ბოლო სამ ტურში **გიგა ყაჭეიშვილს** მარცხი შესაძლოა სენსაციურობით აჭარბებდეს კიდეც გელაზონიას შედეგს. გიგა ტურნირის ფავორიტი იყო და ამიტომაც გვიკვირს, თანაც ორი მარცხი თეთრებით განიცადა. გუშინ მისი მეტოქე **თამაზ გელაშვილი** იყო. ზედიზედ სამი მარცხი აშკარად უსვამს ხაზს იმას, რომ ყაჭეიშვილი სათანადო ფორმაში არ არის. აქამდე თავი დიდად არც გელაშვილს გამოუჩენია, მაგრამ მოგებით სამეულში შესვლის შანსი გაიჩინა.

ჩემპიონობაზე ფიქრი კი ალბათ ყველამ ამოიგდო თავიდან. ხუმრობა საქმე ხომ არაა - ფინიშამდე სამი ტურით ადრე ბაადურ ჯობავა მდევართა სამკაციან ჯგუფს ქულანახევრით უსწრებს! თუმც მაინც ვიფრთხილოთ და გადაჭრით ნუ დავამტკიცებთ - ბაადურს დღეს ერთ-ერთ მდევარ **მიხეილ მჭედლიშვილთან** უწევს თამაში. ამას გარდა, ჯობავას არც ხვალ და ზეგ ეყოლება სუსტი მეტოქეები - **დავით არუთინიანი** და **მერაბ გაგუნაშვილი,** რომლებიც საპრიზო ადგილზე გასვლას ეშურებიან. არუთინიანმა გუშინ შავებით მოუგო **ლევან არაშიძეს** და 5 ქულა გაუხდა; გაგუნაშვილმა კი შავებით **შოთა აზალაძის** დამარცხება ვერ შეძლო და 4.5 ქულა აქვს მარაგში.

18 წლის **გაიოზ ნიგალიძემ** კვლავ გაუძლო დიდოსტატთა შემოტევებს და ამჯერად მიხეილ მჭედლიშვილს არ დაეჩაგვრინა. მჭედლიშვილი თეთრებით იყო, დებიუტში უკეთესი პოზიცია მიიღო, მაგრამ მოსაგებად ვერ იმყოფინა - გაიოზმა ზედმიწევნით ზუსტად დაიცვა პოზიცია და ენდშპილში უკვე თავად უქმნიდა პრობლემებს მჭედლიშვილს - ერთი არაზუსტი სვლა და მის მეტოქეს გამარჯვებაც შეეძლო. შეცდომა არცერთმა დაუშვა, მოგება ვეღარ ხერხდებოდა და ხელიც ჩამოართვეს ერთმანეთს.

გაიოზს გუშინდელი ყაიმი განსაკუთრებულად დაამახსოვრდება - მან 4.5 ქულით საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი შეასრულა და თუ დარჩენილ 3 ტურში 2 ქულასაც მოუყრის თავს, მაშინ დიდოსტატის პირველ ბალსაც მოიპოვებს. ნიგალიძე დღეს თეთრებით ყაჭეიშვილს ხვდება, მეათე ტურში შავებით **ლევან ფანცულაიას,** ბოლო დღეს კი თეთრებით შოთა აზალაძეს დაუპირისპირდება.

საინტერესო იყო ლევან ფანცულაიასა და **გია გიორგაძის** შეხვედრაც. ლევანმა დებიუტში ვერ მიიღო დიდი უპირატესობა და როცა შუა თამაშში გიორგაძემ ყაიმი შესთავაზა, უმალ დათანხმდა და მაშინვე აღნიშნა, რომ ბოლო სვლის შემდეგ შავებს კარგი ტაქტიკური დარტყმის განხორციელება შეეძლოთ - ფიგურის შენირვით ძლიერ შეტევას იღებდნენ. გიორგაძე ამ სვლას ვერ ხედავდა, თორემ, ცხადია, ყაიმს არ შესთავაზებდა. გიორგაძის კითხვაზე, ამას თუ ხედავდი, რატომ სხვაგვარად არ ითამაშეო, ლევანმა უპასუხა: სვლა რომ გავაკეთე, მუქარა მხოლოდ მერე შევნიშნეო. მოკლედ, ყაიმი დაფიქსირდა და ორივემ შეინარჩუნა სამეულში მოხვედრის შანსი.

მეცხრე ტურის ცენტრალური პარტია უდავოდ, **ჯობავა-მჭედლიშვილი** იქნება. თუკი ჯობავამ იმარჯვა, ჩემპიონობას ვეღარავინ შეეცილება, თუმც ბაადური ამ ტურნირში თეთრებით უარესად თამაშობს - ოთხიდან მხოლოდ ერთხელ მოიგო, შავებით კი ასპროცენტიანი შედეგი აქვს, ოთხიდან - ოთხი!

ზვიად შათირიშვილი

მერვე ტური: ლევან ფანცულაია (2611) - გია გიორგაძე (1610) 0.5:0.5, შოთა აზალაძე (2332) - მერაბ გაგუნაშვილი (2611) 0.5:0.5, ლევან არაშიძე (2531) - დავით არუთინიანი (2552) 0:1, გიგა ყაჭეიშვილი (2587) - თამაზ გელაშვილი (2612) 0:1; მიხეილ მჭედლიშვილი (2583) - გაიოზ ნიგალიძე (2224) 0.5:0.5, პარმენ გელაზონია (2268) - ბაადურ ჯობავა (2650) 0:1

ბაადურ ჯობავა	- 6.5
დავით არუთინიანი	- 5.0
მიხეილ მჭედლიშვილი	- 5.0
ლევან ფანცულაია	- 5.0
გია გიორგაძე	- 4.5
გაიოზ ნიგალიძე	- 4.5
მერაბ გაგუნაშვილი	- 4.5
თამაზ გელაშვილი	- 4.0
ლევან არაშიძე	- 4.0
გიორგი ყაჭეიშვილი	- 3.0
შოთა აზალაძე	- 2.0
პარმენ გელაზონია	- 0.0

მეცხრე ტურში: გელაშვილი-ფანცულაია, გიორგაძე-აზალაძე, გაგუნაშვილი-არაშიძე, არუთინიანი-გელაზონია, ჯობავა-მჭედლიშვილი, ნიგალიძე-ყაჭეიშვილი.

ძიუდო

დავით ქევხიშვილს წლეულს არ უჭიდავია

ქევხიშვილი ჯანზეა!

დღეს ძიუდოისტთა ნაკრები ბორჯომის გზას დაადგება და სპორტკომპლექს „ოლიმპში" ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ბოლო ორკვირიან შეკრებას გაივლის. ნაკრების თავკაცმა **შოთა ხაბარელმა** საბოლოოდ გაარკვია 73 კილოგრამის საკითხი - ევროპის ვიცე-ჩემპიონი **დავით ქევხიშვილი** 7-8 აპრილს ბელგრადში იჭიდავებს. შეგახსენებთ, რომ მენისკის ოპერაციის შემდეგ იგი სარეაბილიტაციო კურსს გადიოდა და სერბეთში მისი წასვლაც ამიტომ იყო საეჭვო.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ ბელგრადში სხვა წონებში **ნესტორ ხერგიანი** (60), **ზაზა კედელაშვილი** (66), **გიორგი ბაინდურაშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) და **ლაშა გუჯეჯიანი** (მძიმე) იჭიდავებენ.

გუნდი ხვალიდანვე შეუდგება ვარჯიშს და ბიჭები საღამოს სპარინგებსაც გამართავენ. ანალოგიური შეხვედრები პარასკევსაც ექნებათ, ბორჯომიდან კი 4 აპრილს დაბრუნდებიან და, სავარაუდოდ, მეორე დღესვე გაფრინდებიან სერბეთში.

ირაკლი თავაძე

ჩოგბურთი

წაგებული მაიამი

17 წლის **ანა ტატიშვილმა** მაიამიში, 3.45 მილიონი დოლარის საპრიზო ფონდის "სონი ერიქსონ ოუფენზე" ასპარეზობა პირველივე წრეში დაასრულა. ასეთ ტურნირზე ქართველი ჩოგბურთელი რეიტინგის წყალობით ვერ მოხვდებოდა - ზედიზედ მესამედ მის ორგანიზატორებს "უაილდ ქარდი" რომ არ მიეცათ. მაიამიში ყველაზე უკეთ ტატიშვილმა შარშან ითამაშა, როცა ინდოელი **სანია მირზა** გამოთიშა გათამაშებიდან. სამწუხაროდ, ამჯერად მან სენსაცია ვეღარ მოახდინა და 18 წლის ჰოლანდიელ **მიხაელა კრაიჩეკთან** (58) პირველი სეტი პირწმინდად წააგო, თანაბარი ბრძოლა კი მხოლოდ მეორეში გაუმართა - 3:6, 6:7. წუხელ მატჩი წვიმის გამო ცენტრალურ კორტზე დანიშნულზე გვიან დაიწყო და იმავე მიზეზით რამდენჯერმე გაწყდა. კრაიჩეკმა ოთხჯერ შეძლო ბრეიკ პოინტის მოგება, როცა ანამ ეს თერთმეტი ცდიდან მხოლოდ ორჯერ მოახერხა. გადამწყვეტ ტაი-ბრეიკში ჰოლანდიელმა თავიდანვე აართვა მეტოქეს მოწოდება და ბოლომდე ყოჩაღად ითამაშა (7:2). მატჩი თითქმის ორი საათი გაგრძელდა. მეორე წრეში კრაიჩეკი მე-8 ნომრად განთესილ ჩეხ **ნიკოლ ვაიდიშოვას** შეხვდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ოქსანა მეოთხედში

კალიფორნიის ქალაქ რედინგის 25-ათასიან ქალთა ტურნირში მონაწილეობდა საქართველოს პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** (143), რომელიც პირველ წრეში ამერიკელ **ანჯელა ჰეინესს** ხვდებოდა. სამწუხაროდ, 23 წლის ჰეინესმა ორი კვირის განმავლობაში მეორე ქართველი დაგვიმარცხა (ლას ვეგასში **ანა ტატიშვილს** მოუგო). მაკა პირველ სეტში 1:6 დამარცხდა, მეორესაც 0:4-ს აგებდა, როცა ბრძოლა შეწყვიტა. სავარაუდოდ, მაკა ტრავმა მიიღო. ჩახნაშვილი რედინგში მეშვიდე ნომრად იყო განთესილი. მანამდე მაკასა და ჩეხი **ბარბორა ზაჰლავოვას** წყვილმა (მე-3 ნომრად განთესილები) იმავე ჰეინესისა და **რაქელ კოპს-ჯოუნსის** დუეტთან წააგო - 4:6, 6:4, 4:6.

ქაიროში 10-ათასიან ტურნირში საკვალიფიკაციო წრიდან გააღწია 16 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ,** რაც მისმა თანამემამულე **მარიამ კუპრეიშვილმა** ვერ შეძლო. კალაშნიკოვამ ძირითადი ტურნირის პირველ წრეში ჩინელ **ჰუან სიას** (815) მოუგო - 6:2, 6:2. ოქსანა მეორე წრეში საკვალიფიკაციოდან გასულ **ვიტორია პერუჯინის** (იტალია) შეხვდა და მასაც აჯობა - 6:2, 7:5. ოქსანა მეოთხედფინალშია, სადაც იტალიელ **ანიეს ზუჩინის** (663) ხვდება.

ათენში 10-იათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში მოხვდა ურეიტინგო **სოფიო ქვაცაბაია.** 18 წლის ქვაცაბაიამ პირველ წრეში უკრაინელ **კატერინა ავდიენკოს** (478) მოუგო - 7:5, 4:6, 6:3. მეორე წრეში ჩვენებური მე-4 ნომრად განთესილ ფრანგ **ვიოლეტ იუკს** (387) შეხვდა. ქვაცაბაიამ მხოლოდ პირველი სეტი მოიგო - 6:4, 0:6, 1:6.

ნიკოლოზ ნეფარიძე

თეძირები

23 მარტი,1929 - დაიბადა **რაფიელ ჩიმიმკიანი.** ძალოსნობა (56, 60 კგ). 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1954, 55) და ორგზის მეორე პრიზიორი (19507 53), ევროპის ექვსგზის ჩემპიონი (1950-51, 54-57) და მეორე პრიზიორი (1953), მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი (1951), სსრკ ათგზის ჩემპიონი (1949, 51, 54, 55-60 - პირად შეჯიბრებაში; 1948-52 - გუნდურ ჩათვლაში), ხუთგზის მეორე (1950, 52, 53, 57, 58) და მესამე (1956) პრიზიორი, სსრკ ხალხთა I სპარტაკიადის მესამე პრიზიორი (1956). მსოფლიოს 11-გზის რეკორდსმენი, აქედან 5 რეკორდი დამყარებული აქვს სამჭიდში: 337,5 კგ (1952), 340 კგ (1953), 342,5 კგ, 345 კგ, 350 კგ (1954). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე.

23 მარტი,1932 - დაიბადა **მიხეილ ხერგიანი.** ალპინიზმი, მეკლდეურობა. სსრკ სამგზის ჩემპიონი ალპინიზმში სასიმაღლო (1955, სტალინის პიკი) და ტექნიკურ (1956, ტიუტუ-ბაში; 1964, უშბა ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლით) კლასებში. მეკლდეურობაში სსრკ ჩემპიონატებისა და პროფკავშირების შვიდგზის ჩემპიონი (1952, 60, 62, 64, 65 - აბსოლუტური, 66, 67) და მრავლაგზის პრიზიორი. დალაშქრა კავკასიონის, პამირის, ტიან-შანისა და ალპების ურთულესი მწვერვალები. ინგლისში მინიჭეს "კლდის ვეფხვის" წოდება (1960). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. დაილუპა 1969 წლის 7 ივლისს იტალიაში, მწვერვალ სუ ალტოზე. მისი სახელი მიენიჭა მწვერვალებს კავკასიონსა და პამირ-ალაიში, თურქესტანის ქედზე, ვრაჩანის მასივის ერთ-ერთ ალპინისტურ მარშრუტს ბულგარეთში, კლდეს იაილის მასივზე ყირიმში, ახალგაზრდულ კლუბ "ბეთქილს", საშუალო სკოლას და ერთ-ერთ ქუჩას მესტიაში, მცირე პლანეტას ასტეროიდების რგოლში მარსი-იუპიტერის ორბიტაზე. დაწესებულია მიხეილ ხერგიანის ყოველწლიური ტურნირი მეკლდეურობაში (1967), მესტიაში გახსნილია მემორიალური სახლ-მუზეუმი (1983).

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

მემკვიდრეობა

რუბრიკას უძღვება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი
გურამ სალარაძე



ლევან თედიაშვილი

შალვა გზირიშვილი და არსენ მეკოკიშვილი

დიდი ილიას სიტყვებით დავიწყებ: "წუთისოფელი ასეა, დღეს ღამე უთენებია, რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია". კახეთი, დედასაქართველოს აღმოსავლეთის კარიბჭე, მრავალ ჭირნახული, ალალ-მართალი, უშიშარი, სიყვარულისა და სიკეთის მთესველი, უღალატო ხალხით... ძმანო კახელნო, არ ხართ დითირამბებსა და ქათინაურებს მიჩვეულნი, მაგრამ რაც გეკუთვნით, იმის თქმას ვერ დაგვიშლით. თუ ჩვენი ქვეყნის რომელიმე კუთხეს გააჩნია გმირული ისტორია და ტრადიცია, ეს თქვენ მოჭარბებულად გაქვთ. ყველა ადგილი წმინდაა და ღვთით ნაკურთხი. ამ კუთხემ შვა მსოფლიოში ცნობილი მოღვაწეები, ეროვნული გმირები, სახელოვანი სპორტსმენები... ძველი გურჯაანი, იგივე ხევისუბანი, ცნობილი ყოფილა ფიზიკურად ძლიერი გვარებით, რომელთაც ბატონყმობის უღელი ერთი წუთითაც არ დაუდგამთ მხრებზე...

ერთ-ერთი ყოფილა ღონელაანთ უბანში მცხოვრები გიორგი (ღონელა), თავისი ვაჟიშვილებით, ვანოთი და ილიათი. თურმე, გიორგი (ღონელა) კამეჩს რომ მოკრდებდა რქებში ხელს, როგორც ბატკანს, ისე წამოაქცევდა ხოლმე. წარმოიდგინეთ, რა ძალის პატრონი იქნებოდა. "ღონელაც" იმიტომ შეურქმევიათ იქაურებს. დინჯი, დარბაისელი, ჭკუის საკითხავი კაცი ყოფილა. ასეთები იბადებოდნენ და იბადებიან ამ დალოცვილ მხარეში. და რაც შეეხებათ მოჭიდავეებს... აქ მართლა ქართული ჭიდაობით იწყებოდა ყველაფერი - ქორწილი თუ რომელიმე ქრისტიანული დღესასწაული. "ალავერდობა" ამის თვალსაჩინო მაგალითია. სულაც აღარ მიკვირს, რომ ოლიმპიური ჩემპიონების - **არსენ მეკოკიშვილის, მირიან ცალქალამანძისა** და **ლევან თედიაშვილის** ტრიადა, ამ მადლიან მინაზე დაიბადა. კახეთი, საგარეჯო ეს არის, ვიტყვი თამამად, მსოფლიოს თავისუფალი ჭიდაობის მექა. აქ დავაჟკაცდნენ ოთხი სხვადასხვა ოლიმპიადის - ჰელსინკის (1952), მელბურნის (1964), მიუნხენისა (1972) და მონრეალის (1976) ჩემპიონები. ოთხი ოლიმპიური ოქროს მედალი კი არა, ერთი ბრინჯაოც სანატრელად გახდომია ბევრ ქვეყანას. რა თქმა უნდა, ეს ქართული... უფრო სწორად, კახური ფენომენია. მამა-პაპიდან, წინაპრებიდან წამოსული.

არსენ მეკოკიშვილი დაიბადა 1912 წლის 12 აპრილს, საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგწმინდაში. ჰელსინკის ოლიმპიური თამაშებისა (1952) და მსოფლიოს (1954) ჩემპიონი მძიმე წონაში; სსრკ ცხრაგზის ჩემპიონი (1945, 1946, 1948-53, 1956) თავისუფალ ჭიდაობაში და შვიდგზის (1940, 1947-52) ჩემპიონი სამბოში. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. 1945 წლიდან გამოდიოდა მოსკოვის (რუსეთი) სახელით. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, 1956 წელს სსრკ ხალხთა პირველი სპარტაკიადის ჩემპიონობა 44 წლის ასაკში მოიპოვა. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი. გთავაზობთ მცირე ამონარიდს ცნობილი უკრაინელი ჟურნალისტის **იან დიმოვის** წიგნიდან "საჭიდაო ხალიჩის რაინდები":

"მეკოკიშვილის ცნობილი სარმა! მთავარი საიდუმლო ის კი არ იყო, რომ შუმტევი მძლავრად ცელავდა მეტოქის ფეხს, არამედ, საიდუმლოება მეკოკიშვილის მოქმედებების სინქრონულობაში იყო. დიდი არსენას ასეთ სარმას ღერძიდან დედამინის მოწყვეტაც კი შეეძლო, მაგრამ მეკოკიშვილს ჩვენი დედამინის ხელყოფა არ ჰქონდა განზრახული, აი, მეტოქეებს კი მუსრავდა"...

ფეხით ჭიდაობა დღეს სანატრელი გახდომიათ ღვანლმოსილ ფალავნებს და გულშემატკივრებს. ჭიდაობდნენ არსენის ვაჟიშვილი **გოგი** და შვილიშვილი **არსენ მეკოკიშვილებიც**. გოგი მოსკოვისა და რუსეთის მრავალგზის ჩემპიონი გახლდათ, ხოლო უმცროსი არსენი (სიმაღლით ორი მეტრია, შესანიშნავი ფიზიკური მონაცემებით), ტრამვის გამო ადრევე დაეთხოვა ჭიდაობას და პაპის ტრადიციები ვეღარ გააგრძელა. ამჟამად, მამაშვილი გოგი და არსენი ძირითადად საქართველოში არიან, არცერთი წუთით არ ტოვებენ მშობლიურ, მამაპაპურ კერას. ძირძველი საგარეჯოელი **სპარტაკ ქარსაულიძე**, სსრ კავშირის 1966 წლის ჩემპიონი, წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა მაყურებელში, ჭიდაობის ლამაზი, სწრაფი და ფეთქებადი მანერით.

მირიან ცალქალამანიძე დაიბადა 1927 წლის 9 მარტს, თელავის რაიონის სოფელ კონდოლში. მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მსოფლიო ჩემპიონატის მეორე (1957) და მესამე (1954) პრიზიორი, მსოფლიო თასის მეორე პრიზიორი (1956), სსრკ ჩემპიონი (1954), სსრკ ხალხთა პირველი სპარტაკიადის ჩემპიონი (1956). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი. დავითი მსოფლიო ჩემპიონია ახალგაზრდებში, ასევე, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულია.

საგარეჯოს თავისუფალ მოჭიდავეთა სკოლას დღესაც მხნედ უდგას სათავეში ყველასთვის ახლობელი, შესანიშნავი პიროვნება და აღმზრდელი ბატონი **ვანო მეკოკიშვილი**, რომელმაც არაერთი სახელგანთქმული მოჭიდავე (ლევან თედიაშვილიდან დაწყებული) აღუზარდა რაინონსა და მთლიანად საქართველოს. ის დღესაც მხარში უდგას ახალგაზრდა მწვრთნელებს, უკვე 80 წელს გადაცილებული ბატონი ვანო.

ძირძველი საგარეჯოელები არიან მამაშვილები - **თამაზ, გეგა** და **ლადო გეგეშიძეები**. ლადო, სპეციალისტთა აზრით, დიდი მომავლის მქონე, პერსპექტიულ სპორტსმენად ითვლება, ვარჯიშობს ამაგდარი მწვრთნელის **ოთარ ტატიშვილის** მეთვალყურეობით, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ჩემი თაობის შესანიშნავი წარმომადგენლები არიან ძმები - **თამაზ** და ბიძინა **კევლიშვილები, ბიჭიკო მარიდაშვილი**, სსრკ პრიზიორი **თენგიზ ასლამაზიშვილი, როინ** და **ვაჟა ქაიხოსროშვილები**, ძმები - **გოგი, ხუტა** და **ტარიელი გზირიშვილები**. მათი მამა, შალვა, ცნობილი ფალავანი და არსენ მეკოკიშვილის განუყრელი მეგობარი გახლდათ. **გივი ტაბატაძე,** საგარეჯოელი **მიშა არჩვაძე** (უმცროსი "ფეშხანა") საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია. მამამისი, უფროსი "ფეშხანა", ცნობილი ფალავანი იყო.

ძირძველი ახმეტელთა მსოფლიო ჩემპიონი **თემურ ყაზარაშვილი.**

შესანიშნავად ჭიდაობდა საგარეჯოს ამჟამინდელი გამგებელი **გარი ბუხნიკაშვილი**. საგარეჯოელი ახალგაზრდებიდან გამოირჩეოდნენ სხვადასხვა მაღალი რანგის შეჯიბრებებში გამარჯვებულები: **კობა კუპატაძე, ტარიელ როსტომაშვილი, დავით** და **პაატა ბუზარიაშვილები**. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ გიორგიწმინდელები - **გიორგი (ქისილა)** და **ავთანდილ დიღმელაშვილები, დევი რევაზიშვილი,** ძმები **როსტომაშვილები, ელდარ კევლიშვილი** (ათი შვილის მამა), **ალბერტ ლოლაშვილი, ბიჭიკო თედიაშვილი.**

ნაყოფიერ სამწვრთნელო მოღვაწეობას ეწევა ახალგაზრდა მწვრთნელი **რამაზ ყასაბაშვილი**. მუდამ მოჭიდავეთა გვერდითაა საგარეჯოელი **კობა საგინაშვილი**. კახეთის რვა რაინონდან თავისუფალი ჭიდაობის პოპულარობით გამოირჩევან გურჯაანი, რომლის მკვიდრია ჩვენი სახელოვანი **რევაზ მინდორაშვილი,** პერსპექტიული მოჭიდავედ ითვლება **ვანო ზურაბაშვილი**. ყვარელი მოჭიდავეებიდან, თავის დროზე, გამოირჩეოდნენ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები - **თამაზ კონჭოშვილი** (ამჟამად, შესანიშნავი მელვინე), რომელიც უყურადღებოდ არ ტოვებს ახალგაზრდა და ვეტერან ყვარელელ მოჭიდავეებს. **ალიკ ბილანიშვილმაც** არაერთი სახელოვანი მოჭიდავე აღუზარდა საქართველოს ნაკრებს. მათ შორის, გამოირჩევიან: **მალხაზ როზომაშვილი** - საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული; **შოთა ბილანიშვილი** - საქართველოს ჩემპიონი, ევროპის პრიზიორი ახალგაზრდებს შორის; **დავით ჩიტაშვილი** -ევროპის პრიზიორი ახალგაზრდებში; **გიორგი ივანიშვილი** - მსოფლიო თასის მფლობელი ახალგაზრდებში; **მამუკა ფერიაშვილი** - საქართველოს ჩემპიონატების პრიზიორი და სხვები.

დედოფლისწყაროელები არიან ძმები - **ბაჩუკი** და **ვაჟა გონაშვილები**, ამაგდარი მწვრთნელი **ვაჟა ანდრიაშვილი**. თელაველები ამაყობენ ძმებით - **შოთა** და **ბიჭიკო პაპაშვილებით**, რომლებიც საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულები არიან. ბიჭიკო დღეს მწვრთნელია და ღირსეულ თაობას უზრდის საქართველოს ნაკრებს. მამა-შვილი - **ნოდარ** და **ალექსი მოდებაძეები** საქვეყნოდ ცნობილი მოჭიდავეები არიან. ნოდარი - მსოფლიო თასის მფლობელი (1974), ევროპის ჩემპიონი (1973), სსრკ აბსოლუტური ჩემპიონი (1977), ორგზის პრიზიორი (1973, 77), სსრკ ხალხთა VI სპარტაკიადის მეორე პრიზიორია, ალექსი - ევროპის ჩემპიონატების მეორე (2001) და მესამე (2003) პრიზიორი, ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1998) და ევროპის ჩემპიონატების მეორე (1998) და მესამე (1997) პრიზიორია. ახალგაზრდებიდან მსოფლიო პირველობა მოიგო **იოსებ მეხრიშვილმა**. **ილია ლეგაშვილი** - თავის დროზე, განუმეორებელი სტილის მოჭიდავე, ამჟამად სამწვრთნელო მოღვაწეობას ეწევა.

ასე რომ, კახეთი იყო, არის და მარად დარჩება ფალავანთა კუთხედ.

მოჭიდავეები კახეთიდან

ჰერიტე

ეროვნული ჩემპიონატი

გაერთიანებული? ეს სხვა საქმეა

თბილისის სპორტის საქალაქო სამსახურის ჭიდაობის დარბაზში გაიმართა საქართველოს გაერთიანებული ეროვნული ჩემპიონატი კარატეში. მონაწილეობდნენ სრული კონტაქტის საშეჯიბრო წესებით მოასპარეზე კარატეს ფედერაციებისა და სპორტული კლუბების თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის, თელავის, სამტრედიის, ზუგდიდის, ხონის, ზესტაფონის, ჩოხატაურის, ქარელის, გარდაბნის, დუშეთის, წყნეთის, მარტყოფის, სამაჩაბლოსა და ზემო აფხაზეთის - კოდორის წარმომადგენლები.

გამარჯვებული სპორტსმენებით დაკომპლექტებული ეროვნული ნაკრები სპორტის დეპარტამენტის დახმარებით ევროპის ჩემპიონატში იასპარეზებს.

კუმიტე, ვაჟები

65 კგ. 1. გელა შათირიშვილი (შინკიოკუშინკაი, სპორტის აკადემია), 2. მიხეილ წიკლაური (კიოკუშინკან, თბილისი), 3. ზურაბ ხეჩუაშვილი (კიოკუშინკან, წყნეთი), 3. დავით მელაძე (შინკიოკუშინკაი, სპორტის აკადემია)

70 კგ. 1. ლაშა ხაჭაპურიძე (შინკიოკუშინკაი, სპორტის აკადემია), 2. გიორგი ნაგროზაშვილი (შინკიოკუშინკაი, მარტყოფი), 3. ირაკლი როგავა (აშიხარა, ზუგდიდი), 3. გიგა ჭიკაძე (გოჯერიუ, თბილისი)

80 კგ. 1. დავით გეჯაძე (ბონსაი, თბილისი), 2. ბაკურ საჯაია (კიოკუშინკან, თბილისი), 3. ლევან ცინცაძე (შინკიოკუშინკაი, ბათუმი), 3. რატი წითელაძე (შინკიოკუშინკაი, სპორტის აკადემია)

90 კგ. 1. ლევან მჭედლიშვილი (შინკიოკუშინკაი, სპორტის აკადემია), 2. ედუარდ ჯანოაშვილი (შინკიოკუშინკაი, სპორტის აკადემია), 3. ვახტანგ გაბუნია (გოჯერიუ, თბილისი), 3. ზაზა მჭედლიშვილი (კიოკუშინკაიკან-ტეზუკა, თელავი)

+90 კგ. 1. ემზარ ნიქაცაძე (კიოკუშინკან, თბილისი), 2. სპარტაკ ჩიხლაძე (კიოკუშინკან, სამაჩაბლო), 3. დემურ ნაჭყებია (შინკიოკუშინკაი, სპორტის აკადემია), 3. ზურაბ ანთიძე (კიოკუშინკაი-მაცუშიმა, ჩოხატაური)

ქალები

60 კგ. მაკა ქერუხია (კიოკუშინკაი-მაცუშიმა, თბილისი); +60 კგ მარინა შავაძე (კიოკუშინკაი-მაცუშიმა, ჩოხატაური)

ახალგაზრდები

55 კგ. 1. ვახტანგ ვაჭარაძე (კიოკუშინკაი-მაცუშიმა, რუსთავი), 2. აინურ აღიევი (კიოკუშინკაი-კაცუშიმა, გარდაბანი), 3. ედუარდ სახიაშვილი (კიოკუშინკაიკან-ტეზუკა, თელავი), 3. თენგიზ ხუდოიანი (კიოკუშინკან, თბილისი)

65 კგ. 1. ერეკლე პირველი (კიოკუშინკან, თბილისი), 2. ანზორ შოშიაშვილი (შინკიოკუშინკაი, მარტყოფი), 3. ავთანდილ არველაძე (კიოკუშინკაი, სამტრედია), 3. დაჩი ლაგაზური (კიოკუშინკან, თბილისი)

75 კგ. 1. ზურაბ ცუნიშვილი (შინკიოკუშინკაი, ბათუმი), 2. ედვარდ გერლიანი (კიოკუშინკან, ზემო აფხაზეთი-კოდორი), 3. არტურ დერბინი (კიოკუშინკაი, სამტრედია), 3. ვახა ხურციძე (კიოკუშინკაი, სამტრედია)

+75 კგ. 1. ბექა ბერიშვილი (ჩოხატაური), 2. გიორგი გოგიჩაშვილი (დუშეთი) 3. ბექა შუბლაძე (სპორტის აკადემია)

ქაბა

ვაჟები. 1. გოჩა სამხარაძე (კიოკუშინკან, თბილისი). 2. კუკური ძაძამია (კიოკუშინკაიმაცუშიმა, თბილისი), 3. ლევან არველაძე (კიოკუშინკაი, სამტრედია), 4. მიხეილ წიკლაური (კიოკუშინკან, თბილისი)

წყალხტომაე

ორმოცდამეორე, ორმოცდამესამე...

მელბურნში გრძელდება მსოფლიოს მე-12 ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში. წყალხტომაში ორი ქართველი მონაწილეობს: **ჭოლა ჭანტურია** და **გიორგი გევორქიანი.** სამწუხაროდ, ჩვენები დამაიმედებელ შედეგებს ვერ აჩვენებენ. გუშინ ჭოლა და გიორგი 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ინდივიდუალური ხტომების კვალიფიკაციაში გამოვიდნენ. 46 მონაწილეს შორის ჭოლა ჭანტურიამ 284.25 ქულით 42-ე ადგილი დაიკავა. გიორგი გევორქიანი 272.90 ქულით 43-ეა.

ნ. ნ.

საქართველო
GEORGIA

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი

შევარდენის შეტევა. უტევს აკაკი ტალახაძე (22)

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატი

გადაწყვეტილის გამარჯვება

სტუ/თელავი-თბილისი 0:19

სტუ-თელავი: სამყურაშვილი, გოგალაძე; ქობელაშვილი (1), ყიფიანი, სიგუა (4), ნიკოლაიშვილი, ბერძენიშვილი (3), მსხვილიძე (7), გ. ჩიქოვანი, კობახიძე, საჯაია, ი. ჩიქოვანი, ჩუბინაშვილი (1), ტალახაძე (4)

თბილისი: ანდრიაძე; ნატროშვილი (3), ფორაქიშვილი (1), ნივნივაძე (5), სეთურიძე, ქირია (2), ღაღანიძე (5), გრიშიკაშვილი, ოსიყმაშვილი (1), გელაშვილი (2), ქუთათელაძე

მსაჯები: ინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი

იმედი-ქარიშხალა 0:30

იმედი: გონჩაროვი, ვახანია; ქარდავა (3), კვერნაძე (2), ცოტაძე (6), მაისურაძე (3), ყაველაშვილი (8), ბერიაშვილი, ლომიძე, კერესელიძე, მიდოდაშვილი, საბანაშვილი, თეთრუაშვილი

ქარიშხალა: გ. ტორონჯაძე, ქანთარია; სხიერელი (10), ჩიხლაძე (5), ი. ტორონჯაძე (5), ჯორბენაძე (1), სეთურიძე, მელქოშვილი (5), ჯობავა, ა. ამირანაშვილი, ო. ამირანაშვილი (4), ჯოხარიძე, მუმლაძე, ლობჟანიძე

მსაჯები: ნინო ელოშვილი, ინა ჭკუასელი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
თბილისი	7	6	0	1	198-87	12
სტუ/თელავი	7	6	0	1	210-104	12
ქარიშხალა	7	3	1		3164-164	7
იმედი	8	2	1		2202-266	5
მამული	7	0	0		7 133-138	0

დღეს

14:00, გლდანი. ქარიშხალა-სტუ/თელავი
16:00, ასკ. თბილისი-მამული

გომბარდირები: **რამაზ შონია** (მამული, 53), **გიორგი ნივნივაძე** (თბილისი, 52), **აკაკი ყაველაშვილი** (იმედი, 49)

მეორეწრის ბოლოსწინა ტურში, ერთბაშად ორი ცენტრალური მატჩი ვიხილეთ. აქეთ საჩემპიონოდ შემართული გუნდების - „სტუ შევარდენისა" და "თბილისის" სუპერმატჩი და იქეთ - ბრინჯაოს მაძიებლების შეხვედრა "იმედი" - "ქარიშხალა".

ალბათ ყურადღებას მიაქცევდით, რომ სტატისტიკასა და ცხრილში, გვიწერია სტუ-"თელავი". როგორც გუშინ სტუ-"შევარდენის" თავკაცმა **ირაკლი კეკელიძემ** გვითხრა, ჩემპიონატის დასაწყისში წამოწყებული გარიგება ახლა დამთავრებულა და ქვეყნის 16-გზის ჩემპიონი თელაველებს შეამხანაგებია. შესაბამისად, გუნდის სრული სახელი ასეთია: სტუ-შევარდენი-თელავი, ერთ სტატიაში რამდენჯერმე ცოტა რთული სახსენებელია და ამიტომ, ამიერიდან, გუნდს მოვიხსენიებთ სტუ-"თელავად". აქვე იმასაც დავძენთ, რომ მესამე წრიდან, ეს გუნდი, საშინაო მატჩებს თელავში ჩაატარებს და რამდენიმე იქაური ხელბურთელითაც გაძლიერდება.

რაც შეეხება უშუალოდ სტუ-სა და "თბილისის" დაპირისპირებას, იგი უაღრესად დიდ ინტერესს იწვევდა. მართალია, ბოლოს მაინც ყველაფერი ფლეი ოფშია გადასაწყვეტი, მაგრამ იქამდე ჩემპიონობის ყველაზე რეალურ კანდიდატთა თითოეული მატჩი ძალიან საინტერესოა. მითუმეტეს, რომ პირვე წრეში არსებული ქაოსისა და გაუგებრობის გამო, სტუ "თბილისთან" სათამაშოდ არ გამოცხადდა და 0:10 წაგება ჩაეთვალა. გუშინ, ირაკლი კეკელიძის გუნდს უნდა დაემტკიცებინა, რომ ტყუილად არაა ქვეყნის 16-გზის ჩემპიონი და პირველ წრეში ჩათვლილი წაგების გამოც მართებდა რევანში. აქვე ისიც ვთქვათ, რომ სტუ-მ საბოლოოდ გამოისყიდა საქართველოს ნაკრების კაპიტან **გიორგი ქობელაშვილის** ბერძნული კონტრაქტი - გიორგის გუშინ დებიუტი ჰქონდა საქართველოს ნლევანდელ ჩემპიონატში.

ორივე გუნდს მთელი თამაშის განმავლობაში ეტყობოდა საგრძნობი ნერვიულობა, რაზეც უამრავი გაფლანგული რეალური საგოლე მომენტიც ნათლად მეტყველებს. თბილისის" ლიდერმა **გიორგი ნივნივაძემ** სამი პენალტი ვერ გაიტანა, ხოლო მისი გუნდის მეკარემ **კორნელი ანდრიაძემ** ასევე სამჯერ გაანბილა შვიდმეტრიანის ნიშნულთან მისული "თელავის" ხელბურთელები. იყო ბევრი ტექნიკური წუნიც, მაგრამ რაც მთავარია, იყო სანახავად კარგი, თავიდან ბოლომდე დაძაბული მატჩი.

საწყის 5 წუთში 3:0 დაწინაურების შემდეგ, "თბილისს" ცხრა წუთიანი უგოლო შიმშილი დაეწყო, საკუთარ კარში კი 6 უპასუხო ბურთი მიიღო. ამის შემდეგ, **მამუკა მჟავანაძის** შეგირდები მთელი მატჩი მდევრის როლში იმყოფებოდნენ. მაქსიმუმი, რაც მოახერხეს, ის იყო, რომ მატჩის ბოლოს, ყველაზე კულმინაციურ მომენტში, ანგარიში გაათანაბრეს. ეს მოხდა შეხვედრის დასრულებამდე სამწუთნახევრით ადრე, როდესაც **ღაღანიძემ** ზედიზედ ორჯერ დალაშქრა მთელი მატჩის განმავლობაში ბრწყინვალედ მოთამაშე **გაგა სამყურაშვილის** კარი - 18:18. იქამდე ერთი წუთით ადრე კი, მესამე ორწუთიანი გაძევების გამო, მოედანი საბოლოოდ დატოვა სტუ-ს ერთ-ერთმა ლიდერმა **რატი მსხვილიძემ**. სწორედ მისი გასვლის შემდეგ ამოისუნთქეს თბილისელებმა. სხვათა შორის, პირველი ტაიმის ბოლო წამებზე, რატიმ ისეთი ცხრამეტრიანი საჯარიმო გაუტანა "თბილისს", ნებისმიერი ვარსკვლავი სიამოვნებით მოაწერდა ხელს.

ანგარიშის გათანაბრებამ სტუელებს წაგების საშიშროება აგრძნობინა და ბოლო ძალები მოიკრიბეს. ჩუბინაშვილმა კვლავ დააწინაურა თანაგუნდელები, მერე კი, შეტევაში მყოფი "თბილისი" დაჯარიმდა, სიტუაციაში უფრო მალე "თელაველები" გაერკვნენ და მეტოქის ნახევარზე ეუღად მყოფ **ბერძენიშვილს** გამარჯვების გოლი გაატანინეს. 40 წამით ადრე, ღაღანიძემ კიდევ ერთი შანსი აჩუქა თანაგუნდელებს, მაგრამ მისი გოლი მხოლოდ იმისთვის აღმოჩნდა საკმარისი, რომ "თბილისის" მინიმალური სხვაობით წაეგო...

შეხვედრის დასრულების შემდეგ, მამუკა მჟავანაძემ და ირაკლი კეკელიძემ მეგობრულად კი გადაკოცნეს ერთმანეთი, მაგრამ მსაჯობით ორივე გუნდის თავკაცი უკმაყოფილო დარჩა. მჟავანაძემ ცხელ გულზე ისიც კი ითხოვა, რომ ამ ორი გუნდის სამომავლო შეხვედრებისთვის, ელოშვილ-ჭკუასელის დუეტი აერიდებინათ.

მწვრთნელი იმაზე ამახვილებდა ყურადღებას, რომ მსაჯებმა გუშინდელ შეხვედრაში ოთხჯერ შეცვალეს გადაწყვეტილება. არადა, ჭკუასელის, ელოშვილისა და ელენე არაბულის გარდა, მსაჯები არ გვყავს, წინ კი, ფლეი ოფების ჩათვლით, მინიმუმ, ოთხი სტუ-"თბილისი" გველის.

კობა ხატისაშვილი

სუმო

თასისთვის ხუთი კაცი იბრძოლებს

გუშინ ქართველი კოკაი ბულგარელი ოძეკის, **კოტოოშუს** წინააღმდეგ წარსდგა. როგორც წესი, **კოტოოშუ** კოკაის უგებს ხოლმე, ამას ისიც ემატებოდა, რომ ბულგარელს ჯერ დადებითი ბალანსი არ დაუბევებია. დაიწყო ბრძოლა და კოკაიმ ბულგარელი ჩემპიონი წრეზე არბენინა, შემდეგ კი გარეთ გააგდო. 9-3 ასეთი ბრწყინვალე ბალანსი აქვს ქართველ ფალავანს, რომელსაც ბაშოს დასრულებამდე სამი დღით ადრე იმპერატორის თასის მოგების მცირე შანსი აქვს (ვგონებ, პირველად კარიერაში).

ბაშოს ტრავმის გამო გამოეთიშა ოძეკი **ტოჩიაძუმა**, თუმცა მან უკვე შეძლო მთავარის მიღწევა, დადებითი ბალანსი დაიბევა. იმპერატორის თასისთვის ბრძოლაში 22 წლის მონღოლი **ჰაკუჰო** ლიდერობს 11 მოგებით, 10 მოგება აქვს მთავარ ფავორიტ **ასაშორიუს** და ტურნირის სენსაცია **ტოჩიოძანს**. 9-9 მოგებით კი კოკაი და **ტამანოშიმა** არიან. ამით შემოიფარგლება თასისთვის მებრძოლთა სიაც. დღეს კოკაის მეტოქე პირველი მაეგაშირა ტოიონოშიმაა 6-6 ბალანსით. ქართველი ტოიონოშიმას აქამდე ორჯერ შეხვედრია და ორივეჯერ გამარჯვებული დარჩენილა.

მაკუშიტას დივიზიონში **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** ზედიზედ მეორე მარცხი იგემა, მან ტოკიფუტაცუსთან წააგო იორიკირით. ახლა ტოჩინოშინის ბალანსი 4-2 გახლავთ. სამაგიეროდ, მოიგო **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)**, რომელმაც იორიტაოშის ილეთით ვაკამიფუჯი დაამარცხა. გაგამარუს ნულოვანი ბალანსი აქვს - 3-3. ქართველებს თითო ბრძოლა დარჩათ გასამართი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ბოლო ბრძოლა გაგამარუსთვის, რომელსაც დადებითი ბალანსის მისაღწევად მოგება ესაჭიროება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჰარუ ბაშო (მარტის სუპერტურნირი)
11-25 მარტი, ოსაკა (იაპონია)

XII დღე. კოკაი - კოტოოშუ 1:0 (ოკურიდაში, 5,8 წამი), ასაშორიუ - კაიო 1:0, ჰაკუჰო - კოტომიცუკი 1:0, ჩიოტაიკაი - ტოჩიაძუმა 1:0, კოტოშოგიკუ - კისენოსატო 1:0, ტოკიტენკუ - ტაკეკაძე 1:0, ამა - ტოიონოშიმა 1:0, ასასეკირიუ - კასუგაო 1:0, კიოკუტენპო - დეჯიმა 1:0, კასუგანიშიკი - ფუტენო 1:0, ივაკიამა - ტამაკასუგა 1:0, ტოჩიოძანი - ჰომაშო 1:0, კაკიძოე - ტოკიცუუმი 1:0, ტაკამისაკარი - კაკურიუ 1:0, ტოჩინონადა - როჰო 1:0, ტამანოშიმა - ვაკანოსატო 1:0, ამინიშიკი - ჰაკუროძანი 1:0, იოშიკაძე - ტოჩინონადა 1:0

სატურნირო მდგომარეობა. 11-1: ჰაკუჰო (ოძეკი); 10-2: ასაშორიუ (იოკოძუნა), ტოჩიოძანი (მაეგაშირა 14); 9-3: კოკაი (მ 7), ტამანოშიმა (მ 8); 8-4: ტოჩიაძუმა (ოძეკი), კოტომიცუკი (სეკივაკე), ჰომაშო (მ 5), ამინიშიკი (მ 9), ვაკანოსატო (მ 16)

XIII დღე. კოკაი - ტოიონოშიმა, ასაშორიუ - კოტოოშუ, კაიო - კისენოსატო, ჰაკუჰო - ჩიოტაიკაი, კოტომიცუკი - ჰომაშო, კოტოშოგიკუ - ფუტენო, ამა - ტაკეკაძე, ტოკიტენკუ - ტაკამისაკარი, ასასეკირიუ - კიოკუტენპო, კასუგანიშიკი - კასუგაო, ტამაკასუგა - იოშიკაძე, კაკიძოე - ჰაკუროძანი, როჰო - ტოჩიოძანი, ტოსანოუმი - დეჯიმა, ტამანოშიმა - ტოჩინოჰანა, ვაკანოსატო - ამინიშიკი



ასაშორიუ კაიოს ამარცხებს

პროფესიული ჭრიკი

სარეიტინგო ორთაბრძოლები

მეორე ქამარი მაკარაძეს

საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციამ გუშინ მორიგი სარეიტინგო ბრძოლები ჩაატარა. გუშინვე გათამაშდა საქართველოს რიგით მეორე ქამარიც. როგორც იცით, წინა ხუთშაბათს, პირველი ქამარი ერგო მძიმეწონოსან **ვლადიმერ ჭანტურიას**, ამჯერად კი, ეს ტიტული გათამაშდა 62 კილოგრამ წონით კატეგორიაში.

საქართველოს ქამარს გუშინ ერთმანეთს ეცილებოდნენ **დავით მაკარაძე** და **გარი აბაჯიანი**. ათრაუნდიან ორთაბრძოლაში, მაკარაძე თავიდანვე დაეუფლა უპირატესობას. წინა კვირისგან განსხვავებით, საქამრე ბრძოლა მთელი 10 რაუნდი გაგრძელდა, საბოლოოდ კი, ქულებით გამარჯვება და საქართველოს ქამარი დარჩა დავით მაკარაძეს.

რაც შეეხება გუშინ გამართულ სარეიტინგო ორთაბრძოლებს, 62 კილოგრამში, **დავით ინასარიძემ** 4 რაუნდში, ქულებით მოუგო **ივანე ტლაშაძეს**. 72 კილოგრამში, **მიხეილ ხუციშვილმა** 4 რაუნდში ვერაფერი დააკლო დებიუტანტ **დავით ფალავანიანს** და მხოლოდ ფრეს გამორჩა. ამავე წონაში, არ შედგა ორი გიორგის - **ხულელიძისა** და **ზალკალიანის** შეხვედრა. ყველაზე ხანმოკლე ბრძოლა იყო 66 კილოგრამში. აქ **ბორის მდინარაძემ სერგო სონინშვილი** მეორე რაუნდში დაანოკაუტა.

კობა ხატისაშვილი

ჰაღათბურთი

ქართველები NBA-ში

შაკის კომპლექსი

შაკილ ონილის წინააღმდეგ თამაში ნებისმიერს უჭირს. "დიზელი" ასაკში შესვლის მიუხედავად, პრობლემებს **ტიმ დანკანსა** და **იაო მინსაც** კი უქმნის, რის მერეც **ზაზა ფაჩულიას** სისუსტე ამ დეკეცატთან ჭიდილში გასაკვირი ნამდვილად არ არის.

ფაჩულიას სტაბილურად თამაშისა და შეცდომების მინიმუმამდე დაყვანის შემთხვევაში ტოლსწორად თამაში ნებისმიერის წინააღმდეგ შეუძლია, რაც ზაზას არაერთგზის იმავე დანკანისა და **დირკ ნოვიცკის** წინააღმდეგაც დაუმტკიცებია. აი, შაკის კომპლექსი კი ჯერჯერობით რუბიკონად იქცა.

დიდ შესვენებამდე საქართველოს ნაკრების ლიდერის ანგარიშზე მხოლოდ 4 ქულა და 2 მოხსნა იყო. ორმაგი დუბლი არც მის თანაამპლუელს გაუკეთებია, მაგრამ ონილს მთელი ფარქვეშეთი გადაკეტილი ჰქონდა და მასპინძლებიც ძირითადად პერიმეტრიდან უტევდნენ.

ონილმაც მალე მიიღო 3 ფოლი და საერთო ჯამში, მან მოედანზე ფაჩულიაზე ერთი წუთით ნაკლებიც კი დაჰყო, მაგრამ შაკმა ამ მცირე დროში არც მეტი, არც ნაკლები, 6 შედეგიანი გადაცემის ჩამორიგება მოასწრო, რაც მისთვის მიმდინარე რეგულარულში პირადი რეკორდის გამეორებაა.

"ჰოქსს" ამ მატჩამდე შინ ზედიზედ 5 გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული და ერთხელაც რომ ემარჯვა, ოდნავ მაინც მიუახლოვდებოდა საფლეიოფო ზონას, მაგრამ ონილსა და **ედი ჯოუნსზე** გადართულმა მასპინძლებმა თავისუფალი ზონები დაუტოვეს **ჯეისონ უილიამსს,** რომელმაც გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი.

უნიჭიერესმა, მაგრამ არასტაბილურმა გამთამაშებელმა თავისი გუნდის ბოლო 14 ქულიდან, 8 პირად ანგარიშზე ჩაიწერა. როდესაც ძირითადის დასრულებამდე 1 წუთითა და 17 წამით ადრე ჯოშ ჩილდრესმა ორი საჯარიმოთი ჩამორჩენა 3 ქულამდე (80:83) დაიყვანა, ჯეისონმა ჯერ იმავე ჩილდრესის ხელებს ზემოდან ურთულესი სროლა გამოიყენა, დარჩენილ ღლერში კი ოთხიდან ყველა საჯარიმოს გამოყენებით შეხვედრას საბოლოო წერტილი დაუსვა.

ბოლოს ზაზას შესახებ ორ მოსაზრებას შემოგთავაზებთ. პირველის ავტორი NBA-ს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი პატ რაილია ("მაიამი ჰიტის" თავკაცი), მეორისა - რიგითი ქომაგი, რომელიც "ატლანტას" მატჩებს ესწრება და გულშემატკივართა ინტერნეტ-მსჯელობებში აქტიურად იცავს საქართველოს ნაკრების კაპიტანს. ჯერ პატ რაილის მოვუსმინოთ, რომელიც საუბარს "ჰიტი"-"ჰოქსის" მატჩის განხილვით იწყებს:

პატ რაილი: - ახალგაზრდა ატლანტელების წინააღმდეგ თავიდან ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ მეორე ტაიმში დაცვაში თამაში გამოვასწორეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ფარქვეშ პრობლემები გვქონდა - შაკილ ონილს მეტოქე ცენტრებთან ბრძოლისას ფოლების მაქსიმალური რაოდენობა ნაადრევად დაუგროვდა და სათადარიგოთა სკამზე დაბრუნება მოუწია. შაკის შემცვლელი ზო მურნინგის არყოფნაში ვეცადეთ აქცენტი პერიმეტრიდან თამაშზე გადაგვეტანა. მაგრამ არც ეს იყო იოლი, რადგან ატლანტელი დაცვაში ჩვენს წინააღმდეგ ორგანიზებულად მოქმედებდნენ. ტანდაბლებს შესანიშნავად ეხმარებოდა ზაზა ფაჩულიაც და "ჰოქსის" დაცვაში ხვრელის პოვნა კიდევ უფრო გართულდა. საბოლოოდ, წარმატებას მოთამაშეთა ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე მივაღწიეთ.

ჯორჯიულ გაზეთ "ატლანტა კონსტიტუშენის" ინტერნეტ-ვარიანტში "ჰოქსის" მეფარეების შესახებ ცხარე კამათი გაიმართა, ერთნი ამბობდნენ, არაფერი გვეშველება, ვიდრე ექსტრა კლასის ცენტრს არ დავიმატებთო. მეორენი ზაზას დაცვაში თამაშს უწუნებდნენ - ის რა ცენტრია, რომელიც სამ მატჩში ერთხელ აფარებსო.

ზაზას ჯო ანკინი ექომაგება: - ზაზა მაგარია. ჯერ 23 წლისაა, მაგრამ NBA-ში თამაშის ოთხწლიანი გამოცდილება აქვს. გამოცდილებით ვეტერანებს არ ჩამოუვარდება. მას მხოლოდ წონის მომატება სჭირდება, ოღონდ მხოლოდ კუნთების ხარჯზე. ამჟამად 127 კგ-ს იწონის, რაც მისი აღნაგობის ცენტრისთვის მსუბუქ წონად ითვლება. ლორენცენ რაიტისგან განსხვავებით, ზაზას სტატისტიკა ყოველწლიურად უმჯობესდება. შარშან საშუალოდ 12 ქულასა და 8 მოხსნას აკეთებდა, წელს - 12 ქულასა და 7 მოხსნას. არ გაგიკვირდეთ - საქმე ისაა, რომ წინა სეზონში ზაზას დროც მეტი ჰქონდა - მოედანზე საშუალოდ 31 წუთს ატარებდა. წელს კი ეს რიცხვი 5 წუთით შემცირდა, სტატისტიკა კი თითქმის იგივე დარჩა. ჩემი ვარაუდით, უახლოეს მომავალში ფაჩულიას მონაგარი 14 ქულასა და 9 მოხსნამდე აიწევს. ძალიან მაკვირვებდა მწვრთნელის მოქმედება, როცა იგი ქართველის ნაცვლად სასტარტო ხუთეულში ლორენცენ რაიტს ათამაშებდა, ის კი 18 წუთში მოედანს ხან 0 ქულით ტოვებდა, ხან ორით. მოკლედ, "ატლანტას" ახალი მწვრთნელი სჭირდება. მან სამწვრთნელო საქმიანობის პარალელურად ცენტრებთან სწორი მიმართულებით მუშაობაც უნდა იცოდეს.

ზურაბ თალაკვაძე



ზაზა და შაკი

ატლანტა-მაიამი 83:91

22:24, 14:23, 23:22, 24:22

ატლანტა: ჯოშ სმიტი (41 წთ. 27 ქ. 9 მ. 4 დ. 3 პ. 3 ჩ), მერვინ უილიამსი (38 წთ. 16 ქ. 12 მ. 2 პ. 1 ჩ), **ზაზა ფაჩულია (21 წუთი, 10 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 2 შეცდომა, 5 ფოლი),** ჩილდრესი (39 წთ. 9 ქ. 5 მ. 5 პ. 2 ჩ), ე. ჯონსონი (24 წთ. 4 ქ. 4 პ. 2 მ. 1 ჩ) - ს. სტაუდმაიერი (17 წთ. 13 ქ. 3 პ. 2 მ), შელდენ უილიამსი (15 წთ. 4 ქ. 5 მ. 1 დ), ლიუ (23 წთ. უქულოდ, 5 პ), ლ. რაიტი (13 წთ. უქულოდ, 5 მ. 2 პ), ს. ჯოუნსი (4 წთ. უქულოდ, 1 მ).

მაიამი: ჯეისონ უილიამსი (37 წთ. 21 ქ. 8 პ. 4 მ), ე. ჯოუნსი (38 წთ. 14 ქ. 4 ჩ. 3 მ), შ. ონილი (21 წთ. 12 ქ. 6 პ. 3 მ. 1 ჩ. 1 დ), ჰასლემი (31 წთ. 10 ქ. 7 მ. 1 პ. 1 ჩ), პოუსი (26 წთ. 10 ქ. 3 მ. 2 პ. 1 ჩ. 1 დ) - დულიკი (21 წთ. 10 ქ. 7 მ. 2 დ. 1 ჩ), ა. უოკერი (23 წთ. 6 ქ. 6 მ. 2 პ), პეიტონი (17 წთ. 4 ქ. 3 პ), დ. რაიტი (22 წთ. 4 ქ. 7 მ. 3 პ. 1 ჩ).

I მეოთხედი	
11:08	მოხსნა: 1 (ზეტ: 0, დაც: 1)
10:26	ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
10:19	ფოლი: 1 (შ. ონილზე დაჯარიმდა)
06:52	ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (8:12)
06:31	ფოლი: 2 (ზეტევაში)
06:31	ზეცდომა: 1 (ფოლი ზეტევაში)
06:31	ფაჩულია ლ. რაიტმა ჩეცვალა
II მეოთხედი	
05:09	ფაჩულიამ ლ. რაიტი ჩეცვალა
03:30	ორქულიანი ტყორცნა: 4 ქ (34:42)
02:31	მოხსნა: 2 (ზეტ: 0, დაც: 2)
01:27	ფაჩულია შ. უილიამსმა ჩეცვალა
III მეოთხედი	
12:00	ფაჩულიამ შ. უილიამსი ჩეცვალა
10:49	ორქულიანი ტყორცნა: 6 ქ (39:49)
09:55	მოხსნა: 3 (ზეტ: 0, დაც: 3)
08:58	ჩაჭრა: 1 (პასლემს ჩაუჭრა)
08:43	პასი: 1 (ჯოშ სმიტი, 3 ქ. 46:49)
06:22	ფოლი: 3 (პოუსიზე დაჯარიმდა)
05:23	ფაჩულიაზე პასლემი დაჯარიმდა
05:23	საჯარიმოები: 2/1 (7 ქ. 48:57)
04:30	ფოლი: 4
04:08	ფაჩულია შ. უილიამსმა ჩეცვალა
04:00	ფაჩულიამ შ. უილიამსი ჩეცვალა
03:10	ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
03:09	მოხსნა: 4 (ზეტ: 1, დაც: 3)
01:10	ფაჩულია ლიუმ ჩეცვალა
IV მეოთხედი	
11:03	ფაჩულიამ ს. ჯოუნსი ჩეცვალა
08:08	ორქულიანი ტყორცნა: 9 ქ (63:75)
07:29	ზეცდომა: 2 (შ. ონილმა ჩაუშრა)
06:30	ფაჩულიაზე ა. უოკერი დაჯარიმდა
06:30	საჯარიმოები: 2/1 (10 ქ. 66:77)
06:15	ფოლი: 5
06:15	ფაჩულია ლ. რაიტმა ჩეცვალა

ატლანტა ჰოქსი: 69 მატჩი, 27 მოგება, 42 წაგება, მეოთხე ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში, მე-11 ადგილი აღმოსავლეთის კონფერენციაში. **მომდევნო მატჩი:** ატლანტა - პორტლენდი (23 მარტი).

ფიგურული ციგურაობა

მსოფლიო ჩემპიონატი

დღეს, 13 საათიდან

ელენე გედევანიშვილი

დღეს ელენე გედევანიშვილი ტოკიოში მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობას იწყებს. ქალ მოციგურავეთა შეჯიბრი ტრადიციულად, მოკლე პროგრამის შესრულებით იწყება. სულ 45 მონაწილეა, რომლებიც რვა ჯგუფად არიან განაწილებულები. დილის სესიაში პირველი ოთხი ჯგუფი იასპარეზებს. ტოკიოს დროით დილის 9 საათზე (საქართველოს დროით დილის ოთხზე) ყინულზე პირველი 22 მონაწილე გავა ყინულზე. შემდეგ ასპარეზი სპორტულ ცეკვებს დაეთმობა თავისუფალი პროგრამისთვის. საღამოს ექვს საათზე (რაც ჩვენს ნაშუადღევს, 13 საათს შეესაბამება) მეორე სესიას მშვენიერი ფინელი მოციგურავე **კიირა კორპი** გახსნის. ელენე გედევანიშვილს მეათეს მოუწევს გამოსვლა. ასე რომ, ქართველ გულშემატკივრებს ტელეეკრანთან ნერვიულობა ჩვენი დროით დაახლოებით ორი საათიდან მოუწევთ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჟუბერი ცალკე ლიგაშია

როგორც მოსალოდნელი იყო, ფრანგი **ბრაიან ჟუბერის** გამარჯვებით დასრულდა ტოკიოში მიმდინარე, ფიგურული ციგურაობის მსოფლიო ჩემპიონატის კაცების ტურნირი. ამგვარად, ევროპის ჩემპიონის ტიტულის შემდეგ, მან პლანეტის საუკეთესო მოციგურავის წოდებაც მოიპოვა.

ჟუბერმა სოლიდური ლიდერობა ჯერ კიდევ მოკლე პროგრამის შესრულების შემდეგ იგდო ხელთ. მან სავალდებულო პროგრამაც ბრწყინვალედ შეასრულა, რაც მაყურებელმა ფეხზე წამოდგომითა და ოვაციებით შეუფასა, მსაჯებმა კი მაღალი ქულებით.

"ამ ოქროსთვის ბევრი ვიშრომე. ეს სეზონი განსაკუთრებულია ჩემთვის, რადგან ორივე დიდ ჩემპიონატზე შევძელი გამარჯვება. წარმატების მისაღწევად, ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო. ვიცოდი, რომ ყველაფერი კარგად შევასრულე, მაგრამ შეფასებათა მოლოდინში კინაღამ გავთავდი", - განაცხადა თვალცრემლიანმა ჩემპიონმა, ვინც საერთო ჯამში 240.85 ქულა დააგროვა.

სავალდებულო პროგრამა არანაკლებ კარგად შეასრულა იაპონელმა **დაისუკე ტაკაჰაშიმაც,** ვინც 237.95 ქულას მოუყარა თავი და ვერცხლის მედალს დაეუფლა. ამით მაყურებელიც გაახარა და თავადაც ბედნიერების მეშვიდე ცას ეწია. სხვა თუ არაფერი, უკან მოიტოვა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, შვეიცარიელი **სტეფან ლამბიელი,** რომელიც 233.35 ქულით ამჯერად ბრინჯაოს დასჯერდა.

მოკლე პროგრამის შემდეგ, მეორე ადგილი კანადის ჩემპიონ **ჯეფრი ბატლს** ეკავა, თუმცა რუტინის შესრულებისას, ის სამჯერ დაეცა და 214.96 ქულით კვარცხლბეკიდან შორს, მეექვსე ადგილზე დაასრულა ასპარეზობა.

შეგახსენებთ, რომ ამ სეზონს ტოვებს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, რუსი **ევგენი პლუშენკო,** ვინც ოლიმპიური სეზონის შემდეგ, ცოტა ხნით დასვენება გადაწყვიტა.

გუშინვე, ორიგინალური სავალდებულო პროგრამები შეასრულეს მოცეკვავე წყვილებმაც. როგორც მოსალოდნელი იყო, შესანიშნავად იასპარეზეს მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონებმა ბულგარეთიდან, **ალბენა დენკოვამ** და **მაქსიმ სტავისკიმ.** სხვათა შორის, სტავისკი ინგლისის საფეხბურთო ნაკრების ყოფილ კაპიტანს, **დევიდ ბექჰემს** ჰგავს, რის გამოც ის ტოკიოში დიდი პოპულარობით სარგებლობს. გუშინდელი გამოსვლის შემდეგ კი მისი და მისი მეწყვილის პოპულარობა კიდევ უფრო გაიზარდა.

სხვათა შორის, ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატი ბულგარული წყვილისთვის ბოლო ოფიციალური გამოსვლაა. მათ 99.52 ქულა მოაგროვეს და ოდენ 0.02 ქულით მოიტოვეს შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალსნები კანადიდან, **მარი-ფრანს დუბროილი** და **პატრის ლუასონი.**

"სასიამოვნოა, რომ ბექჰემს მადარებენ, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, თუ მასავით მდიდარი ვიქნებოდი", - სახეგაბრწყინებული ლაზღანდარობდა გამოსვლის შემდეგ სტავისკი.

ჩემპიონობის შანსს ჯერაც ინარჩუნებს ტურინის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი ამერიკელების, **ტანით ბელბინისა** და **ბენჯამინ აგოსტოს** დუეტი, რომლებსაც 99.02 ქულით მესამე ადგილი უკავიათ.



ბრაიან ჟუბერი

ბალტიის ლიგა. წინასაფლეიოფო მიმოხილვა

ციცაძე ათუაშვილის იმედად

ბალტიის ლიგაში ფლეი ოფი მოახლოვდა. ჯგუფური ტურნირის ბოლო ტური 25 მარტს გაიმართება და სწორედ მაშინ გადაწყდება, ვინ გააგრძელებს ბრძოლას ტიტულისთვის. სხვებისგან განსხვავებით, **გიორგი ცინცაძის** თანაკლუბელები 25 მარტისთვის არ ემზადებიან, რადგან მათ ჯგუფური ეტაპი უკვე დასრულეს და ახლა "ნეპტუნას"-"კალევის" მატჩს ელიან. თუკი **სერგო ათუაშვილის** "ნეპტუნასი" ესტონელებს დაამარცხებს, მაშინ "როკი" ჯგუფში მეორე პოზიციაზე დარჩება და შესაბამისად ფლეი ოფშიც იასპარეზებს. თუ სტუმრად "კალევი" მოიგებს, მაშინ იგი "ტარტუ როკს" ქულებით გაუთანაბრდება. ფლეი ოფში გამსვლელის ვინაობას ბურთების საერთო შეფარდება გაარკვევს.

ფლეი ოფში მე-2 ჯგუფის პირველადგილოსანი პირველი ჯგუფის (სადაც ბალტიის ტოპ-კლუბებია თავმოყრილი) მეექვსეს შეხვდება, ხოლო მე-2 ჯგუფის მეორე გუნდი პირველის - მეხუთეს. მეხუთე პოზიციაზე სადღეისოდ "რიგაა", რომელიც ბოლო ტურში "ლიტვის "შიაულიაის" მასპინძლობს და სწორედ ამ დაპირისპირებაში გაირკვევა, სავარაუდოდ, "როკის" მეტოქე. ფინალურ ოთხეულამდე გუნდებს კიდევ ერთი ეტაპის გადალახვა მოუწევთ - ფლეი ოფის პირველი წყვილის გამარჯვებული პირველი ჯგუფის მეოთხეადგილოსანს გაეჯიბრება, ხოლო მეორე წყვილიდან გასული ამავე ჯგუფის მესამეს.

ფინალური ოთხეულის კი 20-21 აპრილს ლატვიის დედაქალაქი, რიგა უმასპინძლებს.

სხვათა შორის, ფლეი ოფში მოხვედრის კრაგი შანსი ჰქონდა **ტატო ვაშაკიძის** "ნევეჟისსაც", რომელმაც გამოტოვებული ტურის შეხვედრაში სტუმრად "პანევეჟისთან" წააგო (85:89) და "ტარტუ როკს" ერთი ქულით ჩამორჩა. საინტერესოა, რომ ბალტიის თასზე "ნევეჟისის" ბოლო მატჩი ტატო ვაშაკიძისთვის საუკეთესო იყო. იგი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა, 31 წუთი ითამაშა და თანაგუნდელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო: 5-დან 3 სამქულიანი, 3-დან 2 ორქულიანი ჩააგდო და მხოლოდ 13 ქულას როდი დასჯერდა - 5 პასი, 4 მოხსნა და 2 ჩაჭრა მიითვალა.

I ჯგუფი. 1. ჟალგირისი (ლიტვა) - 8 მოგება, 2 რიტასი (ლიტვა) - 6, 3. ვენტსპილსი (ლატვია) - 5, 5. შაულიაი (ლიტვა) - 3, 5. რიგა (ლატვია) - 2, 6. ბარონსი (ლატვია) - 2.

II ჯგუფი. 1. ლიეპაია (ლატვია) - 10 მოგება, 2. როკი (ესტონეთი) - 9 / 3. ნევეჟისი (ლიტვა) - 8, 4. კალევი (ესტონეთი) - 8, 5. ნეპტუნასი (ლიტვა) - 6, 6. პანევეჟისი (ლიტვა) - 5, 7. საკალა (ლიტვა) - 5, 8. ატლეტასი (ლიტვა) - 2.

დარჩენილი მატჩები: რიტასი-ბარონსი, ჟალგირისი-ვენტსპილსი, პანევეჟისი-საკალაი, ნეპტუნასი-კალევი, რიგა შიაულიაი.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲛᲘᲚᲣᲝᲙᲘ ᲑᲝᲒᲣᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲚᲐᲜᲣᲔᲕᲐᲡ ᲔᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲔᲑᲐ

ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ, "მილუოკი ბაქსს" სეზონის დარჩენილი ნაწილის ჩატარება ორი წამყვანი კალათბურთელის - **ენდრიუ ბოგუტისა** და **ჩარლი ვილანუევას** გარეშე მოუწიოს. ამ ინფორმაციას სააგენტო "როიტერი" ავრცელებს.

ავსტრალიელმა ბოგუტმა კარიერაში პირველად გამოტოვა მატჩი ("კლიპერსთან") - "მილუოკის" ცენტრს მუხლის ტრავმა აქვს. ბოგუტმა ეს დაზიანება 7 მარტს, "ლეიკერსთან" მატჩში მიიღო, მაგრამ თამაში არ შეუწყვეტია და ტრავმამ ოთხშაბათს, ვარჯიშზე იჩინა თავი. სავარაუდოდ, ავსტრალიელის მწყობრში ჩადგომას 6-8 კვირა დასჭირდება.

რაც შეეხება ვილანუევას, მას მარჯვენა მხარი აწუხებს და ართროსკოპიული ოპერაცია ესაჭიროება. ასეთი ოპერაციის შემდეგ აღდგენას კი, რამდენიმე თვე სჭირდება.

ᲐᲚᲔᲜᲘ ᲕᲔᲚᲐᲠ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ?

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ შეექმნა "სიეტლ სუპერსონიქსსაც". ამ გუნდის ლიდერ **რეი ალენს** მარცხენა ფეხის ტრავმა აქვს და ამ მიზეზით, შეიძლება სეზონის დარჩენილი ნაწილი გამოტოვოს.

ალენმა ამ დაზიანების გამო, "ვაშინგტონთან" მატჩი ვერ დაასრულა და როგორც "სონიქსის" ექიმები ამბობენ, ტრავმის სამკურნალოდ კალათბურთელს ოპერაცია ესაჭიროება. გარდა ამისა, ალენს მარჯვენა მუხლიც აწუხებს.

ᲛᲝᲣᲠᲜᲘᲜᲒᲛᲐ ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐᲡᲗᲐᲜ ᲕᲔᲠ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲐ

"ᲛᲐᲘᲐᲛᲘ ᲰᲘᲢᲘᲡ" ცენტრალურმა თავდამსხმელმა **ალონსო მოურნინგმა** "ატლანტასთან" მატჩი გამოტოვა. ვეტერანმა კალათბურთელმა ჯერ კიდევ კვირას, "ორლანდოსთან" შეხვედრაში მიიღო მუხლის ტრავმა და გუშინ, მოედანზე სწორედ ამის გამო არ გამოჩენილა.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენი ხანი ვერ შეძლებს თამაშს მოურნინგი.

ᲑᲐᲠᲜᲘᲐᲜᲘᲗ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲘᲙᲔᲗᲐ

ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲓ, რეგულარული ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებს გამოტოვებს "ტორონტო რეპტორზის" იტალიელი ლეგიონერი **ანდრეა ბარნიანი**. 2006 წლის დრაფტის პირველმა ნომერმა აპენდიციტის ოპერაცია გაიკეთა.

ბარნიანი უახლოეს დღეებში დატოვებს საავადმყოფოს, მაგრამ ჯერ უცნობია, რა დრო დასჭირდება მას მოედანზე დასაბრუნებლად.

"ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ანდრეა ჯერ ნარკოზის ქვეშაა, მაგრამ მალე ყველაფერი წესრიგში იქნება", - განაცხადა "ტორონტოს" გენერალური მენეჯერის ასისტენტმა **მაურიციო გერარდინმ**.

ᲐᲠᲢᲔᲡᲘᲡ ᲝᲗᲮ ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲪᲘᲮᲔ ᲔᲚᲘᲡ

"ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲙᲘᲜᲒᲖᲘᲡ" ფორვარდ **რონ არტესტს** ერთბაშთად ოთხი მუხლით წაუყენეს ბრალდება. როგორც გახსოვთ, ამა წლის 5 მარტს, კალათბურთელმა ზედმეტად აქტიურად გაარკვია ურთიერთობა მეუღლესთან. ამის შედეგად, არტესტს ბრალი ედება თავდასხმაში, ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში, ცრუ ჩვენების მიცემასა და მოწმეების მოსყიდვის მცდელობაში. თითოეული ამ პუნქტისთვის, რონს თითო წელი პატიმრობა ელის.

ინციდენტი არტესტის კუთვნილ სახლში მოხდა. ჩხუბის დროს, კალათბურთელმა ცოლს სახეში გაარტყა, შემდეგ კი მას მობილური ტელეფონი წაართვა, როცა ქალი პოლიციაში დარეკვას აპირებდა.

კალათბურთელი დააპატიმრეს, მაგრამ 50 ათასი დოლარის გადახდის შემდეგ, თავდებით გაათავისუფლეს. სხვათა შორის, არტესტმა ამ ინციდენტის გამო ბოდიში მოუხადა მეუღლეს, ოჯახსა და "საკრამენტოში" თავის თანაგუნდელებს.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲛᲐ ᲞᲝᲚᲘ ᲒᲐᲘᲤᲝᲠᲛᲐ

"ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜ ᲕᲘᲖᲐᲠᲓᲡᲛᲐ" სეზონის ბოლომდე გააფორმა კონტრაქტი ფორვარდ **მაიკ ჰოლთან**. უფრო ადრე, ამ კალათბურთელმა ორჯერ დადო კლუბთან 10-დღიანი ხელშეკრულება.

სექტემბერში, ჰოლმა თავისუფალი აგენტის სტატუსით გააფორმა კონტრაქტი "ვაშინგტონთან" და გუნდის ხუთ წინასასეზონო მატჩშიც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ოფიციალურ შეხვედრებში მოედანზე არ გამოჩენილა.

ერთ-ერთ დაბალ ლიგაში, ჰოლმა 29 თამაში ჩაატარა და საშუალოდ 15.6 ქულასა და 8.5 მოხსნას აგროვებდა.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲬᲘᲚᲘᲡᲧᲠᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ, ლას ვეგასში ამერიკის საკალათბურთო ჩემპიონატის წილისყრა გაიმართა. 10 გუნდი ორ ჯგუფში შემდეგნაირად გადანაწილდა.

A ჯგუფი: არგენტინა, მექსიკა, პანამა, პუერტო რიკო, ურუგვაი;

B ჯგუფი: ბრაზილია, კანადა, აშშ, ვირჯინიის კუნძულები, ვენესუელა.

ჩემპიონატი ლას ვეგასში 22 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე ჩატარდება.

ᲰᲝᲙᲔᲘ

ᲚᲣᲝᲜ�გᲝᲛ ᲛᲔᲡᲘᲔᲡ ᲞᲠᲘᲖᲘ ᲛᲘᲘᲦᲚᲝ

"ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠ ᲙᲘᲜᲐᲥᲡᲘᲡ" მეკარე **რობერტო ლუონგო** NHL-ის ახალი პრიზის - **მარკ მესიეს** სახელობის საპატიო პრემიის მფლობელი გახდა. ეს პრიზი ჰოკეისტებს გასულ თვეში ლიდერის თვისებების გამოვლენისთვის გადაეცემათ. როგორც სააგენტო "როიტერი" წერს, მესიეს პრემია მიიღო იმ ჰოკეისტმა, რომელიც ამას ყველაზე მეტად იმსახურებდა.

"ჩემთვის ამ პრიზის მიღება უდიდესი პატივია. დღეს ძალიან ამაყი ვარ", - განაცხადა რობერტო ლუონგომ.

ᲤᲠᲔᲜᲒᲣᲠᲗᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲚᲘᲒᲐᲡ ᲙᲐᲢᲝᲕᲘᲪᲔ ᲣᲛᲐᲡᲠᲘᲜᲓᲚᲔᲑᲡ

ᲤᲠᲔᲜᲒᲣᲠᲗᲘᲡ საერთაშორისო ფედერაციამ გამოაცხადა, რომ 2007 წლის მსოფლიო ლიგის ფინალური რაუნდი არა რომში, არამედ პოლონეთის ქალაქ კატოვიცეში ჩატარდება.

შეგახსენებთ, რომ მამაკაცთა ნაკრებების ყველაზე პრესტიჟული კომერციული ტურნირი 11-15 ივლისს გაიმართება. რეგლამენტის თანახმად, მასპინძელი ქვეყანა ფინალურ ეტაპზე მოასპარეზე ექვსეულში კონკურსგარეშე დაიშვება, თუმცა, მაინც მიიღებს მონაწილეობას შესარჩევ ტურნირში.

მომავალ წელს კი, ფინალი იტალიაში გაიმართება, მიუხედავად იმისა, რომ წლეულს ამ ქვეყნის დედაქალაქმა უარი თქვა მსოფლიო ლიგის მასპინძლობაზე.

NBA. ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲩᲔᲛᲪᲘᲝᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



ᲢᲘᲛ ᲓᲐᲜᲙᲐᲜᲘ

ᲑᲔᲕᲠᲘ გუნდი რეგულარულს თავს აკლავს, რათა ფლეი ოფში რაც შეიძლება მაღალი განთესვითი ნომერი მიიღოს. იმ კლუბებში, სადაც ლიდერები დიდ ფულს იღებენ, მთავარი მწვრთნელები სუპერვარსკვლავთა მაქსიმალური დატვირთვით, მთელ აქცენტს რეგულარულზე აკეთებენ, ფლეი ოფში კი "გავარდება-არ გავარდებას" პრინციპით არიან.

ასეთი გუნდების რიცხვში შედიან "კლივლენდი", "ვაშინგტონი", "ფინიქსი" და "დენვერი", ხოლო საპირისპირო მხარეს კი "დალასი", "სან ანტონიო", "დეტროიტი" და "მაიამი" იმყოფებიან.

გრეგ პოპოვიჩი ("სპურსი"), **ფლიპ სონდერსი** ("დეტროიტი"), **პატ რაილი** ("მაიამი") და **ეიმერი ჯონსონი** ("დალასი") რაციონალურად ანაწილებენ მთელი გუნდის ენერგიას და ცდილობენ, გადამწყვეტ ფაზაში შესულებს, მთავარი იარაღი მზად ჰქონდეთ. ჭკვიანურ სამწვრთნელო მუშაობას შედეგიც მოაქვს.

"მავერიქსს" 17-მატჩიანი წარმატებული სერია ზედიზედ 2 წაგებით რომ ჩაენაცვლა, ჯონსონს არანაირი ტრაგედია არ შეუქმნია. პირიქით, მისი თქმით, უმჯობესი იყო, "დალასის" უძლეველობის მითი ახლავე, ფლეი ოფამდე დამსხვრეულიყო, ვიდრე **დირკსა** და კომპანიას გადაუჭრელი პრობლემები ფლეი ოფში შექმნოდათ.

იგივეა "სპურსის" ბანაკშიც.

"დალასის" თანაშტატელები ნელ-ნელა შევიდნენ სეზონში, ხოლო გრეგის მთავარი ამოცანა კი იმ მოთამაშეების ბოლომდე გამოცდა იყო, რომლებსაც გარანტირებული სათამაშო დრო არ მიეცემოდათ. **მეტ ბონერი, მაიკლ ფინლი, ფრანსისკო ელსონი, ფაბრისიო ობერტო, ჟაკ ვონი** და გარკვეულწილად, ალბათ, **ბრენტ ბერიც** მონაცვლეობით უდგებიან გვერდით გუნდის ძირითად ბირთვს (**ტიმ დანკანი, ტონი პარკერი, მანუ ჯინობილი**), პოპოვიჩი კი აუცილებელ და სწორ დასკვნებს აკეთებს. გამოცდა მხოლოდ ბებერ და საჭირო მეომარს, **რობერტ ორის** არ სჭირდება. ამ უკანასკნელს რეგულარული მთლიანადაც რომ გაუცდეს, ფლეი ოფში მაინც ძალიან საჭირო კაცად ითვლება.

პოპოვიჩის ბიჭებმა 13 მატჩის ზედიზედ მოგების მერე, 2 შეხვედრა აუტსაიდერებთან ("მილუოკისთან" გასვლაზე და "ბოსტონთან" შინ) დათმეს, მაგრამ არაფერი - გრეგს მანამდე აღებული გეზი არ შეუცვლია.

"მილუოკისა" და *"ბოსტონს"* ფლეი ოფში *არ შეეხვდებით, სხვებს კი ჩვენი წაგებებით თავიანთი უძლეველობის თვითრწმენა გაუჩნდათ. "სან ანტონიოს" უკვე მეორე ეშელონში მოიხსენიებენ, რაც არანაირად არ მაღიზიანებს. სეზონის საუკეთესო მწვრთნელის პრიზს ნაღდად არ მომცემენ, დანარჩენ ნიუანსებს კი ჩემთვის დიდი არაფერი მნიშვნელობა აქვს"*, - ამბობს გრეგი.

"პეისერზთან" დაპირისპირებაში, დანკანმა პირველ 21 წუთში 19 ქულა დააგროვა, დანარჩენ დროში კი, ტიმს თანაგუნდელები დაეხმარნენ და მასპინძლებმაც მიწასთან გაასწორეს **რიკ კარლაილის** შეგირდები.

არადა, სტუმრები პირველი მეოთხედის ბოლოსა და მეორის სტარტზე გაკეთებული 9:2 გაქცევის შემდეგ, 5 ქულით დაწინაურდნენ და წასაგებად განწირულს სულაც არ ჰგავდნენ. "ინდიანის" გვემა მაშინ დაიწყო, როდესაც მეორე მეოთხედში **ჯერმეინ ონილმა** მესამე ფოლი მიიღო, სულ მალე კი, მსაჯის გინებისთვის მოედნიდან "პეისერზის" ძირითადი გამთამაშებელი **ჯამაალ ტინსლი** მიაბრძანეს. იმ მომენტისთვის ტინსლის ანგარიშზე 6 ქულა იყო.

"სან ანტონიო" ძალიან სოლიდურ კალათბურთს თამაშობს, დანკანი კი ჩემპიონობის გარანტიაა. მომეცით ტიმი და მინიმუმ, ფინალში გავალ. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ფინალში გასვლის ყველაზე რეალური კანდიდატები "დეტროიტი" და "სპურსი" ან "მავერიქსი" არიან. ამ გუნდებს პრაქტიკულად, არ აქვთ სუსტი წერტილი", - შეაქო ნამატჩევს ოპონენტები კარლაილმა, რომლის გუნდმაც ერთი სამქულიანიც ვერ გამოიყენა, ფრანსისკო ელსონმა კი 14 ქულით მიმდინარე რეგულარულის პირადი რეკორდი დაამყარა.

მომდევნო მატჩში "სან ანტონიო" შინ სწორედ "დეტროიტს" ხვდება.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲡᲐᲜ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ-ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐ 90:72

17:22, 25:15, 28:13, 20:22

სან ანტონიო: დანკანი (27 ქ. 7 მ. 3 პ. 2 ჩ. 2 დ), ელსონი (14 ქ. 3 დ), ბონერი (10 ქ. 9 მ), ტ. პარკერი (10 ქ. 4 მ. 4 პ).

ინდიანა: დიოგუ (14 ქ. 9 მ), მ. დანლივი-უმცროსი (11 ქ. 5 მ. 2 ჩ), ჯ. ონილი (10 ქ. 6 მ. 2 დ), მერფი (10 ქ. 5 მ).

ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ-ᲛᲐᲘᲐᲛᲘ 83:91

22:24, 14:23, 23:22, 24:22

ატლანტა: ჯოშ სმიტი (27 ქ. 9 მ. 4 დ. 3 პ. 3 ჩ), მერვინ უილიამსი (16 ქ. 12 მ. 2 პ), ს. სტაუდმაიერი (13 ქ), **ზაზა ფაჩულია (10 ქ. 4 მ. 1 პ. 1 ჩ).**

მაიამი: ჯეისონ უილიამსი (21 ქ. 8 პ. 4 მ), ე. ჯოუნსი (14 ქ. 4 ჩ), შ. ონილი (12 ქ. 6 პ. 3 მ), ჰასლემი (10 ქ. 7 მ), პოუსი (10 ქ), დულიკი (10 ქ. 7 მ. 2 დ).

ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ-ᲝᲠᲚᲐᲜᲓᲝ 92:85

24:17, 21:23, 22:23, 25:22

ტორონტო: ბოში (34 ქ. 16 მ. 2 დ), ტი. ჯეი. ფორდი (16 ქ. 12 პ. 2 ჩ), დიქსონი (15 ქ. 7 მ).

ორლანდო: გ. ჰილი (24 ქ. 5 მ. 2 ჩ), დ. ჰოვარდი (17 ქ. 12 მ. 3 პ. 3 დ), ნელსონი (15 ქ. 4 პ).

ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ-ᲨᲐᲠᲚᲝᲢᲘ 84:92

31:19, 23:20, 17:23, 13:30

ბოსტონი: პირსი (23 ქ. 2 ჩ), ელ ჯეფერსონი (22 ქ. 11 მ. 3 პ), პერკინსი (13 ქ. 11 მ. 2 დ), დელონტე უესტი (10 ქ. 5 პ).

შარლოტი: ფელტონი (19 ქ. 5 პ. 3 ჩ), ა. ანდერსონი (14 ქ), ჯ. უოლასი (13 ქ. 8 მ. 3 ჩ), ნაიტი (10 ქ. 8 პ. 7 მ).

ᲙᲚᲘᲕᲚᲔᲜᲓᲘ-ᲓᲐᲚᲐᲡᲘ 90:98

23:22, 22:27, 21:30, 24:19

კლივლენდი: ლ. ჯეიმსი (31 ქ. 6 მ. 4 პ. 3 დ. 2 ჩ), გუდენი (19 ქ. 8 მ. 2 ჩ), პავლოვიჩი (16 ქ. 3 ჩ), ჰიუზი (11 ქ. 7 პ), ილგაუსკასი (10 ქ. 7 მ).

დალასი: ნოვიცკი (23 ქ. 9 მ. 6 პ), ტერი (21 ქ. 5 პ), დ. ჰარისი (17 ქ. 7 მ. 6 პ), დემპსეი (13 ქ. 9 მ. 2 ჩ), სტეკჰაუზი (10 ქ. 6 პ).

ᲛᲘᲚᲣᲝᲙᲘ-ᲙᲚᲘᲞᲔᲠᲡᲘ 103:104

24:30, 28:35, 19:25, 32:14

მილუოკი: რედი (27 ქ. 5 მ. 4 პ), მო უილიამსი (20 ქ. 5 პ. 3 ჩ), პატერსონი (20 ქ. 9 მ), ჩ. ბელი (13 ქ), სკინერი (11 ქ. 11 მ. 3 დ).

კლიპერსი: მაგეტი (22 ქ. 5 პ. 4 მ), ბრენდი (21 ქ. 8 მ. 5 დ), მობლი (19 ქ. 3 პ), ჰარტი (12 ქ. 5 ჩ).

ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ-ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ 89:95

28:22, 20:21, 22:20, 19:32

მინესოტა: ფოიე (24 ქ. 4 პ), გარნეტი (17 ქ. 18 მ. 4 დ), რ. დევისი (14 ქ. 7 პ. 5 მ), მ. ჯეიმსი (12 ქ. 2 ჩ).

საკრამენტო: ბიბი (23 ქ. 7 პ. 4 მ), აბდურ-რაჰიმი (19 ქ. 7 მ. 3 პ. 2 ჩ), უილიამსონი (17 ქ. 10 მ), არტესტი (11 ქ. 7 მ. 5 პ. 3 ჩ).

ᲡᲘᲔᲢᲚᲘ-ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ 106:108

19:26, 24:21, 33:30, 30:31

სიეტლი: უილკოქსი (27 ქ. 22 მ. 2 ჩ), რ. ლიუისი (26 ქ. 10 მ. 4 პ), უოტსონი (15 ქ. 5 პ), რიდნური (12 ქ. 5 პ. 4 მ), უილკინსი (12 ქ), კოლისონი (10 ქ. 10 მ).

ვაშინგტონი: არენასი (42 ქ. 7 პ. 4 მ. 2 ჩ), ჯეიმსონი (21 ქ. 7 მ. 3 პ), ბლატჩე (12 ქ. 7 მ. 4 პ), სონგაილა (11 ქ. 4 მ).

NHL. ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲪᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲑᲐᲤᲐᲚᲝ-ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ 5:2

0:0, 3:1, 2:1

გოლები: 1:0 დ. რუა-16 (კალინინი-18, ვანეკი-35), 2:0 მაკარტერი-3 (მეირი-7, ზუბრუსი-33), 2:1 პოტიე-3 (კ. კლარკი-21, ლეიჩი-9), 3:1 ბრიერი-30 (ზუბრუსი-34, დრური-26), 4:1 სტეფორდი-10 (ვანეკი-36, პაეტში-22), 5:1 სტეფორდი-11, 5:2 ბრაშირი-4 (მ. გრინი-10, კლიმერი-13).

ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ-ᲓᲐᲚᲐᲡᲘ 2:4

1:0, 0:1, 1:3

გოლები: 1:0 ლუნდმარკი-7 (ვიშნოვსკი-40, ფროლოვი-34), 1:1 რობეირო-14 (ნადი-37, მოდანო-18), 2:1 დ. ბრაუნი-14 (ო'სალივანი-11, ვიერი-6), 2:2 მიეტინენი-10 (ბუშე-30, ნადი-38), 2:3 ბარჩი-3 (ლუნდკვისტი-3, ნორსტრიომი-8), 2:4 ჰალპერნი-7 (მოროუ-11).

ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ-ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ 1:5

0:2, 0:3, 1:0

გოლები: 0:1 ლაპერიერი-7 (არნასონი-26), 0:2 საკიკი-31 (ბრუნეტი-47), 0:3 ლაპერიერი-8 (არნასონი-27, რიჩარდსონი-8), 0:4 ლაილსი-13 (არნასონი-28, ვოლსკი-25), 0:5 ბ. კლარკი-9 (ბრუნეტი-48), 1:5 ტორესენი-3 (პიზანი-12).

ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ-ᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ 2:0

2:0, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 ბულისი-12 (ნესსუნდი-33, კრაიჩეკი-12), 2:0 სანტალა-1 (ლინდენი-11, ედლერი-2).

ᲠᲘᲜᲯᲕᲘᲠᲒᲘᲜᲘᲐ-ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ 5:0

1:0, 2:0, 2:0

გოლები: 1:0 პრუხა-19 (ჟირარდი-4), 2:0 იაგრი-26 (როზსიკალი-27, ნიულანდერი-51), 3:0 ეიგერი-15 (პოკი-3, შენეპანი-27), 4:0 ორტმაიერი-2 (ჯუსელი-22, ჟირარდი-5), 5:0 ეიგერი-16 (შენეპანი-27, კელეპანი-1).

ᲩᲘᲙᲐ�გᲝ-ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ 1:4

1:1, 0:1, 0:2

გოლები: 0:1 ჩიჩუ-26 (ჰენანი-20, ჯ. ტორნტონი-77), 1:1 შარპი-17 (ჰაკლატი-30, რენებურკი-9), 1:2 მ. მიხალეკი-21 (მ. კარლი-27, რიგე-13), 1:3 ჩიჩუ-27 (მ. კარლი-28, ჯ. ტორნტონი-78), 1:4 მ. მიხალეკი-22 (ჯ. ტორნტონი-79, ჩიჩუ-30).

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ

ATP

ᲡᲝᲜᲘ ᲔᲠᲘᲥᲡᲝᲜᲘᲡ ᲦᲘᲯ

ᲛᲐᲘᲐᲛᲘ (ᲐᲨᲨ). ᲰᲐᲠᲓᲘ

ᲡᲐᲠᲘᲒᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ: 3 450 000 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ

I ᲬᲠᲔ

დანიელე ბრაჩიალი (იტა)-მაქსი მირნი (ბლრ) 7:6 (2), 6:4; **ტომას იოპანსონი (შვედ)**-ალბერტო მარტინი (ესპ) 6:4, 6:3; **გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ)**-ივო კარლოვიჩი (ხორ) 6:4, 6:7 (4), 7:6 (5); **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-ნიკოლას მასუ (ჩილ) 6:3, 6:3; **რაემონ სლუიტერი (ჰოლ)**-გუსტავო კუერტენი (ბრა) 6:2, 6:2; **ფლორან სერა (საფ)**-კრის გუშიონე (ავსტრა) 6:7 (6), 7:6 (8), 6:4; **სიმონე ბოლელი (საფ)**-გაელ მონფილსი (საფ) 6:4, 6:2; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)**-იონას ბიორკმანი (შვედ) 7:5, 6:1; **მიხაელ ლოდრა (საფ)**-სტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:4, 6:0; **ხუან მონაკო (არგ)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 6:4, 6:4; **ლუის ორნა (ჰერ)**-პარადორნ მრიჩაფანი (ტაილ) 5:2 მრიჩაფანის უარი; **რიკარდო მელო (ბრა)**-იან ჰერნინი (ჩეხ) 6:1, 7:6 (3); **მარტინ ვასალო არგელო (არგ)**-პიუნგტაიკ ლი (კორ) 6:4, 6:2; **პოლ გოდსტეინი (აშშ)**-რაიან სვიტინგი (აშშ) 6:2, 2:6, 6:3; **თეიმურაზ გაბაშვილი (რუს)**-იან ჰაიეკი (ჩეხ) 7:5, 4:6, 7:5; **პოლ-ანრი მატიო (საფ)**-კრისტოფ ვლიეგენი (ბელ) 6:1, 6:1.

WTA

ᲡᲝᲜᲘ ᲔᲠᲘᲥᲡᲝᲜᲘᲡ ᲦᲘᲯ

ᲛᲐᲘᲐᲛᲘ (ᲐᲨᲨ). ᲰᲐᲠᲓᲘ

ᲡᲐᲠᲘᲒᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ: 3 450 000 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ

I ᲬᲠᲔ

ჯილ კრეიბასი (აშშ)-რობერტა ვინჩი (იტა) 6:3, 2:6, 6:0; **ეკატერინა ბიჩკოვა (რუს)**-არავან რეზაი (საფ) 6:1, 6:4; **ანასტასია იაკიმოვა (ბლრ)**-მარია კამერინი (იტა) 7:5, 5:7, 6:2; **ნატალი დეში (საფ)**-კამილ პინი (საფ) 6:1, 6:3; **ტატიანა პუჩეკი (ბლრ)**-ირიოდა ტულიაგანოვა (უზბ) 0:6, 6:3 ტულიაგანოვას უარი; **ოლგა პუჩკოვა (რუს)**-სოფია არვიდსონი (შვედ) 2:6, 6:3, 6:2; **ვასილისა ბარდინა (რუს)**-სანია ანჩიჩი (ხორ) 6:3, 6:2; **შუაი პენგი (ჩინ)**-ელენა ვესნინა (რუს) 6:0, 6:0; **ტამირა პაჩეკი (ავსტრია)**-ალისია მოლიკი (ავსტრა) 6:3, 6:4; **ვანია კინგი (აშშ)**-ტიან ტიან სუნი (ჩინ) 7:6 (4), 7:5; **ალინა ყიდკოვა (რუს)**-პეტრა მარტიჩი (ხორ) 4:6, 6:4, 7:6 (5); **ვირჟინ რაზანო (საფ)**-ფლავია პენეტა (იტა) 6:4, 6:2; **ლაურა გრენეილი (აშშ)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 6:4, 7:6 (0); **მიშელ ლარშერდ ბრიტო (პორ)**-მეგან შონესი (აშშ) 3:6, 6:2, 7:6 (3); **აკიკო მორიგამი (იაპ)**-ალექსანდრა ეოზნიაკი (კან) 6:1, 7:5; **მიელენ ტუ (აშშ)**-რომინა ოპრანდი (იტა) 6:3, 6:2.

მსოფლიოს ჩემპიონატი

ᲰᲝᲒᲘ ᲞᲔᲙᲘᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲬᲐᲕᲐ

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲛᲐ სუპერმოცურავემ, **პეტერ ვან დენ ჰოოგენბანდმა** განაცხადა, რომ მერმის, პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლის შემდეგ, თავის სპორტულ კარიერას დაასრულებს. "მფრინავმა ჰოლანდიელმა" იმედი გამოთქვა, რომ სპორტიდან წასვლამდე მიაღწევს უმთავრეს მიზანს და გახდება ოლიმპიადების ისტორიაში პირველი კაცი მოცურავე, ვინც ერთ დისტანციაზე ზედიზედ სამ ოლიმპიადაზე მოიპოვებს ოქროს მედალს.

ჰოგის მონაგარში ამ ეტაპზე სამი ოლიმპიური ოქროა, რომელთაგან მან ორი 100 მეტრზე თავისუფალ სტილში მოიპოვა. გარდა ამისა, ამავე დისტანციაზე ის მსოფლიო რეკორდსაც (47.84 წამი) ფლობს.

"ოლიმპიადა რომ დასრულდება, საკუთარ თავს ვეტყვი - ჩაიხედე სარკეში და თქვი, ღირს კი გაგრძელება... თუმცა, ახლავე შემიძლია განვაცხადო, რომ პეკინის შემდეგ, სპორტში ჩემი დარჩენის შანსი ძალიან მცირეა", - მელბურნში, **როდ ლეივერის** სახელობის საჩოგბურთო სტადიონის კონფერენც-დარბაზში მოწვეულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა 29 წლის ვან დენ ჰოოგენბანდმა.

ის დასძენს, რომ წასვლის გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, მიღებული აქვს და მას არც იმ შემთხვევაში შეცვლის, თუ მელბურნში ვერ შეძლებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას. ცნობისთვის, ტიტულოვანმა სპორტსმენმა ერთხელაც ვერ შეძლო პლანეტის ჩემპიონატის მოგება. არადა, ოლიმპიადებზე ბადალი არ მოეპოვებოდა.

100 მეტრზე თავისუფალის გარდა, ის ამავე დისციპლინაში 200-მეტრიან დისტანციაზეც ფლობს ოლიმპიურ ოქროს მედალს, რომელიც სიდნეიში აქვს მოპოვებული. მსოფლიოს ჩემპიონატებზე მას სულ სამჯერ (1998, 2001 და 2003 წლებში) უასპარეზია და "მხოლოდ" ხუთი ვერცხლითა და სამი ბრინჯაოთი დაიკმაყოფილა ამბიციები. ეს მედლები მას 50, 100 და 200 მეტრზე თავისუფალში აქვს მოპოვებული. 2005 წლის ჩემპიონატი, რომელსაც მონრეალმა უმასპინძლა, ჰოგიმ ტრავმის გამო გამოტოვა. გამოდის, რომ მელბურნის მსოფლიო ჩემპიონატი მისთვის მსოფლიო ჩემპიონობის ბოლო შანსი იქნება.

"დიდი შანსია იმისა, რომ მელბურნში მსოფლიოს ჩემპიონატზე უკანასკნელად ვიასპარეზებ. ამდენად, ჩემთვის აქ გამარჯვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თუმცა, ცუდად ნურავინ გამიგებს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ოლიმპიადაზე მოპოვებული ოქრო უფრო ღირებულია, ვიდრე მსოფლიო ჩემპიონატისა", - ამბობს ვან დენ ჰოოგენბანდი და დასძენს, რომ მელბურნში ყველაზე დიდი შანსი 200 მეტრზე თავისუფალში ექნება.



პეტერ ვან დენ ჰოოგენბანდი

ამ დისტანციაზე 2001 და 2003 წლების მსოფლიო ჩემპიონატებზე ჰოგის ოქროს მოპოვებაში ავსტრალიელმა **იან ტორპმა** შეუშალა ხელი. მასთანვე ათენის ოლიმპიადაზეც წაგო პაექრობა. ახლა კი, როცა ტორპი სპორტიდან წავიდა, ჰოგის არანაკლებ ხისტი კონკურენცია ელის ამერიკელ სუპერვარსკვლავ **მაიკლ ფელპსისგან**. ამან მონრეალში მოიპოვა ტიტული, თუმცა ჰოგის გარდა, იქ არც ავსტრალიელ ტორპედოს უასპარეზია.

რაც შეეხება მის ფავორიტ დისტანციას (100 მეტრი), ჰოგი მიიჩნევს, რომ აქ მას გაცილებით მეტი ძლიერი მეტოქე ეყოლება და ფინალში გასვლასაც წარმატებად ჩათვლის...

მერაბ ლორთქიფანიძე

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲰᲝᲘᲛ 18 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲒᲐᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲐ

ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲐᲜ რბოლაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ბრიტანელმა **კრისტოფერ ჰოიმ** ათენის ველოტრეკზე 500 მეტრ დისტანციაზე ადგილიდან რბოლაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მისი დრო იყო - 31.414 წამი, რაც 0.209-იმ ჯობნის 18 წლის წინათ, ლეგენდარული გერმანელის **ლუტც ჰესლიხის** მიერ დამყარებულ რეკორდს.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲜᲐᲚᲑᲐᲜᲓᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲨᲘ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ ნაკრების ლიდერი - **დავიდ ნალბანდიანი** მონაწილეობას მიიღებს დევისის თასის მეოთხედფინალში, რომელშიც არგენტინა შვედეთის ნაკრებს შეხვდება. შეგახსენებთ, რომ ამ სეზონის წინ, ნალბანდიანმა ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა და ამის გამო, წლევანდელი დევისის თასის პირველი წრე გამოტოვა.

მაგრამ ახლა, მსოფლიოს მე-11 ჩოგანმა გადაწყვეტილება შეცვალა და წელსაც დაეხმარება არგენტინას დევისის თასზე. ნალბანდიანმა გუნდში **ხოსე აკასუსოს** ადგილი დაიკავა. მის მხარდამხარ მეოთხედფინალში ითამაშებენ - **გილერმო კანიასი, ხუან მარტინ დელ პოტრო** და **სებასტიან პრიეტო**.

გიოტებორგში, შვედეთისა და არგენტინის მეოთხედფინალური მატჩი 6-8 აპრილს გაიმართება.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲛ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ ᲨᲔᲙᲠᲘᲑᲐ

ᲓᲔᲕᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ მეოთხედფინალისთვის შემადგენლობა ამერიკის ნაკრებმაც დაასახელა. ესპანეთთან შეხვედრისთვის ამ გუნდის კაპიტნის - **პატრიკ მაკინროის** განკარგულებაში ქვეყნის უძლიერესი მოთამაშეები იქნებიან.

ესპანელების წინააღმდეგ ითამაშებენ **ენდი როდიკი, ჯეიმს ბლეიკი** და ძმები **ბრაიანები**. ნაკრებში აგრეთვე გამოძახებულია **მარდი ფიში**, რომელიც სათადარიგო მოთამაშე იქნება.

ამერიკა ესპანეთს ჩრდილო კაროლინას შტატის ქალაქ უინსტონ-სალემში დაუპირისპირდება.

ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲘ ᲨᲔᲬᲧᲕᲘᲢᲐ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚ ჩოგბურთელთა ასოციაციამ (ATP) უარი თქვა თავისი ეგიდით გასამართ ტურნირებში ჯგუფური ეტაპის გამოყენებაზე.

ATP-ის ოფიციალური განცხადების მიხედვით, ჯგუფური ეტაპის ექსპერიმენტი უკვე ამ სეზონის მსვლელობისას წყვეტს არსებობას. ამის მიზეზი გახდა სამი კვირის წინათ, ლას ვეგასის ტურნირზე დაშვებული შეცდომა, როცა ერთ-ერთი ჯგუფის გამარჯვებული არასწორად გამოვლინდა. მაშინ, ამერიკელმა **ჯეიმს ბლეიკმა** და რუსმა **ევგენი კოროლიოვმა** თანაბარი რაოდენობის ქულები დააგროვეს. კოროლიოვს უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდა, მაგრამ მეოთხედფინალში ბლეიკი გაუშვეს.

23 მარტი. პარასკევი

HTB-ᲞᲚᲣᲡᲘ (ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:15 უიქენდის მატჩების ანონსი.
13:25 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
15:10 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
16:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:10 ტოქ-შოუ - 2:1.
17:55 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
19:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:00 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
20:30 საფეხბურთო კლუბი.
21:15 სასტვენი.
21:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-შტუტგარტი.
23:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:50 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:50 საფეხბურთო კლუბი.

SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲐ)

08:00 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სან პაულუ-პონტე პრეტა.
10:00 სპორტინფორმი.
10:15 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
10:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
11:15 სპორტინფორმი.
11:30 კალათბურთი. ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი. ოლიმპიაკოსი-ხუვენტუდი.
13:15 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეკრეატივო-ბარსელონა.
15:00 ფიტნესი.
15:25 კალათბურთი. ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი. ხუვენტუდი-პარტიზანი.
17:10 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. მიხაილ იუჟნი (რუსეთი)- ივან ლუბიჩიჩი (ესპანეთი). როტერდამი. ჰოლანდია.
18:25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-უდინეზე.
20:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:45 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
22:15 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:45 სპორტინფორმი.
22:55 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
23:25 რეტრო-ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. 1991 წელი. ბარსელონა-რეალი.
01:15 სპორტინფორმი.
01:30 კრივი. რინგ-საიდი.
02:30 სპორტინფორმი.
02:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბაიერნი-რეალი.
04:35 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
05:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეკრეატივო-ბარსელონა.
06:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. მიხაილ იუჟნი (რუსეთი)- ივან ლუბიჩიჩი (ესპანეთი). როტერდამი. ჰოლანდია.

EUROSPORT

11:00 საწყლოსნო სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატი. წყალში ხტომა. მელბურნი. ავსტრალია (LIVE).
12:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. მოკლე პროგრამა. ტოკიო. იაპონია.
13:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. მოკლე პროგრამა. ტოკიო. იაპონია (LIVE).
16:30 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 1/2 ფინალი. აომორი. იაპონია.
18:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS215. საკვალიფიკაციო. პლანიცა. სლოვენია.
18:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS215. პლანიცა. სლოვენია (LIVE).
20:15 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. თავისუფალი ცეკვები. ტოკიო. იაპონია.
21:45 ფეხბურთი. ევრო 2008.
22:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS215. პლანიცა. სლოვენია.
23:00 ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. მოკლე პროგრამა. ტოკიო. იაპონია.
00:15 ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. თავისუფალი ცეკვები. ტოკიო. იაპონია.
01:30 პოკერი. ევროპის ტური. ლონდონი. ინგლისი.
02:30 ექსტრემალური სპორტი.
04:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
04:15 მოტოსპორტი.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ავსტრალია-დანია.
14:00 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-კოლორადო.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ბელგია-ჩეხეთი.
17:45 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. პოლონეთი-სლოვაკეთი.
18:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ავსტრალია-დანია.
19:15 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. საფრანგეთი-არგენტინა.
20:00 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-კოლორადო.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ფლეი ოფი.
22:00 მულტისპორტი.
22:30 ახალი ამბები.
22:45 კალათბურთი. ევროლიგა.
23:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/4 ფინალი. II მატჩი. ნიდეროსტერაიხი (ავსტრია)-ოლბორგი (დანია).
00:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/2 ფინალი. I მატჩი. ფლენსბურგი (გერმანია)-ვალიადოლიდი (ესპანეთი).
02:00 ახალი ამბები.
02:15 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
02:45 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
03:15 ახალი ამბები.
03:30 რესტლინგი.
05:00 ახალი ამბები.
05:45 ფეხბურთი. ევრო 2008.

ᲪᲮᲔᲚᲘ ᲮᲐᲢᲖᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲣᲜᲑᲠᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲕᲘᲠᲯᲘᲜᲘᲐᲡᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ-ᲕᲐᲨᲕᲐᲜᲘ	0:2

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲔᲕᲠᲝᲚᲘᲒᲐ

ᲒᲐᲪᲐᲜᲘ-ᲠᲝᲛᲐ	79:72
ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲙᲝᲡᲘ-ᲮᲣᲕᲔᲜᲢᲣᲓᲘ	81:65
ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘ-ᲪᲘᲡᲐ	55:86
ᲒᲐᲣᲒᲠᲔᲡᲘ-ᲞᲝ ᲝᲠᲒᲔᲯᲘ	93:75

ᲰᲝᲙᲔᲘ

ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ

ᲙᲝᲨᲘᲪᲔ-ᲑᲠᲐᲢᲘᲡᲚᲐᲕᲐ	2:2

ᲤᲘᲜᲔᲗᲘ

ᲒᲐᲪᲐᲠᲐ-ᲙᲘᲔᲕᲘ	1:1
ᲡᲙᲐ-ᲞᲘᲤᲐ	1:1

ᲩᲔᲮᲔᲗᲘ

ᲞᲐᲠᲚᲣᲜᲘᲪᲔ-ᲑᲣᲓᲐᲠᲔᲡᲢᲘ	4:2

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ

ᲑᲐᲠᲜᲘ-ᲪᲣᲒᲘ	4:0
ᲓᲐᲕᲝᲡᲘ-ᲚᲘᲒᲠᲔᲜᲘ	3:1

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ATP. ᲛᲐᲡᲢᲠᲘ

მაიერი-კუნიცინი	6:1, 6:0
უდომჩოკე-**გრეული**	7:6, 2:6, 3:6
გროსჟანი-ფერკერკი	6:3, 6:4
კოროლიოვი-ჟიკელი	6:4, 6:2
სტარაჩე-კუზნეცოვი	6:4, 7:6
ჯინეპრი-**სპეიდი**	1:6, 3:6

WTA. ᲛᲐᲡᲢᲠᲘ

პირონკოვა-**კანეპი**	4:6, 4:6
ჩანი-ლაგოსტერა ვივესი	6:2, 6:3
შვედოვა-ციბულკოვა	6:3, 6:1
ბამერი-**ლუა**	6:2, 3:6, 1:6
კრაიჩეკი-ტატიშვილი	6:3, 7:6
ლეპჩენკო-**კოსტანიჩი**	3:6, 3:6
ნაკამურა-**ბონდარენკო**	2:6, 6:0, 1:6
რადვანსკა-პერი	6:2, 6:1
დულკო-**ბენეშოვა**	3:6, 3:6

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲗᲘ

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
გამუკა ჩიხლაძე
გია თვალაგეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ გამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგნინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, გამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპაიძე,
ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაბარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ᲚᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასლია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ᵃ,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

ᲒᲐᲛᲝᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ. ᲒᲐᲠᲔᲯᲐ ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲡᲐ